



ადამიანის
უფლებათა
დაცვის
სამთავრობო
სამოქმედო
გეგმის
მონიტორინგის

2020 წლის ანგარიში

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო (2018-2020) სამოქმედო გეგმის 2020 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ანგარიში მოიცავს 2020 წლის მანძილზე, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (გეგმა) გათვალისწინებული ამოცანების და საქმიანობების შესრულების შესახებ მონაცემებს. ანგარიშში ასახულია საქმიანობის განხორციელების სტატუსი, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების მიერ გეგმის საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წ.წ.) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის N182 დადგენილებით, რომელიც შესაბამისობაშია 2014-2018 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან და განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებს და პასუხისმგებელ უწყებათა ვალდებულებების ფარგლებს.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების რეალიზების მონიტორინგის მექანიზმს. შესაბამისად, ანგარიშის დოკუმენტის ანალიზი საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს პოლიტიკის განხორციელების ეტაპზე არსებული ხარვეზები, გამოწვევები და საჭიროებები. ასევე დანახული იყოს ის პროგრესი, რომელიც უკავშირდება როგორც სექტორულ საქმიანობას, ასევე საქმიანობის შედეგის გავლენას ადამიანის უფლებათა განმტკიცების გზაზე.

სარჩევი

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა	3
2. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა	7
3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა	16
4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებები.....	22
5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა.....	49
6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.....	55
7. გამონატვის თავისუფლება.....	65
8. შეკრების თავისუფლება.....	68
9. შრომითი უფლებები.....	71
10. საკუთრების უფლების დაცვა.....	80
11. ეკოლოგიური უფლებები.....	81
12. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.....	85
15. თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრება და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	136
16. ბავშვთა უფლებები	157
17. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა	175
18. რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა.....	194
19. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.....	209
20. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.....	224
21. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები.....	230
22. მიგრანტთა და ლტოლვილთა უფლებები.....	241
23. ეკო-მიგრანტთა უფლებები	245
24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა.....	247
25. ბიზნესი და ადამიანის უფლებები.....	270
26. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პოლიტიკის წარმოების პროცესში და კარგი მმართველობის ინსტრუმენტების განვითარება (შესხუდა 2018 წელს)	
27. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება	282

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის (2018-2020) სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დეტალური მიმოხილვა

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა

მიზანი: 1.1.

სისხლის სამართლის პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანა: 1.1.2.

აღდგენითი მართლმსაჯულებისა და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: „განრიდების პროგრამებში ჩართულ პირთა % მაჩვენებელი შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებაში“; „(განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებული და დანერგულია“; წარმოებული და გასაჯაროებულია სეგრეგირებული სტატისტიკური მაჩვენებლები 6 თვეში ერთხელ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებში ჩართულ/გადამზადებულ პროფესიონალთა რაოდენობა; შემუშავებულია სისხლის სამართლის მედიაციის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა რეგიონული საჭიროებების შესაბამისად; შემუშავებულია განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა;

საქმიანობა 1.1.2.1.

პროკურორების, სოციალური მუშაკების, მოსამართლეებისა და მედიატორების გადამზადება განრიდებისა და მედიაციის საკითხებში;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სასამართლო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი (ერთ-ერთი პრაქტიკოსი მედიატორი) მონაწილეობას იღებდა აღდგენით მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის მიერ ორგანიზებულ 3 დღიან ტრენინგში -

„აღდგენითი მიდგომები მძიმე ზიანის საქმეებზე“, რომელიც გაიმართა ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის დაფინანსებით.

გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, „ინიციატივა სოციალური ცვილილებებისათვის“ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის - „სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება საგანგებო და პოსტსაგანგებო მდგომარეობის დროს ეფექტური მოქმედებისათვის“ ფარგლებში, გაიმართა შემდეგი აქტივობები:

ტრენინგები ადიქციის საკითხებზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის; ტრენინგი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის;

ტრენინგი ეფექტური დისტანციური კომუნიკაციის საკითხებზე სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, მედიატორებისა და სააგენტოს სხვა სპეციალისტებისათვის;

ტრენინგი - პროფესიული გადაწვა და სტრესის მართვა სააგენტოს თანამშრომლებისათვის;

ჩატარდა სუპერვიზიისა და ინტერვიუების სესიები სააგენტოს მედიატორებისა და სოციალური მუშაკებისათვის. ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის მხარდაჭერითა და მათი წარმომადგენლების, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები „მოტივაციური ინტერვიუების“ საკითხებზე, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული განვითარების და გაძლიერების მიზნით;

საქმიანობა 1.1.2.2.

სტატისტიკური მონაცემების მიღება შესაბამისი უწყებებიდან, დამუშავება და გამოქვეყნება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს გენერალური პროკურატურა, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სასამართლო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის განმავლობაში სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით ახორციელებდა განრიდების საქმისწარმოების პროცესის ზედამხედველობასა და მონიტორინგს ინდივიდუალურ რეჟიმში, აღრიცხავდა და აქვეყნებდა შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას განრიდების პროგრამების ვებ-გვერდზე: www.ganrideba.ge.

საქმიანობა 1.1.2.3.

შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის მომზადება და სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოსათვის წარდგენა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საპილოტე პროგრამების „უწყებათაშორისო საკოორდინაციო მექანიზმების ჩამოყალიბება“ - გაუმჯობესების მიზნით 2020 წლის განმავლობაში გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა-ტრენინგი რელევანტური უწყებების წარმომადგენელთა და საერთაშორისო ექსპერტთა მონაწილეობით. პარალელურად მიმდინარეობს საპილოტე რეჟიმში სისხლის სამართლის მედიაციის პროცესის მონიტორინგი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე პროგრამის ამოქმედების პირობებში, არ დამდგარა საჭიროება შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებისა და მისი საბჭოსთვის წარდგენის.

საქმიანობა 1.1.2.4.

„განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება“;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

პარტნიორი უწყება: პრობაციის ეროვნული სააგენტო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს განრიდების პროგრამების ფარგლებში სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ ახორციელებდა მონიტორინგს ინდივიდუალურ დონეზე და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავდა რელევანტურ უწყებას. ინდივიდუალური საქმეების მონიტორინგის მაჩვენებელი ემთხვევა განრიდების პროგრამებში ჩართულ პირთა სტატისტიკურ მაჩვენებელს, რომელიც 2020 წლისათვის შეადგენდა 534-ს. აღსანიშნავია, რომ სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მედიატორთა საქმიანობის მონიტორინგისა და მედიატორთა შეფასების ფორმები დამტკიცებულია სააგენტოს შიდა აქტით. ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაიხვეწა არსებულ საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი ნაცვლად ახალი მექანიზმების შემუშავებისა.

საქმიანობა 1.1.2.5.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის შემუშავება, დანერგვა და მისი მუდმივი განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

მითითებული ამოცანის ინდიკატორების შესაბამისად 2020 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი აღემატება არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელს და 54%-ს წარმოადგენს. 2019 წელთან შედარებით განრიდების მაჩვენებლის მცირედი კლება გამოწვეულია პანდემიის გამო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის ვადით განრიდება-მედიაციის პროგრამის შეჩერებით. იმ არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ განრიდების კრიტერიუმებს განრიდების მაჩვენებელი 75%-ია. განრიდება-მედიაციის პროგრამის მონიტორინგი მოქმედებს 2016 წლიდან.

მონიტორინგი ყოველწლიურად სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს. მონიტორინგის შედეგები საჯაროა. წარმოებული და გასაჯაროებული სტატისტიკური ინფორმაცია იხილეთ: <http://pog.gov.ge/page/default/arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია - (TOR,) პროექტის წესდება, პროექტის დოკუმენტი, ტექნიკური დოკუმენტი, არქიტექტურა, საქმეების დეტალური ჩაშლა შემუშავდა 2017 წელს. მიმდინარეობს დაფინანსების წყაროს მოძიებაზე მუშაობა სისტემის შემუშავების მიზნით. ფინანსური რესურსების გათვალისწინებით აქტივობა ამ ეტაპამდე ვერ შესრულდა სრულად.

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

მიზანი: 2.5.

პროკურატურის და ინდივიდუალური პროკურორების დამოუკიდებლობის გაზრდა

ამოცანა: 2.5.2 პროკურორების საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შეფასების სისტემა დანერგილია; გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურები დანერგილია; პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმის პროექტი დანერგილია; პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურები დანერგილია

საქმიანობა 2.5.2.5.

პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმის პროექტის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 26 აგვისტოს N039 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს პროკურატურაში თანამშრომელთა მიღების, შემონახვის, კონკურსის, შიდა კონკურსის, დაწინაურების, დაქვეითების, თანამდებობრივი გადაადგილების (როტაციის) წესი. აღნიშნული ბრძანების 29-30 მუხლებით დეტალურად განისაზღვრა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა როტაციის საფუძველი, წესი და პირობები.

მიზანი: 2.6

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება

ამოცანა: 2.6.1 საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებისა და მათი დოკუმენტირების ხარისხის ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო დანერგვით

საქმიანობა 2.6.1.1.

სამართლებრივი წერის საკითხებზე ყველა პროკურორისა და სტაჟიორის მომზადება/ გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სამართლებრივი წერის საკითხებზე 2016 წელს შემუშავდა და დაინერგა სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც გადამზადებას ყველა პროკურორი ეტაპობრივად გადის. სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი იყო პროკურორებისათვის პრაქტიკულ საქმიანობაში დახმარება და ცალკეული დოკუმენტების შედგენის ერთიანი სტანდარტის დანერგვა. 2020 წელს სამართლებრივი წერის თემაზე განხორციელდა 3 სასწავლო აქტივობა. ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 37 სტაჟიორ-პროკურორი.

ამოცანა: 2.6.2.

რაიონული პროკურორებისა და მისი მოადგილეების შორის ფუნქციათა გამიჯვნა

ამოცანის ინდიკატორი: ფუნქციათა გამიჯვნა განხორციელებულია

საქმიანობა 2.6.2.1.

ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შექმნა და იმპლემენტაცია;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის N014 ბრძანებით დამტკიცდა რაიონული პროკურატურის ტიპური დებულება, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრა და გაიმიჯნა რაიონული პროკურორის და მისი მოადგილის ფუნქციები და მოვალეობები <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4859305?publication=0>

ამოცანა: 2.6.3.

საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა

ამოცანის ინდიკატორი: საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემა დანერგულია

საქმიანობა 2.6.3.2.

საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემის კონცეფციის ეფექტურობის ამსახველი ანალიზის მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს პროკურატურის ლოკალური ქსელის (ინტრანეტი) ფარგლებში ამოქმედდა პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის ერთ-ერთ მოდულს წარმოადგენს პროკურორების დატვირთვისა და საქმეთა თანაბარი გადანაწილების პლატფორმა. პროგრამული უზრუნველყოფის მიზანია პროკურატურის თანამშრომელთა შორის საქმეთა თანაბარი გადანაწილების უზრუნველყოფა, პროკურორებისა და ცალკეული რგოლების დატვირთვის მონიტორინგი მეტნაკლებად თანაბრობის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო პერმანენტულ რეჟიმში აწარმოებს თანამშრომელთა დატვირთვის სისტემის მონიტორინგს. 2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკურმა სამმართველომ დაიწყო საქმეთა შესწავლის გზით ანალიზის მომზადება, საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემის ეფექტურობის დადგენის მიზნით. ანალიზის მიზანია, შესწავლილ იქნას პროკურორთა დატვირთვის სისტემის ეფექტურობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, დაიდენტიფიცირდეს პრობლემები და შემუშავდეს მათი გადაჭრის გზები. ანალიზის ფარგლებში მოხდა დაკვირვება არამხოლოდ ზოგად ტენდენციებსა და კანონზომიერებებზე, არამედ ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მაგალითზე შეფასდა სისტემის ეფექტურობა და მოქნილობა. მოხდა დაკვირვება, სისტემის ამოქმედებიდან დღემდე რა შეიცვალა პროკურორთა დატვირთვისა და საქმეთა თანაბარ განაწილებაში, მოახდინა თუ არა დადებითი ეფექტი პლატფორმამ და რამდენად გათანაბრდა თანამშრომელთა დატვირთულობის კოეფიციენტი. დოკუმენტი დასრულებულ სახეს მიიღებს უახლოეს პერიოდში.

ამოცანა: 2.6.4

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

ამოცანის ინდიკატორი: საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი ჩატარებულია

საქმიანობა 2.6.4.1.

საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შეფასების სისტემის საფუძველზე, 2020 წელს ჩატარდა საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი. სამართლებრივი წერის კომპონენტში შეფასებას დაექვემდებარა პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა, დევნის არდანყების დადგენილება, დევნის შეწყვეტის დადგენილება, გამოძიების შეწყვეტის დადგენილება. პროკურორთა საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, 2020 წელს მომზადებულ იქნა მონიტორინგის ანგარიში და შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია, რომელშიც ასახულ იქნა საპროცესო დოკუმენტებში სამართლებრივი წერის კუთხით არსებული ხარვეზები. კერძოდ დეტალურად აღიწერა ნაკლოვანებები, რომელიც გამოვლინდა მუხლის დისპოზიციის გადმოცემის, ბრალდების ფორმულირების ჩამოყალიბების, კვალიფიკაციის, მტკიცებულებათა მითითების სტანდარტის დაცვის, გადაწყვეტილების დასაბუთების, დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტების, დოკუმენტის სტრუქტურული და სტილისტური გამართულობის კუთხით. აღნიშნულის პარალელურად აქცენტი გაკეთდა სწორ მიდგომებსა და სტილზე. რეკომენდაციის მიზანია ხელი შეუწყოს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

საქმიანობა 2.6.4.2.

პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

COVID 19-ით გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე 2020 წლის განმავლობაში სასამართლო გადავიდა დისტანციურ სამართალწარმოებაზე, ხოლო, იმ სხდომებზე, რომლებიც ჩატარდა მხარეთა სასამართლო დარბაზში გამოცხადებით, შეზღუდული იყო სასამართლო დარბაზში დამსწრეთა დაშვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2020 წელს პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი ვერ განხორციელდა.

ამოცანა: 2.6.5

ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკა დანერგილია

საქმიანობა 2.6.5.1.

ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საპროკურორო საქმიანობის გაუმჯობესებისა და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის განმტკიცების მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა რეკომენდაციების განახლებაზე და ახალი რეკომენდაციების შემუშავებაზე. 2020 წლის განმავლობაში გენერალური პროკურატურაში შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები: სამართლებრივი წერის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ, დისტანციურ პროცესში სასამართლო პროცესების ჩატარების პრაქტიკულ საკითხებზე, განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებასთან დაკავშირებით, ბრალდებულების გარესამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ, ექსპერტიზის დანიშვნისას წამოჭრილი პრობლემების თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ, განრიდება-მედიაციის პროგრამის ეტაპობრივი ამოქმედების შესახებ, სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების საკითხებთან დაკავშირებით.

ამოცანა: 2.6.6.

გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა
 ამოცანის ინდიკატორი: გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო დანერგვი-
 ლია

საქმიანობა 2.6.6.1.

გამოძიების მეთოდოლოგიის შესაბამისად პროკურორებისა და გამოძიებლების
 გადამზადება/ერთობლივი ტრენინგების ჩატარება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, გამოძიების მეთოდოლოგიის თემაზე განხორციელდა 25 სასწავლო აქტი-
 ვობა. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 242 მსმენელი (პროკურორი და სისტემის
 გამოძიებელი). მათ შორის განხორციელდა 3 სასწავლო ვიზიტი.

აღნიშნული სასწავლო აქტივობებიდან 10 იყო ერთობლივი ფორმატის, რომელშიც
 პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსამართლეები,
 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა
 სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები. მათ შორის განხო-
 რციელებულ ტრენინგებში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომა-
 დგენლები.

სწავლების პროცესში ძირითადი აქცენტი გაკეთდა დანაშაულთა ხასიათიდან გამო-
 მდინარე, მათი ეფექტიანი გამოძიების მიზნით, გამოძიების დაგეგმვის, სხვადასხვა
 მეთოდოლოგიის გამოყენებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის
 განხორციელებაზე. მსგავსი სასწავლო აქტივობები ხელს უწყობს კოორდინაციის
 ზრდას, საერთო პრაქტიკის დანერგვასა და წარმატებული საერთაშორისო და ადგი-
 ლობრივი გამოცდილების გაზიარებას.“

ამოცანა: 2.6.7.

ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტი-
 ვირებული დანაშაულების, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების
 წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება

საქმიანობა 2.6.7.1.

ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, პროკურატურის შესაბამის სტრატეგიაში განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას ის პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების 4 სასწავლო კურსი გაიარეს. ამჟამად, სპეციალიზებულია 136 თანამშრომელი, მათ შორის - 36 მენეჯერი, 81 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი, 19 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

საქართველოს პროკურატურის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯების შედეგია ის, რომ ბოლო წლებში გაზრდილია სპეციალიზებული პროკურორების მიერ სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

2020 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შესწავლილ და განალიზებულ იქნა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი პროკურატურის ვებ-გვერდზეა და ასახავს 2020 წლის 9 თვის სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ინფორმაციას დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, პროკურატურის მიღწევებს, გამოწვევებსა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის სამომავლო ნაბიჯებს. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/ff724131-genderuli-diskriminaciis-motivi-9-Tve.pdf>;

<http://pog.gov.ge/uploads/288ed1a2-ojaxuri-danashaulis-tendenciebi-miRwevebi-dagamowvevebi.pdf>;

<http://pog.gov.ge/uploads/2fa0e929-sheuwynareblobiT-motivirebuli-danashaulebis-analizi-2020-w.pdf>.

ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ 2020 წელს შესწავლილ იქნა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების 2018-2020 წლების სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია პროკურატურის ვებ-გვერდზე და ასახავს 2018-2020 წლების სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს რელიგიურ დანაშაულებზე. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/886a091c-religiis-nishniT-diskriminaciis-motivi.pdf>;

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, სადაც ცალკე თავები დაეთმო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას და შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებს, მათ შორის გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და 2020 წლის სტატისტიკურ მონაცემებს. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>;

შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2018 წელს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 151 პირის მიმართ, 2019 წელს - 183 პირის მიმართ. ხოლო 2020 წელს - 255 პირის მიმართ. 2020 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, ევროპის საბჭოს ხელშეწყობითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აქტიური ჩართულობით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის წარმოების და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოებას, მონაცემთა ერთიანი, სრულყოფილი, ზუსტი და გამჭვირვალე სისტემის შექმნას და 2021 წლიდან პროაქტიულ გამოქვეყნებას. უწყებებმა საპილოტე რეჟიმში გამოაქვეყნეს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სტატისტიკური ანგარიში და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს გაეცნოს დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ერთიან, სეგრეგირებულ მონაცემებს.

2020 წელს, ევროპის საბჭოს ექსპერტული დახმარებით, პროკურორებისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“.

2020 წელს ასევე შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის „უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ“, რომელშიც უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები იქნა გაზიარებული.

2020 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის, HELP-ის პრაქტიკული კურსი „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უნარ-ჩვევები“ განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც სწავლება თხუთმეტმა პროკურორმა გაიარა.

ამოცანა: 2.7.2

პროკურატურის საქმიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ამოცანის ინდიკატორი: პროკურატურის ვებ-გვერდი განახლებულია და ინფორმაცია ხელმისაწვდომია უმცირესობების ენებზე

საქმიანობა 2.7.2.1.

პროკურატურის ვებ-გვერდის მოდერნიზაცია, ახალი სერვისების დამატება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს განხორციელდა პროკურატურის ვებ-გვერდის მასშტაბური მოდერნიზაცია და ახალი სერვისების დამატება, რაც ასევე გაგრძელდა 2020 წელს.

2020 წელს დამატებით ბლოკში „საჯარო ინფორმაცია“ განთავსდა ახალი კატეგორია „ადამიანის უფლებები“, სადაც მოცემულია არასათანადო მოპყრობის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და ოჯახში ძალადობის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკა.

ამოცანა: 2.7.5

სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება

ამოცანის ინდიკატორი: სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების სტანდარტი შეუმუავებულია, ინფორმაცია გამოქვეყნებულია

საქმიანობა 2.7.5.2.

სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოყენება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაც მიეკუთვნება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას გამოქვეყნებულია პროკურატურის ოფიციალურ ვებ-ვერდზე. გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურა საჯარო ინფორმაციის გაცემას აწარმოებს დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე.

3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა

მიზანი: 3.1.

დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის იზოლატორში შესახლებულ პირთა დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება;

ამოცანა: 3.1.1. დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა;

საქმიანობა 3.1.1.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მომსახურებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2020 წელს, სამედიცინო პუნქტი გაიხსნა 5 დროებითი მოთავსების იზოლატორში. შესაბამისად, დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 30 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, სამედიცინო პუნქტი უკვე 23 იზოლატორში ფუნქციონირებს, სადაც მოსათავსებელ/მოთავსებულ პირებს სამედიცინო შემოწმება სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად უტარდება.

პუნქტების რაოდენობის გაზრდა 2021 წელსაც გაგრძელდება და არ შეწყდება დარჩენილი 7 იზოლატორისთვის ექიმების მოძიების პროცესი.

2020 წლის მანძილზე, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში, სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, საჩივარი არ შემოსულა.

საქმიანობა 3.1.1.2.

დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების მიერ საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოთავსებულ პირს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს, იზოლატორში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში, შემონმების ჩატარების მიზნით, საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი. ამასთანავე, 2020 წლის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მოთხოვნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ არცერთ პირს, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის არ მიუმართავს.

საქმიანობა 3.1.1.3.

სამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „არასრულწლოვან და ზრდასრულ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მხარდაჭერა“ ფარგლებში, 2020 წელს, რამდენიმე ეტაპად ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში“, ჯამში 50 სამედიცინო მუშაკისთვის და ტრენინგი „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ინტერვიუების ტექნიკების შესახებ“, რომელსაც დაესწრო 42 ექიმი.

საქმიანობა 3.1.1.4.

არასამედიცინო პერსონალის განვრცობადი კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულმა ყველა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება მონიტორინგის ჩატარების განახლებული მეთოდოლოგიის და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებებით.

ამავე წელს, იზოლაციაში დასაქმებული პერსონალის ერთ ჯგუფს (სულ 20 მოსამსახურე) დისტანციურ ფორმატში ჩაუტარდა დროებითი მოთავსების იზოლაციის თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი.

ამოცანა: 3.1.2.

დაკავებულ/პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა;

ამოცანის ინდიკატორი: შიდაუნებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები;

საქმიანობა 3.1.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დროებითი მოთავსების იზოლაციის გამართული ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური და სხვა მატერიალური პირობები;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2020 წლის იანვრის ბოლოს დასრულდა სარემონტო სამუშაოები ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლაციაში, სადაც ასევე მოეწყო და ამოქმედდა სამედიცინო პუნქტი. ამასთანავე, 2020 წლის ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში, ჩატარდა სხვადასხვა სახის მცირედი სარემონტო, მათ შორის კოსმეტიკური სამუშაოები 19 იზოლაციაში.

2020 წელს ასევე გაიხსნა ახალი დროებითი მოთავსების იზოლაცია და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება ქ. თბილისში. ორივე შენობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, თითოეული დაკავე-

ბულისთვის უზრუნველყოფილია საცხოვრებელი სივრცის მინიმალური სტანდარტი, ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები, იზოლატორები აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკით და მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე.

ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში მოქმედებს დროებითი მოთავსების იზოლატორებისგან განსხვავებული რეჟიმი და მათ შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი აქტივობებითა და სერვისებით. შენობის გარეთ მოწყობილია გასასეირნებელი სივრცე, სავარჯიშო მოწყობილობებით; დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, ასევე საერთო სივრცე კომპიუტერით სარგებლობისთვის, სატელევიზიო გადაცემების ყურებისა და სამაგიდო თამაშებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ შს მინისტრის ბრძანებით რეგულირდება იზოლატორებში გამონაკლისის სახით დამატებითი საწოლების გამოყენების პრაქტიკა, სამინისტრომ გაითვალისწინა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) რეკომენდაცია აღნიშნული საწოლების მოხსნის თაობაზე და 2020 წლის განმავლობაში, 7 იზოლატორში განხორციელდა საკნებში არსებული დამატებითი საწოლების დემონტაჟი.

საქმიანობა 3.1.2.2.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვებითი პირობების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

გარდა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორისა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა იზოლატორში დაკავებულებს მიეწოდებათ მზა მშრალი საკვები ულუფები. საქვამე კვება ასევე უზრუნველყოფილია თბილისის ახალ იზოლატორსა და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში. სამინისტრო აგრძელებს მუშაობას დამატებით 4 იზოლატორში საქვამე კვების შემოღებაზე.

მიზანი: 3.2.

ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 3.2.1. იძულების ღონისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას აქვს საგამონაკლისო ხასიათი და პროპორციულობის პრინციპი დაცულია; გადამზადებული პოლიციელების მზარდი პროცენტული რაოდენობა;

საქმიანობა 3.2.1.1.

სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების წესის შემუშავება და დანერგვა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით გათვალისწინებულია პატრულ-პოლიციელის უფლებამოსილება, ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ვიდეოტექნიკით (სამხრე ვიდეოკამერა) განახორციელოს ვიდეოჩანერა. 2018 წლის 27 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, რის შედეგადაც დარეგულირდა პატრულ-ინსპექტორის მიერ ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერით განხორციელებული ჩანაწერების შენახვის წესი. კერძოდ, განისაზღვრა რომ სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერები ინახება სპეციალურ სერვერზე დამასხეინფორმაციისგანთავსებაზე ვიდეოკამერაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორის მიერ. ასევე, დადგინდა სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერების შენახვის ვადა (30 დღე) და მათი დამუშავების პირობები.

საქმიანობა 3.2.1.2.

პოლიციელთა განგრძობადი განათლება ადამიანის უფლებებზე და იძულებითი ღონისძიებების სტანდარტებთან და გამოყენების ტექნიკასთან დაკავშირებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მუდმივად ახორციელებს შსს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით.

სსიპ - შსს აკადემიაში ძალის გამოყენების მეთოდები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში/კურსებში იფარება რამდენიმე საგნის ფარგლებში, მათ შორის თეორიული ნაწილი იფარება ადამიანის უფლებების, პოლიციის შესახებ კანონისა და საცეცხლე (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები) და ტაქტიკური მომზადების სწავლებისას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ტაქტიკური მომზადებისა და ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთების საგნის სწავლებისას.

2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით სულ მომზადდა/გადამზადდა 2400-მდე თანამშრომელი.

ამოცანა: 3.2.2.

პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები/ დამონტაჟებული კამერების რაოდენობა;

საქმიანობა 3.2.2.1. პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება და ფუნქციონირების წესის განსაზღვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტები, სამმართველოები და განყოფილებები აღჭურვილია გარე და შიდა ხედვის ვიდეოკამერებით. ამასთან, 2019 წლის 25 აპრილს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1/198 ბრძანება, რომლითაც სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების

ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით, განისაზღვრა 14 დღე. უახლოეს მომავალში, სახელმწიფო ინსპექტორის რეკომენდაციების შესაბამისად, დამატებით იგეგმება ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესის, ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული ჩანაწერების შენახვისა და აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა მიმართულებით პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობების დეტალური რეგულირება სამინისტროს შიდასამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის გზით.

4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ კატიმართა უფლებები

მიზანი: 4.1.

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

ამოცანა: 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ მომზადებულ გეგმიურ თუ არაგეგმიურ ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში; შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

საქმიანობა 4.1.1.1. მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტული ანალიზი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საანგარიშო პერიოდში:

- გამოიცა „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის #663 ბრძანება;
- დამტკიცდა განახლებული და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეალურ საჭიროებებზე მორგებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესული ცვლილებების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის „ცხელი ხაზის“ (1481) სატელეფონო საუბარი ხორციელდება დაწესებულების ხარჯით, სატელეფონო საუბრის ლიმიტები არ ვრცელდება ბრალდებულის / მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო საუბრის საქართველოს სახალხო დამცველის „ცხელი ხაზის“ (1481) მეშვეობით განხორციელების შემთხვევაზე. „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სატელეფონო საუბრის განხორციელება ხელმისაწვდომია დასვენებისა და უქმე დღეებშიც;
- გამოიცა საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N9388 – N901-18/ნ „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
- დამტკიცდა სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესი (შემთხვევის მართვის წესი).

პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახალგაზრდა ზრდასრული მსჯავრდებული და ბრალდებული (კაცები) პირებისთვის არსებული პატიმრობის პირობების გაუმჯობესებისთვის მოამზადებს რეკომენდაციებს. 2020 წელს ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების მიერ მომზადებულ გეგმიურ თუ არაგეგმიურ ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები და გამოიკვეთა საყურადღებო მიმართულებები.

საქმიანობა 4.1.1.2.

ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სპეციალური პენიტენციური სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს სამსახურის კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებზე საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას.

2019 წელს შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა ზრდასრული მსჯავრდებული და ბრალდებული პირებისთვის არსებული პატიმრობის პირობების შესწავლა/გადახედვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. სამუშაო ჯგუფი განიხილავს საერთაშორისო თუ ეროვნული მონიტორინგის ორგანოების შეფასებებსა და რეკომენდაციებს, პატიმრობის პირობებთან მიმართებით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას და შედეგად, წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს.

ამოცანა: 4.1.2.

პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია;

ამოცანის ინდიკატორი: მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით; სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება;

საქმიანობა 4.1.2.1. ყველა მსჯავრდებულის უზრუნველყოფა მინიმუმ 4მ² საცხოვრებელი ფართით მრავალადგილიან საკნებში და მინიმუმ 6მ² საცხოვრებელი ფართით ერთადგილიან საკანში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ განსაზღვრული ლიმიტები შეესაბამება, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართი შესაბამისობაშია CPT-ის სტანდარტებთან №2, №3, №5, №6, №8 (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11), №10, №11, №12, №14, №16, №17 პენიტენციურ დაწესებულებებში და N18 სამკურნალო დაწესებულებაში (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ), (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი). რაც შეეხება N8 და N15 დაწესებულებებს მონაცემები აკმაყოფილებს საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მოთხოვნებს. ინფორმაციისათვის - №2 პენიტენციური დაწესებულება (ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №85) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი -1068 ბრალდებული/მსჯავრდებულია.

№3 პენიტენციური დაწესებულება (ქ. ბათუმი, თევდორე მღვდლის ქ. №27) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 92 ბრალდებული/მსჯავრდებულია.

№5 პენიტენციური დაწესებულება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) - ქალთა სპეციალური დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 867 ბრალდებული/მსჯავრდებულია.

№6 პენიტენციური დაწესებულება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 309 ბრალდებული/მსჯავრდებულია.

№8 პენიტენციური დაწესებულება (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 2325 ბრალდებული/მსჯავრდებული.

№8 პენიტენციური დაწესებულება (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11, გლდანის №8 დაწესებულების ფილიალი, საკარანტინო ზონა) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 101 ბრალდებული/მსჯავრდებულია.

№10 პენიტენციური დაწესებულება (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი) - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 700 ბრალდებული/მსჯავრდებულია. №11 არასრულწლოვანთა დაწესებულება (ქ. თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. №3) - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების

ლიმიტი - 106 მსჯავრდებულია.

№12 პენიტენციური დაწესებულება (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60) – პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 580 ბრალდებული/მსჯავრდებულია.

№14 პენიტენციური დაწესებულება (ქ. წყალტუბო, სოფელი გეგუთი, ვარციხის დასახლება) – ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 1362 მსჯავრდებულია.

№15 პენიტენციური დაწესებულება (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი) - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 1388 მსჯავრდებულია.

№16 პენიტენციური დაწესებულება (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №60) – დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი – 528 მსჯავრდებული.

№17 პენიტენციური დაწესებულება (ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №64) - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 2000 მსჯავრდებული.

№18 სამკურნალო დაწესებულება – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსების ლიმიტი:

- ა) 140 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ),
- ბ) 90 ბრალდებული/მსჯავრდებული (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი).

ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახური განაგრძობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ახალი მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების მშენებლობის მიზნით.

საქმიანობა 4.1.2.2.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის დახვეწა, ინდივიდუალური მიდგომის იმპლემენტაცია და მსჯავრდებულთა ჩართვა განხილვის პროცესში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა პირობით ვადამდე გათავისუფლების კონცეფციის პროექტი. სამუშაო ჯგუფის შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი. დოკუმენტს დაეფუძნება საჭიროებისამებრ, საკანონმდებლო პაკეტის მომზადება. ამასთან, გადამზადდებიან პვეგ საბჭოს წევრები. ევროკავშირის მხარდამჭერ პროექტთან და მათ ექსპერტებთან თანამშრომლობის ფარგლებში განახლდა პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის ადგილობრივი საბჭოებისთვის წარსადგენი დახასიათების ფორმა, სასჯელის მოხდის პერიოდში მისი შემთხვევის მართვის პროცესში და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისა და მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდების მიზნით. აღნიშნული დახასიათების ფორმა, უკვე რამდენჯერმე დაიტესტა სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში, ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაკვირვება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის ბრძანებით, პანდემიის პირობებში, პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისაგან განსხვავებული დროებითი წესი განისაზღვრა. კერძოდ, პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები გადავიდნენ მუშაობის მოქნილ რეჟიმზე და დაინერგა დისტანციური ზეპირი სხდომები, რაც დადებითად აისახა მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების პროცესზე. დისტანციური სხდომების ჩატარების შედეგად:

2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით, 114 მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი, უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეეცვალა. შედარებისთვის, 2019 წლის იმავე პერიოდში, უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეეცვალა მხოლოდ 40 მსჯავრდებულს.

2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობით ვადამდე გათავისუფლდა 603 პატიმარი.

სულ, 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით, პენიტენციური დაწესებულებიდან ვადამდე გათავისუფლდა 1051 მსჯავრდებული.

ამოცანა: 4.1.3.

საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების შესაბამისად; პენიტენციური დაწესებულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაცემული საჭირო ინვენტარის რაოდენობა; ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი საჭირო ინვენტარით;

საქმიანობა 4.1.3.1. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველსაყოფად სისტემა ყოველწლიურად ახორციელებს ინვენტარისა და ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა და დაწესებულებებისათვის მიწოდებას.

საქმიანობა 4.1.3.2.

საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საჭიროებიდან გამომდინარე, სპეციალური პენიტენციური სამსახური ყოველწლიურად ახორციელებდა არსებული ინფრასტრუქტურის განახლებას, რემონტს/რეკონსტრუქციებს. მიუხედავად ამისა ის კვლავ განაგრძობს ამ კუთხით მუშაობას და ასევე შემუშავებული აქვს ახალი პროექტები სამი ახალი დაწესებულების ასაშენებლად. ამჟამად მიმდინარეობს ერთი ახალი დაწესებულების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ხოლო ორი ახალი დაწესებულების ასაშენებლად მომზადების პროცესშია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მშენებლობის დასაწყებად გამოსაცხადებელი ტენდერისათვის.

ქარელში გათვალისწინებული პენიტენციური დაწესებულების პროექტის ექსპერტიზა მივიდა დასკვნით ეტაპზე. აღნიშნული დაწესებულება გათვლილია 134 პატიმარზე; დაბა ლაითურში 700 მსჯავრდებულზე გათვალისწინებული დაწესებულების პროექტირება დასრულდა და 2020 წლის 20 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2022 წლის ივნისისათვის. ქსნის №19 დაწესებულება დაიხურა და მის ნაცვლად გაიხსნა №10 დაწესებულება, რომლისთვისაც მზადდება პროექტი ახალი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად; რუსთავში გაიხსნა 700 პატიმარზე გათვალისწინებული ახალი დაწესებულება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ადვოკატების, მოკლევადიანი შეხვედრების და საზოგადოებრივი მისაღებების სივრცეებში მოეწყო მინის დამცავი ბარიერები COVID-19-ის პრევენციის მიზნით.

ამოცანა: 4.1.4.

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, პრევენციაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წამალდამოკიდებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბერკულოზი; სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება; სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე; პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა შემცირებულია; ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს;

საქმიანობა 4.1.4.1. სამოქალაქო ჯანდაცვის ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს სამედიცინო სერვისი მიეწოდებათ „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენ-

ციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო მომსახურების სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს ექსპერტის მიერ. ამასთან, ევროპის საბჭოს „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტთან თანამშრომლობით განახლდა პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის დოკუმენტი. გარდა ამისა, ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი არიან ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული მომსახურებით.

საქმიანობა 4.1.4.2.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

ევროპის საბჭოს პროექტთან – „თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესება საქართველოში“ – თანამშრომლობით შემუშავებულია პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიის პირველადი დოკუმენტი. 2021-2022 წლებში ევროპის საბჭო კვლევ აგრძელებს პენიტენციური სისტემის მხარდაჭერას ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც მოწვეული ექსპერტის მიერ დაგეგმილია მუშაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების კონცეფციაზე.

საქმიანობა 4.1.4.3.

პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის პრევენციის პროგრამითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2020 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახალი ბრძანება, რის საფუძველზეც შეიქმნა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის საბჭო და დაწყებულია მუშაობა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე.

საქმიანობა 4.1.4.4.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისი სერვისით ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

ამჟამად N2, N8 და N18 დაწესებულებებში ხელმისაწვდომია მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის დეტოქსიკაციის პროგრამა. საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, ქალ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს დეტოქსიკაციის კურსი უტარდებათ N18 სამკურნალო დაწესებულებაში. 2020 წელს დეტოქსიკაციის კურსი ასევე ხელმისაწვდომი გახდა N8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილშიც (მის: აბუსერიძე ტბელის N11), სადაც მოწყობილია საკარანტინო სივრცე. პენიტენციურ სისტემაში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის დაწესებისათვის საჭირო ღონისძიებები გათვალისწინებული იყო პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების 2019-2020 წლებისა და 2019-2020 წლების ანტინარკოტიკულ სამოქმედო გეგმაში და მოიცავდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში არსებული სამკურნალო სერვისების შესწავლას და გრძელვადიანი ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის შემდგომი დაწესების საჭიროების შეფასებას. სწორედ ამ მიზნით, 2019 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მოწვეულმა გერმანელმა ექსპერტმა შეისწავლა პენიტენციურ სისტემაში უკვე დაწესებული და მოქმედი მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის დეტოქსიკაციის პროგრამის ეფექტიანობა, პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და მიღწეული შედეგები. შეხვდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე კი მომზადდა შეფასების ანგარიში. შემუშავდა რეკომენდაციები პენიტენციურ დაწესებულებებში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების დაწესების მიზანშეწონილობისა და მოდალობების თაობაზე. მიმდინარეობს მუშაობა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების პილოტირების გეგმის შედგენასა და პენიტენციურ დაწესებულებებში პილოტირების დაწყების მიმართულებით. ამასთან, დაგეგმილია ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების თაობაზე ცნობიერების ამაღლების ტრენინგების ჩატარება პენიტენციური სისტემის ყველა შესაბამისი თანამშრომლისათვის.

მიზანი: 4.2.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მონყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში;

ამოცანა: 4.2.1. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულებთან მიდგომის თავისებურებებზე, თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე;

ამოცანის ინდიკატორი: ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს; გადამზადებულ თანამშრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

საქმიანობა 4.2.1.1. სასწავლო პროგრამების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

საანგარიშო პერიოდისათვის პენიტენციურ სისტემაში სასწავლო პროგრამები საჭიროებისამებრ განახლებულია და შედგენილია ტრენინგ-საჭიროებათა გეგმა.

სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ერთად სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთათვის შემუშავდა და ინერგება შემდეგი სასწავლო პროგრამები/მოდულები:

- ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსი;
- სოციალური უნარების და ეთიკის სტანდარტების მოდული. მოდული შეიქმნა პენიტენციური დაწესებულების სპეციფიკისა და დინამიური უსაფრთხოების კონცეფციის გათვალისწინებით;
- არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება;
- ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს არსებულ და ახალ მიღებულ თანამშრომელთა ტრენინგ-მოდული;
- პროფესიული გადაწვა და მისი პრევენცია;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ახალ საინფორმაციო სისტემასთან (OIS) დაკავშირებული ტრენინგები.

ამასთან, ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის მხარდაჭერის“ პროექტის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრმა“ გადაიბარა შემდეგი ტრენინგ მიმართულებები:

- ჩართულობის უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაცია;
- სტრატეგიული დაგეგმვა და სტრატეგიული აზროვნება, თანამშრომელთა აქტივობები და პატიმართა სამყარო;
- მოტივაციური ინტერვიუება;
- მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება;
- შემთხვევის მართვა და შეფასების ინსტრუმენტები;
- შემთხვევის მართვა და შეფასების ინსტრუმენტები (არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთან მომუშავე მოსამსახურეებისათვის);
- ადამიანური რესურსების მართვა;
- ტრენინგი RNA-სა და პირობით-ვადამდე გათავისუფლების პრინციპებზე;
- ტრენინგით ტრენინგი ჩართულობის უნარ-ჩვევებში;
- ტრენინგით ტრენინგი ოჯახში ძალადობის რისკების შეფასებაზე;
- ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტები;
- ტრენინგი ინციდენტებისა და არეულობის შესახებ.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ“ სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ აქტიური თანამშრომლობით განაახლა სააგენტოს ახალი თანამშრომლებისთვის საბაზისო ტრენინგები სახელწოდებით „პრობაციის ოფიცრის სპეციალური სასწავლო კურსი“, ამასთან ერთად დონორის მხარდაჭერით დაწყებულია აქტიური მუშობა სრულიად ახალი სასწავლო კურსის შემუშავების მიზნით, რომელიც მომზადდება და დაინერგება 2021 წლის ბოლომდე.

საქმიანობა 4.2.1.2.

სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა გადამზადება რომლებსაც შეხება აქვთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

ტრენინგ საჭიროებათა გეგმის შესაბამისად, დაწყებულია იმ თანამშრომელთა გადამზადება, რომლებსაც შეხება აქვთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან, თუმცა პროცესი შეფერხებულია COVID-19 მიზეზით.

პრობაციის სისტემაში „პრობაციის ოფიცრის სპეციალური სასწავლო კურსის“ შესაბამისად გადამზადებას გადიან პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსი-

ქოლოგები. აღნიშნულ 5-დღიან ტრენინგში სააგენტოს სტრუქტურის და საქმიანობის ძირითად პრინციპებთან ერთად, ინტეგრირდა შემთხვევის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები („რისკის და საჭიროებების შეფასება“ და „ქალი მსჯავრდებულების და ოჯახში ძალადობის სკრინინგ ინსტრუმენტი“) და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების (რომლებიც ეხება მოწყვლად ჯგუფებს და მათთან მუშაობის სპეციფიკას) თავისებურებები, თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების და შემდგომში ეფექტიანად პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია „თანადგომა“-ს მხარდაჭერით პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკებისთვის და ფსიქოლოგებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე:

- „ნარკოტიკების მომხმარებელთა საჭიროებები და მომსახურება კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში“;
- „რეაბილიტაციის კომპონენტში კლიენტთა შეფასების ინსტრუმენტები“;
- „ამბულატორიული და რეზიდენტული რეაბილიტაციის სტანდარტები“.

აღნიშნული პროცესები განგრძობადია და მასზე მუშაობა შემდეგ წლებშიც გაგრძელდება.

საქმიანობა 4.2.1.3.

არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებზე, საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

„ბავშვთა უფლებების კოდექსის“ 2020 წლის ცვლილებების გათვალისწინებით, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ერთად, განახლდა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამა.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის“ ორგანიზაციის მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში პრობაციის სისტემაში გაიმართა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- ფსიქიკური ჯანმრთელობა და მისი მართვა (დისტანციურად მუშაობის სპეციფიკა);
- ადიქცია და მისი მართვა (დისტანციურად მუშაობის სპეციფიკა);
- დისტანციური კომუნიკაციის საკითხები;
- პროფესიული გადაწვისა და სტრესის პრევენცია.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით უწყებებში (პრობაციის სისტემა, პროკურატურა, სასამართლო) პერმანენტულად მიმდინარეობს მულტისექტორულ სამუშაო ჯგუფებში მუშაობა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა გამონწვევების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული პროცესი 2021 წელსაც გაგრძელდება.

საქმიანობა 4.2.1.4.

არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები-სათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“. ტრენინგი მოიცავდა 6 სამუშაო დღეს და მიზნად ისახავდა თანამშრომელთა მომზადება/კვალიფიკაციის ამაღლებას არასრულწლოვანთა მოპყრობისა და მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინების საკითხზე.

საქმიანობა 4.2.1.5.

გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლება და გაუმჯობესება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

პენიტენციურ სისტემაში არსებული შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მხარდაჭერით შემუშავდა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების სკრინინგ ინსტრუმენტი და ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისთვის - „ქალგა“. 2020 წლისთვის დასრულდა სარეაბილიტაციო პროგრამაზე მუშაობა „მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ქცევის კორექციის პროგრამა“ (PRIA), ასევე, ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი;

„მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამა“ - პენიტენციური და პრობაციის სისტემების პრაქტიკოსი ფსიქოლოგების მიერ შეიქმნა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამის პირველადი ვერსია, ესპანელი ექსპერტების მიერ განერილ ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით და EU-act-ის მხარდაჭერით. დაგეგმილია სამუშაო ჯგუფში პროგრამის პირველადი ვერსიის განხილვა ესპანელ ექსპერტებთან ერთად და შემდგომ მიღებული ვერსიის პილოტირება პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.

მიმდინარეობს „გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის“ განახლებაზე მუშაობა. განახლდა პროგრამის პენიტენციური სისტემის ნაწილი.

პრობაციის და პენიტენციურ სისტემაში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის („დექი“) და სისტემის ფსიქოლოგების ჩართულობით, შემუშავდა და დაინერგა პარტნიორზე მოძალადე პირებისთვის ქცევის კორექციის პროგრამა - „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“.

ჰოლანდიის საელჩოს, ორგანიზაცია „დექის“ მხარდაჭერით და სისტემის ფსიქოლოგების ჩართულობით ქალი მსჯავრდებულებისთვის შემუშავდა და დაინერგა ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის- „ქალგა“.

საქმიანობა 4.2.1.6.

გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში აღნიშნული თემატიკის შეტანა.

პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

პროგრესი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ერთად 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის უნივერსალური ტრენინგ-მოდულის შექმნასთან დაკავშირებით, რომელსაც სპეციფიკური ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში ყველა არსებული და ახალი თანამშრომელი გაივლის. დღეის მდგომარეობით, ტრენინგ-პროგრამების მოდული ერთ-ერთ კომპონენტად მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებსაც.

ამასთან, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხები ინტეგრირებულია ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველოს ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსში, რომელსაც გადის კონკურსის გზით დანიშნული ყველა ახალი ესკორტის ოფიცერი. საორიენტაციო კურსი აღნიშნულ საკითხებთან ერთად მოიცავს აუციელებელი სამართლებრივი აქტების გაცნობას, უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას სტრესის მართვის, ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მიმართულებით.

საქმიანობა 4.2.1.7.

პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ფასილიტატორების მომზადება ქალთა სამოტივაციო პროგრამა „ქალგა“-ს მიხედვით“. თუმცა 2020 წლისათვის აღნიშნულ საკითხზე პროცესი შეფერხდა COVID-19 მიზეზით.

პრობაციის სისტემაში სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით პერმანენტულად ტარდება ტრენინგები გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

აღნიშნული პროცესები გაგრძელდება მომდევნო წელსაც.

საქმიანობა 4.2.1.8.

თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეჩერებული იყო ჯგუფური აქტივობები, შესაბამისად აღნიშნული აქტივობის განხორციელება დადგეგმილია შეზღუდვების მოხსნის შემდგომ.

ამოცანა: 4.2.2.

პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობების მორგება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე;

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე;

საქმიანობა 4.2.2.1. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის 12 მარტის N502-ე ბრძანებით დამტკიცდა „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესი (შემთხვევის მართვის წესი), რომელიც მოიცავს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასებას და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველადი სკრინინგის კითხვარს. შეფასება კომპლექსურია და მისი უმთავრესი მიზანია განმეორებითი დანაშაულის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დადგენა. ასევე, შეფასების შედეგად ხდება ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა, მათ შორის გენდერულად სენსიტიური საჭიროებების. შემთხვევის მართვის პროცესი მოიცავს გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირებას.

საქმიანობა 4.2.2.3.

შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში განსაკუთრებული პირობების მოქმედების გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში შეჩერდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აქტივობების განახლება შეზღუდვების მოხსნის შემდგომ.

ამოცანა: 4.2.3.

შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა; მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა;

საქმიანობა 4.2.3.1. პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში არსებულ ფსიქო-სოციალურ პროგრამებში შშმ პირების მონაწილეობის მიზნით სოციალური მუშაკი ადგილზევე ახდენდა ადაპტირებას მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

მიზანი: 4.3.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა;

ამოცანა: 4.3.1. მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და სარეკრეაციო პროგრამების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან; საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით; შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით;

საქმიანობა 4.3.1.1. პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის, ძალადობაზე, ქცევის კორექციაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს, პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში დასრულდა მუშაობა 3 სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავების მიმართულებით. პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში დაინერგა შემდეგი პროგრამები:

1. მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ქცევის კორექციის პროგრამა (PRIA) - პროგრამაზე მუშაობა დასრულებულია; ჩატარდა ტრენინგები ტრენინგები; სააგენტოს ფასილიტატორები და პრობაციის ოფიცრების უმეტესი ნაწილი გადამზადებული არიან ქცევის კორექციის სარეაბილიტაციო პროგრამაზე.

2. მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამა - პენიტენციური და პრობაციის სისტემების პრაქტიკოსი ფსიქოლოგების მიერ შეიქმნა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამა „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EU-ACT)“-ისა და მათი ექსპერტის ჩართულობით. ქართველი ექსპერტის ავტორობით შემუშავდა დოკუმენტი პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში წამალდამოკიდებულთა რეაბილიტაციის პროგრამის პილოტირებისთვის, შეფასების ინდიკატორებისა და საკვლევო ინსტრუმენტების თაობაზე.

3. გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა - საერთაშორისო ექსპერტების რჩევების გათვალისწინებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, პრობაციის სააგენტოსა და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრის ჩართულობით შეიქმნა გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, პროგრამა შედგება 4 მოდულისგან. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განსახორციელებელი პირველი და მეორე მოდული განახლდა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ.

4. ასევე შემუშავდა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი - პარტნიორზე მოძალადე პირებისათვის“, „გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა“ და „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის პროგრამა (TSP)“.

საქმიანობა 4.3.1.2.

უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2020 წელს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული მომსახურება მიიღო 82-მა ბრალდებულ-მსჯავრდებულმა. მათგან, 24-მა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ გამოცდებ-

ში, ბაკალავრის საფეხურზე სწავლობდა 55 ბენეფიციარი, ხოლო 3 - მაგისტრატურის საფეხურზე.

ყველა იმ უმაღლესიდან, რომელსაც გააჩნია გაციფრებული სალექციო პროგრამები, ხდებოდა მასალის მიწოდება შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებებში, ოჯახის წევრების ან პენიტენციური სამსახურის სოციალური მუშაკების მიერ.

მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების მიერ ახლადშექმნილი ელექტრონული პლატფორმების პენიტენციურ სისტემაში ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში აქტივობის შესრულება მნიშვნელოვნად შეფერხდა COVID-19 მიზეზით.

საქმიანობა 4.3.1.3.

პროფესიულ/საგანმანათლებლო (VET) პროგრამების რაოდენობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

იხილეთ 2019 წლის ანგარიში.

პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო აღნიშნული აქტივობის შესრულება გადაიდო 2021 წლისათვის.

საქმიანობა 4.3.1.4.

საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

პენიტენციური და პრობაციის სისტემების ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები 2020 წელს გადამზადდნენ შემდეგი მიმართულებებით:

1. ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდამჭერი პროექტის ექსპერტების ჩართულობით:
 - Case Study რისკისა და საჭიროებების კითხვარის მიხედვით;
 - პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტრუმენტი და ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების ასახვა;
 - მსჯავრდებულის მიერ მეუღლის/პარტნიორის მიმართ მოსალოდნელი ძალადობის რისკის შეფასება.
2. EU-ACT-თან თანამშრომლობის ფარგლებში, მათივე ექსპერტის ჩართულობით:
 - დამოკიდებულ პირთა რეაბილიტაცია - სარეაბილიტაციო პროგრამაზე მუშაობა, შეფასების ინსტრუმენტები და ესპანური გამოცდილება;
3. GCRT-თან თანამშრომლობის ფარგლებში:
 - სპეციალისტებმა გაიარეს გადანვის ტრენინგ-ტრენინგი;
 - ჩატარდა გადანვის ტრენინგი;
4. ევროკავშირის სასამართლოების მხარდამჭერი პროექტის ექსპერტების ჩართულობით გაიმართა ტრენინგი:
 - აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის განვითარების პერსპექტივა და გამოწვევები;
5. „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის“ (ISC) გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის ჩატარდა ტრენინგები/შეხვედრები:
 - სოციალური მუშაობა საგანგებო და პოსტ-საგანგებო მდგომარეობისას;
 - დროის მართვა;
 - პროფესიული გადანვა.

ამავე დროს, საანგარიშო პერიოდისათვის ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით პენიტენციური და პრობაციის სისტემების სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა 98%-ს გავლილი აქვს მოტივაციური ინტერვიუს და ჩართულობის ტრენინგი. ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით პერმანენტულად მიმდინარეობს ორივე უწყების ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების თემატურ ტრენინგებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. აღნიშნული აქტივობა განგრძობადი პროცესია და შემდეგ წლებშიც გაგრძელდება.

ამოცანა: 4.3.2.

მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინი კერების შექმნა; დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა;

საქმიანობა 4.3.2.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების და ინდივიდუალური მენარმეობის ხელშეწყობა შექმნა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის განმავლობაში ფუნქციონირებს ორი დასაქმების პროექტი N8 პენიტენციურ დაწესებულებაში:

1. დიგიტალიზაციის პროექტი, რომელიც ხორციელდება სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2020 წლის განმავლობაში დასაქმდა N8 პენიტენციური დაწესებულების 18 მსჯავრდებული.
2. სასოფლო-სამეურნეო პროექტი, რომელიც ფუნქციონირებს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში 2020 წლის განმავლობაში დასაქმდა 8 მსჯავრდებული.

მიზანი: 4.5.

პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით;

ამოცანა: 4.5.1. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, შემთხვევის მართვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების გზით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, რეკლასიფიკაციისა და გარდამავალი მენეჯმენტის (გათავისუფლების მზადების პროცესი და რეფერალის მექანიზმი) მეთოდოლოგიის სრულყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში; ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები, რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტის ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას; შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

საქმიანობა 4.5.1.1. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით მსჯავრდებულთა სრული პოპულაციის დასაფარად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

„მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“ 2019 წლის 8 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული №395 ბრძანების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მსჯავრდებულთა მიმართ საშიშროების რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცესი.

საქმიანობა 4.5.1.2.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ საშიშროების რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

„მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“ 2019 წლის 8 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული №395 ბრძანების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მსჯავრდებულთა მიმართ საშიშროების რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცესი.

საქმიანობა 4.5.1.3.

N16, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის თანამედროვე მეთოდით მუშაობა და რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის 12 მარტს დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის N502-ე ბრძანება „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზეც N16, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში დაინერგა შემთხვევის მართვის მეთოდოლოგია. მიდგომა მოიცავს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასებას და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მუშაობას. შეფასების ინსტრუმენტი კომპლექსურია და მისი მიზანია განმეორებითი დანაშაულის აღბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დადგენა.

შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიით მუშაობა გაგრძელდება მომდევნო წლებშიც.

ამოცანა: 4.5.2.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების მიმართულებით: საჩივრების მექანიზმთან, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით ეფექტური, მათ შორის, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი მეთოდებით ინფორმაციის მიწოდების გზით;

ამოცანის ინდიკატორი: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში; შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

საქმიანობა 4.5.2.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების განახლება, დაბეჭდვა, დარიგება და თვალსაჩინო ადგილას განთავსება (აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა და მათივე დაფინანსებით დაიბეჭდა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობების თაობაზე ბროშურები. ბრალდებულთათვის 3000 ცალი; მსჯავრდებულთათვის 3000 ცალი; ქალებისათვის 150-150 ცალი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, სპარსულ, თურქულ ენებზე; არასრულწლოვნებისათვის 100-100 ცალი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, სპარსულ, თურქულ ენებზე; კაცი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის 500-500 ცალი რუსულ, სპარსულ, თურქულ ენებზე, ხოლო ინგლისურად 300 ცალი ბროშურა.

საქმიანობა 4.5.2.2.

საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჯგუფური შეხვედრების გამართვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

პენიტენციურ სისტემაში დანერგილია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები. 2020 წლის განმავლობაში, COVID-19-თან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობით დადგენილი შეზღუდვებიდან გამოდინარე, პენიტენციურ სისტემაში ჯგუფური შეხვედრები შეჩერებული იყო. უფლებების შესახებ

ტრენინგის ჩატარება მოხერხდა მხოლოდ არასრულწლოვნებთან და მასში ჩართული იყო 8 ბენეფიციარი.

ამოცანა: 4.5.3.

უცხოელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების/ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები;

საქმიანობა 4.5.3.1. უცხოელ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მათთვის გასაგებ ენაზე განემართოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

უცხოელ ბრალდებულ/მსჯავრდებულებს წერილობითი და ზეპირი სათარჯიმნო მომსახურება მიეწოდებათ შეუფერხებლად, ზეპირი სათარჯიმნო მომსახურება წარმოება 24 საათის განმავლობაში. ამას გარდა, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების ბროშურები დაიბეჭდა პენიტენციურ სისტემაში ყველაზე მოთხოვნად 4 ენაზე.

ამოცანა: 4.5.4.

პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ამოცანის ინდიკატორი: გასაჩივრებათა რაოდენობა შიდა მონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად

გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები.

საქმიანობა: 4.5.4.1. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების პერიოდული შესწავლა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გარანტირებულია პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე გასაჩივრების უფლება. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან ხდება საჩივრის წარდგენა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთო სასამართლოებში. ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია საჩივრის ყუთები.

ამოცანა: 4.5.5.

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით;

ამოცანის ინდიკატორი: ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია; ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია;

საქმიანობა 4.5.5.1. პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია

ქვეყანაში არსებული ეპიდემოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა გადამზადება არ განხორციელებულა. თუმცა აღნიშნული აქტივობა განგრძობადი პროცესია და ის გაგრძელდება პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

საქმიანობა 4.5.5.2.

არქივის ცენტრალიზების ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებათა დაარქივებული დოკუმენტაცია ეტაპობრივად გადაეცემა და დარჩენილი კანონის შესაბამის ვადაში განადგურდება (ცენტრალიზების პროცესი დაწყებულია);

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა დასრულებულია. იხილეთ 2019 წლის ანგარიშში.

5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

მიზანი: 5.1.

ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერება;

ამოცანა: 5.1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: გაანალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებულია შესაბამისი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; შესაბამისი უწყებების ინსტიტუციონალური სტრუქტურა; შესაბამისი ცვლილებები მომზადებულია ნორმატიულ აქტებში; შემუშავებულია ახალი საკანონმდებლო აქტი

საქმიანობა 5.1.1.2.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმი შემუშავდა 2019 წელს. პილოტირება მიმდინარეობს ფსიქიატრიული სტაციონარული სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში.

ამოცანა: 5.1.2.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად;

ამოცანის ინდიკატორი: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები სუპერვიზიის საფუძველზე შემუშავებული ანგარიშები;

საქმიანობა 5.1.2.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 2020 წელს, დასრულდა ტრენერთა ტრენინგი შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში დასაქმებული ექიმებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადებას დაზიანებების დოკუმენტირების მიმართულებით.

2020 წლის IV კვარტალში, დაგეგმილი იყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის ტრენინგი სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და ფოტომასალის შენახვის წესების შესახებ, თუმცა, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან (COVID-19-ის გავრცელების საფრთხის გათვალისწინებით) გამომდინარე, აღნიშნულ საკითხებზე ექიმების გადამზადება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. ტრენინგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვერ მოხერხდა მისი დისტანციურ რეჟიმში ორგანიზებაც. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სამედიცინო პერსონალისთვის ტრენინგები არ ჩატარებულა. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა მხოლოდ 2018 წელს.

საქმიანობა 5.1.2.2.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების სუპერვიზია და შიდა მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის 30 ნოემბერს დამტკიცდა „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N2663 ბრძანება, რომლითაც შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ შეტყობინების განსხვავებული წესი განისაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექიმების ძირითადი ნაწილი მომზადებულია დაზიანებათა დოკუმენტირების საკითხებში და საჭიროების შემთხვევაში, პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა, დოკუმენტირება და ფოტოგრაფირება, ხორციელდება მოქმედი ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ფორმების მიხედვით. განახლებული N2663 ბრძანების საფუძველზე, მომზადდა სასწავლო პროგრამის პროექტი და დაგეგმილია შესაბამისი მედპერსონალის გადამზადება აღნიშნულ თემატიკაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახური მუდმივ რეჟიმში მონიტორინგს უწევს იზოლატორებში დასაქმებული ექიმების საქმიანობას და მათ მიერ დაკავებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადოდ დოკუმენტირებას.

სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელებული ანალიზის შედეგად, შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით და ინდივიდუალურად დაეგზავნა თითოეულ ექიმს.

სამედიცინო შემონმების მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ერთიანი სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდა და შს მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N1/81 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოსათავსებელი/მოთავსებული პირების სამედიცინო შემონმების ჩატარების ინსტრუქცია“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო მუშაკებისთვის, რათა მათ მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყონ დაკავებული პირისგან სრული ინფორმაციის მიღება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და არსებული ჩივილების შესახებ, სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალური დოკუმენტირება სტამბოლის ოქმის შესაბამისად, ასევე დაკავებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტების გამოვლენა.

ამასთანავე, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, დამატებით შემუშავდა დოკუმენტი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მონიტორინგის ინსტრუმენტის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს იზოლატორებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდა-

რტებთან გათანაბრებული მომსახურების უზრუნველყოფას, სამედიცინო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

ამოცანა: 5.1.3.

გამოძიების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან;

საქმიანობა 5.1.3.2.

გამოძიებასთან დაკავშირებული სტატისტიკის პროაქტიულად მიწოდება საზოგადოებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ყოველთვიურად ქვეყნდება საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე info.police.ge.

მიზანი: 5.2.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა;

ამოცანა: 5.2.1. ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი პირების მკურნალობის სერვისები გაუმჯობესებულია;

საქმიანობა 5.2.1.1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (მ.შ. სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ფსიქიატრიულ განყოფილებებში) მყოფი პირების უზრუნველყოფა ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის თანამედროვე სერვისებით, მათ შორის ამბულატორიული სერვისებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან როგორც ფსიქიკური, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სომატური ჯანმრთელობის თანამედროვე სერვისებით. იმ შემთხვევაში თუ N18 სამკურნალო დაწესებულებაში არ არსებობს რომელიმე საჭირო სერვისი, პაციენტის რეფერირება ხდება სამოქალაქო სექტორის შესაბამის მულტი ან მონოპროფილურ კლინიკაში. ამჟამად სამსახურს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სამოქალაქო სექტორის 23 სხვადასხვა კლინიკასთან. სამსახური ასევე აქტიურად თანამშრომლობს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ცენტრთან“, სადაც პაციენტების რეფერირება ხდება საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში. ასევე, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირის სამკურნალოდ გადაყვანა ხდება სამოქალაქო სექტორის შესაბამის ფსიქიატრიულ სტაციონარში.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი ყველა ის პაციენტი, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის და სხვა სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარს, უფლებამოსილია ისარგებლოს სომატური დაავადებების სამკურნალოდ აღნიშნული პროგრამებით. ამას გარდა, რეფერალური პროგრამის ფარგლებში განიხილება იმ მომსახურების დაფინანსების საკითხი, რო-

მელიც არ იფარება ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამებით ან დაზღვევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიუხედავად პაციენტის მოქალაქეობისა. საჭიროებისა და სიმძიმის გათვალისწინებით, პაციენტის, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების მიერ, ან სასწრაფო დახმარების მანქანების მეშვეობით ხდება პაციენტის ტრანსპორტირება საჭირო სერვისების მისაღებად.

ამოცანა: 5.2.2.

იძულების ღონისძიებების გამოყენების პრინციპებისა და პროცედურების შემუშავება;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია და დამტკიცებულია ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში;

საქმიანობა 5.2.2.1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისათვის ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკანონმდებლო აქტების გადახედვა და განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკანონმდებლო აქტების გადახედვის, განახლების და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი.

6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მიზანი: 6.1.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება;

ამოცანა: 6.1.1. პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებულია საკანონმდებლო ცვლილებები, მიღებულია კანონქვემდებარე აქტები;

საქმიანობა 6.1.1.2. კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და განახლება პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობა; საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია

აქტივობის განხორციელების ვადა დამოკიდებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიღების პერიოდზე, საანგარიშო პერიოდში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტს არ მიუღია. შესაბამისად აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა.

ამოცანა: 6.1.2.

პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, კანონმდებლობის პრაქტიკაში ეფექტური დანერგვის გზით;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობა გაზრდილია 10%-ით წინა წელთან შედარებით; განხილულია განცხადებები; გაცემულია კონსულტაციები; ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; მომზადებულია წელიწადში სულ მცირე ორი რეკომენდაცია;

საქმიანობა 6.1.2.1. ინსპექტირებების განხორციელება საჯარო სექტორში, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს საჯარო სექტორის (მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების) მიმართ ჩატარდა 56 შემოწმება. იმავე რაოდენობის მაჩვენებელია 2020 წელსაც. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება ინსპექტირებების 10%-ით ზრდასთან დაკავშირებით სრულად ვერ განხორციელდა, რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით: 1. მსოფლიოში და მათ შორის, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაწესებულებების უმეტესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რამაც ხელი შეუშალა ინსპექტირებების რაოდენობის ზრდას; მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ჩატარებული ინსპექტირებები იყო მოცულობითი და მოითხოვდა დიდ რესურსს.

საქმიანობა 6.1.2.2.

ინსპექტირებების განხორციელება კერძო სექტორში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს კერძო სექტორის მიმართულებით ჩატარდა 100 შემოწმება. 2020 წელს ჩატარდა - 63. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება ინსპექტირებების 10%-ით ზრდასთან დაკავშირებით სრულად ვერ განხორციელდა, რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით: 1. მსოფლიოში და მათ შორის, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაწესებულებების უმეტესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რამაც ხელი შეუშალა ინსპექტირებების

რაოდენობის ზრდას; 2. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ჩატარებული ინსპექტირებები იყო მოცულობითი და მოითხოვდა დიდ რესურსს.

საქმიანობა 6.1.2.3.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტური რეაგირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა 166 განცხადება პერსონალურ მონაცემთა სავარაუდო ფაქტების დარღვევასთან დაკავშირებით როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო (მათ შორის, სამართალდამცავ უწყებებში) დაწესებულებებში და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, განხორციელდა დაწესებულებათა შემოწმება და საერთო ჯამში, გამოვლინდა 106 სამართალდარღვევის ფაქტი.

საქმიანობა 6.1.2.4.

საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, განსაკუთრებით გაიზარდა მომართვები პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ტრენინგის ჩატარებით დაინტერესებული საჯარო უწყებების მხრიდან. 2020 წელს მიზნობრივი ტრენინგები ჩატარდა იუსტიციის სახლისა და საქპატენტის თანამშრომლებს. ტრენინგების დღის წესრიგი აგებული იყო სამიზნე საჯარო დაწესებულებების თანამშრომელთა საქმიანობის სპეციფიკაზე.

ამასთან, ვინაიდან 2020 წელი წარმოადგენდა საარჩევნო წელს, საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და საარჩევნო საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კერძოდ, გადამზადება ჩატარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელი ხაზის ოპერატორებს; დამატებით, ცესკო-ს თანამშრომლებისთვის ასევე განხორციელდა ტრენინგები. რის შედეგადაც, ადგილზე სასწავლო პროცესის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა შეიქმნა. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანების, „ერთად არჩევნებისთვის“ მომართვის საფუძველზე, სა-

მსახურის მიერ განხორციელდა ტრენინგი - საარჩევნო პროცესებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე. ტრენინგის ფარგლებში, ათამდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გაეცნო პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელ კანონმდებლობას, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს. მიღებული ცოდნა ტრენინგის მონაწილეებს საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების მარეგულირებელი კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და პრევენციაში დაეხმარებათ.

2020 წელს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის თემაზე HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი შემუშავდა და დაინერგა. აღნიშნული კურსი ამ სექტორში ადამიანის უფლებების დაცვის, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. HELP-ის დისტანციურ სასწავლო კურსში შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან 30-ზე მეტი წარმომადგენელი ჩაერთო. მონაწილეები შეირჩნენ იმ სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც შესაბამის უწყებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით პოლიტიკის განსაზღვრაზე, თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგზე, გადამზადებაზე და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონტროლზე არიან პასუხისმგებლები.

საქმიანობა 6.1.2.5.

საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის კონსულტაციების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაცემის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდა კერძო კომპანიებთან. კერძო დაწესებულებებს გაეწიათ 850 კონსულტაცია, საჯარო დაწესებულებებს - 478, ხოლო ფიზიკურ პირებს - 1809. ჯამში სამსახურის მიერ გაიცა 3137 კონსულტაცია (სატელეფონო გზით). კონსულტაციის გაცემის შემთხვევებში, უმეტესად არ არის იდენტიფიცირებადი ვინ მოგვმართავს.

საქმიანობა 6.1.2.6.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება, გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტის, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებისასთანავე, დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას.

2020 წელს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ.

2020 წელს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 18 პირის მიმართ.

ამოცანა: 6.1.3.

პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება და ეფექტურობის ზრდა;

ამოცანის ინდიკატორი: დანერგილია საქმისწარმოების სისტემა; განახლებულია ტექნიკური ინფრასტრუქტურა; ამაღლებულია თანამშრომელთა კვალიფიკაცია; განხორციელებულია პროექტები სხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად; დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმები;

საქმიანობა 6.1.3.1. სპეციალური საქმისწარმოების სისტემის შექმნა და დანერგვა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: შესრულდა 2019 წელს

საქმიანობა 6.1.3.2.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის თანამშრომელთა სისტემატური გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულების თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სულ განხორციელდა 13 სასწავლო აქტივობა, რომელშიც 190-მდე მსმენელი მონაწილეობდა.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თემაზე, HELP-ის დისტანციური პლატფორმის მეშვეობით, 7 თვიანი სწავლება გაიარეს. კურსი საქართველოში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, პირველად დაინერგა და მისი მიზანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ქართველ პრაქტიკოს იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა, უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან. აღნიშნული მიმართულებებით სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება განხორციელდა: ევროპის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციისა (GDPR) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპულ სტანდარტების თემაზე.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და არსებული გამოწვევებისათვის მოსამზადებლად, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გადამზადების კურსი განხორციელდა ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე.

ასევე, სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული სტანდარტის ამაღლებისა და გადამწყვეტილებებისა თუ სხვა სახის დოკუმენტების შედგენის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტრენინგი ჩატარდა სამართლებრივი მართლწერის, მართლწერის და პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების თემაზე.

გარდა აღნიშნულისა, სხვა საკითხებთან ერთად, თანამშრომელთა გადამზადება განხორციელდა გენდერული თანასწორობისა და საჯარო სამსახურში მართვისა და ლიდერობის საკითხებზე.

საქმიანობა 6.1.3.3.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: შესრულდა

საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინტენსიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმასა და კონფერენციაში.

სახელმწიფო ინსპექტორმა 2020 წელს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის ონლაინ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ სხდომებზე განხილული იყო 108-ე კონვენციის დამატებითი ოქმის ხელმოწერასა და რატიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ექსპერტების მიერ მონაცემთა დაცვის ქრილში წარმოდგენილი პრეზენტაციები ისეთ საკითხებზე, როგორცაა: სახის ამომცნობი სისტემები, პროფილირება, მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემა სამართალდამცავი სექტორისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მონაცემთა დაცვა, პოლიტიკური კამპანიების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება და ევროპის საბჭოს სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ქვეყნის სახელით მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში. მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის (GPA) სხდომებსა და ევროპის საბჭოს ხელოვნური ინტელექტის საკითხზე მომუშავე სპეციალური კომიტეტის (CAHAI) სამუშაო შეხვედრებზე.

ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორგანიზატორი უწყების სტატუსით ჩართული იყო მონაცემთა დაცვის სფეროში უმაღლესი დონის საერთაშორისო ფორუმის - ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხებდველო ორგანოების საგაზაფხულო კონფერენციის - სამუშაო ჯგუფში.

საანგარიშო პერიოდში, შეხვედრები გაიმართა ასევე, საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი პროექტების წარმომადგენლებთან.

ამოცანა: 6.1.4.

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია კომუნიკაციისა და საგანმანათლებლო სტრატეგია; ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები და ლექციები; განახლებულია ინსპექტორის აპარატის ვებ-გვერდი და ადაპტირებულია შშმ პირთათვის;

საქმიანობა 6.1.4.3.

საინფორმაციო მასალის დამზადება და გავრცელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ, საზოგადოებაში არსებული საჭიროებებისა და აქტუალური თემების შესაბამისად, მომზადდა და გამოქვეყნდა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ, 1) რეკომენდაცია - „TIK TOK - რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია“ (პერსონალური მონაცემების დაცვის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახურმა შეისწავლა აპლიკაციის ფუნქციები, კონფიდენციალურობის პოლიტიკა და სხვა ქვეყნის მონაცემთა დაცვის წამყვანი ორგანიზაციების რეკომენდაციები. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია - რა მონაცემებს აგროვებს აპლიკაცია, რა მიზნით გამოიყენება და რა ვადით ინახება მონაცემები, დაცულია თუ არა არასრულწლოვანთა უფლებები, როგორ აფასებენ აპლიკაციას სხვადასხვა ქვეყანაში და ა. შ.; 2) რეკომენდაცია პირადობის მოწმობაში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (დოკუმენტი ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას); 3) რეკომენდაცია დაბადების მოწმობის დოკუმენტში არსებული მონაცემების დაცვის შესახებ (დოკუმენტი ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას); 4) რეკომენდაცია საარჩევნო პროცესის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტის მიზანია საარჩევნო პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვა და ამომრჩეველთა მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების პრევენცია); 5) რეკომენდაცია COVID19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით (დოკუმენტი მიზნად ისახავს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პროცესში ორგანიზაციების დახმარებას. რეკომენდაციაში მოცემულია განმარტებები ჯანდაცვის დაწესებულებების და დამსაქმებლების მიერ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე, დისტანციური შეხვედრებისა და სწავლების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, მონაცემების

დაცვასა და უსაფრთხოებაზე და ა. შ.); 6) რეკომენდაციები სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ორ ნაწილად. (რეკომენდაციების პირველი ნაწილი განკუთვნილია სკოლებისთვის, ხოლო მეორე- მოსწავლეებისა და მშობლებისთვის).

ამოცანა: 6.1.5.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის განხორციელების მიზნით თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა;

საქმიანობა 6.1.5.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და დაცვის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება ახალი თანამშრომლებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომლებისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგი ორ ეტაპად და საანგარიშო პერიოდში გადამზადდა სულ 68 თანამშრომელი.

ამოცანა: 6.1.6.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირების წესის გადახედვა და დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია კანონქვემდებარე აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად;

საქმიანობა 6.1.6.1. საკითხის ტექნიკური მხარის შესწავლა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

დეტალურად იქნა შესწავლილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მონაცემების შემცველი მონაცემთა მასივები და ტექნიკური შესაძლებლობები მონაცემთა დიფერენცირებული ვადებით შენახვის და შენახვის ვადების გასვლის შემდგომ მათი წაშლის/განადგურების მიმართულებით.

საქმიანობა 6.1.6.2.

კანონქვემდებარე აქტის შემუშავება და მიღება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N201/01-191 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2020 წლის 5 ნოემბერს, ცვლილება შევიდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის N271 ბრძანებაში და განისაზღვრა სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო ბანკში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ დაცული მონაცემების შენახვის, დაარქივებისა და დეპერსონალიზაციის დეტალური წესი. კერძოდ, დადგინდა სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო ბანკში დაცული პერსონალური მონაცემების ახლებური, დიფერენცირებული და ლეგიტიმური მიზნების პროპორციული შენახვის/დაარქივების ვადები სამართალდარღვევათა ხასიათის, სიმძიმის, საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მათგან მომდინარე საფრთხის გათვალისწინებით და აღნიშნული ვადების გასვლის შემდგომ მონაცემთა დეპერსონალიზაციის კონკრეტული წესები და პირობები.

7. გამოხატვის თავისუფლება

მიზანი 7.1.

გამოხატვის თავისუფლება

ამოცანა 7.1.1 ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა, სწრაფი და დროული რეაგირება.

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი დეტალური სტატისტიკა წარმოებული და ხელმისაწვდომია (მოთხოვნისთანავე ან/და ვებ-გვერდზე); ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება განხორციელებულია

საქმიანობა: 7.1.1.1 ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

სტატუსი: განხორციელდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტის, მათ შორის, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას.

2020 წელს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ. 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე, 126-ე და 187-ე მუხლებით, ხოლო 1 პირის მიმართ - 154-ე და 126-ე მუხლებით.

ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით.

2020 წელს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის 1 ფაქტზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

საქმიანობა 7.1.1.2.

სპეციალური სტატისტიკის წარმოება, ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

შინაგან საქმეთა სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; მთავარი პროკურატურა - განხორციელდა

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოებს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებისა და არა დანაშაულის გარემოებათა (მათ შორის, დაზარალებულის პროფესიული საქმიანობის) მიხედვით. ამასთან, სსკოდექსი არითვალისწინებს (გარდა სსკ 154 მუხლისა) დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად დაზარალებული პირის პროფესიულ საქმიანობას, შესაბამისად, ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის შესახებ გამოძიების დაწყების სტატისტიკური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ სსკ 154 მუხლით („ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა“).

საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 14 აგვისტოს № 117-გ ბრძანების შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო აღრიცხავს სტატისტიკურ მონაცემებს იმ სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე, სადაც პოტენციური დაზარალებულია ჟურნალისტი. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა იხილეთ 7.1.1.1 აქტივობის შესრულების ნაწილში.

ამასთან, საქართველოს პროკურატურაში ჟურნალისტიკის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მონაცემები აღირიცხება როგორც სპეციალური მუხლის - სსკ-ის 154-ე მუხლით (ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), ისე ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ძალადობის ფაქტებზე.

მიზანი 7.1.

გამოხატვის თავისუფლება

ამოცანა 7.1.3. ციფრული პლატფორმების განვითარების გზით გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი 3.1.ა: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები

საქმიანობა: 7.1.3.1. ციფრული პლატფორმების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, საქროების შემთხვევაში საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, რეკომენდაციების და პროექტის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პარტნიორი უწყება: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“, მისი დაინიცირება კავშირში იყო „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებასთან, რომელსაც უკვე გავლილი აქვს პირველი საპარლამენტო მოსმენა. ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო კოვიდ 19 პანდემიაც, რამაც შეაფერხა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ამ ეტაპისთვის ელექტრონული კომერციის შესახებ კანონპროექტი მზად არის დასაინიცირებლად. კანონპროექტის მიხედვით, შუალედური მომსახურების მიმწოდებელი (ISP) არ იქნება პასუხისმგებელი გადაცემულ ან შენახულ ინფორმაციაზე და არ ექნება ზოგადი მონიტორინგის ვალდებულება გადაცემულ ან/და შენახულ ინფორმაციაზე, რაც ერთი მხრივ, აარიდებს ISP-ებს ზედმეტ ვალდებულებებს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებაში არამართლზომიერი ჩარევის რისკების მინიმუმამდე დაყვანას და ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ციფრული პლატფორმების შემდგომ განვითარებას.

8. შეკრების თავისუფლება

მიზანი 8.1

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა

ამოცანა 8.1.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია

ამოცანის ინდიკატორი: პირები შეუფერხებლად სარგებლობენ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით; ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებულია

საქმიანობა: 8.1.1.1 შეკრების და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა
სტატუსი: განხორციელდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერი დანაშაულებრივი ფაქტის, მათ შორის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იწყებს გამოძიებას.

2020 წელს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

საქმიანობა 8.1.1.2.

შეკრებისა და მანიფესტაციის დროს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სტრუქტურულ დანაყოფებში მუდმივად, მინისტრის მოადგილის მიერ დამტკიცებული საბრძოლო მომზადების პროგრამის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით ტარდება სწავლებები და მეცადინეობები. აღნიშნული სწავლებებისა და მეცადინეობების შინაარსში სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედის მასების მართვის სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხები. ამასთან, აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს ორგანიზებით, დეპარტამენტის მოსამსახურეებთან პერმანენტულად ტარდება „მასების მართვის სასწავლო კურსები“ (Crowd Management Trainings).

შსს აკადემიაში არსებული „პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“ მოიცავს სალექციო თემას „შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება“. აღნიშნულ სასწავლო პროგრამას ასევე გადიან შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირები, რომლებმაც უნდა განახორციელონ პატრულ-ინსპექტორის უფლება-მოვალეობები, მათ შორის, მონაწილეობა მიიღონ შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონიერების დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

ღონისძიებების დაწყებისთანავე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ დაცვას.

საქმიანობა 8.1.1.3.

სამართალდამცავთა მომზადება გადამზადება შეკრებისა და მანიფესტაციის მართვის ტექნიკასა და მეთოდებზე

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

შეკრებისა და მანიფესტაციის, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისა და ძალადობის ფაქტების თავიდან აცილებისა და ასეთ შემთხვევებზე ეფექტიანად რეაგირების მიზნით სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში, როგორც საბაზისო მომზადების პროგრამებში, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში ახორციელებს პოლიციელთა სწავლებას ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გააზრებასა და შესრულებას.

აღნიშნული უფლების სწავლებისას განიხილება, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა:

- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსი და განმარტება ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართ;
- ძალის გამოყენება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს;
- პოლიციის როლი და მნიშვნელობა ამ უფლების დაცვისას.
- 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნული თემატიკით სულ მომზადდა/გადამზადდა 1400-მდე თანამშრომელი.

9. შრომითი უფლებები

მიზანი: 9.1.

შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად

ამოცანა: 9.1.1 საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესის გაგრძელება

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო ინსტიტუტების/მექანიზმების, საქართველოს სახალხო დამცველის/არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა;

მომზადებულია განსახილველი პრიორიტეტული საკითხების შესახებ დოკუმენტი;

შემუშავებული რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი;

პარტნიორობის სამმხრივ კომისიაზე ინიცირებული საკითხებისა და კომისიის შესაბამისი რეკომენდაციების რაოდენობა (მზარდი დინამიკა წინა წლებთან მიმართებით)

საქმიანობა 9.1.1.6. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების განხილვის შედეგად, მიზანშეწონილობის შემთხვევაში მომზადებული ცვლილებების პაკეტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

დოკუმენტით „შრომითი უფლებები საქართველოში - ცვლილებების დღის წესრიგი“ გათვალისწინებული საკითხები და ასოცირების შეთანხმების დანართის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ცალკეული დოკუმენტების მომზადების საჭიროება არ დგას. 2020 წლის 29 სექტემბერს შევიდა ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“. აღნიშნული ცვლილებების შედეგად განხორციელდა ასოცირების შეთანხმების XXX დანართით გათვალისწინებული 11 დირექტივის მოთხოვნათა

ტრანსპოზიცია ქართულ კანონმდებლობაში. ცვლილებების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა, ასევე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციები. საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული სოციალური პარტნიორები. აღნიშნულ ცვლილებებზე მუშაობა მიმდინარეობდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებითა და მხარდაჭერით „შრომის კანონმდებლობის რეფორმის „ პროექტის ფარგლებში.

საქმიანობა 9.1.1.7.

შრომის სამართლის და დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის სფეროს სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობა (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების ვადების შესაბამისად)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

იხ. 9.1.1.6. პუნქტის კომენტარი

საქმიანობა 9.1.1.8.

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების ვადების შესაბამისად)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც 2019 წლის 1 სექტემბრიდან გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგის მიმართ და გაფართო-

ვდა ზედამხედველი ორგანოს მანდატი, რაც გულისხმობს ზედამხედველი ორგანოს უფლებამოსილებას დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სასამართლოს ნებართვისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს დამსაქმებლის მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების შესრულების/დაცვის მდგომარეობა. სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2020 წლამდე მომზადდა ზემოაღნიშნული კანონიდან გამომდინარე 9 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. 2020 წელს პროექტის “შრომის კანონმდებლობის რეფორმა” ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს შრომის კოდექსი”. ამავე წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “შრომის ინსპექციის შესახებ”, რომლითაც განისაზღვრა შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებები, ამ უფლებამოსილებების განხორციელებასა და შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული ვადების შესაბამისად 2020 წლის ჩათვლით ითარგმნა 8 ევროდირექტივა საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიზნით. მათგან აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში სრულად ასახულ იქნა 89/391/EEC ჩარჩო დირექტივა. 2020 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ 10 ნორმატიული აქტი.

ამოცანა: 9.1.3.

საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შრომის უფლებასთან დაკავშირებით არსებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების/ კონვენციების იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესის გაგრძელება

ამოცანის ინდიკატორი: კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების საკითხებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის/ევროპის საბჭოს, საქართველოს სახალხო დამცველის/არასამთავრობო ორგანიზაციების, ყოველწლიურ დასკვნებში ასახული პოზიტიური დინამიკა

საქმიანობა 9.1.3.1. წლის განმავლობაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული მინიმუმ 3 კონვენციის მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი მათი პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელების მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა

შსო-ს ექსპერტთა დასკვნები ემყარება არა მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული ნორმების კონვენციებთან შესაბამისობის შეფასებას, არამედ იმასაც, თუ როგორ ხდება ამ ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა, რა რესურსები იხარჯება ქვეყნის მიერ ამ ნორმების იმპლემენტაციაზე და როგორია ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა (ხდება მისი განზოგადება). შესაბამისად ამოცანა კომპლექსურია და მოითხოვს სხვადასხვა უწყებების ჩართულობას და დიდ ადამიანურ და დროით რესურსს. რაც შეეხება რეგულარული ანგარიშების წარდგენას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მოთხოვნით 2020 წელს წარსადგენი ანგარიშების ვადამ გადაინია 2021 წელს. 2020 წელს გაიგზავნა მხოლოდ N122 კონვენციის ანგარიშთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაცია.

საქმიანობა 9.1.3.2.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არარატიფიცირებული N81, N129, N155, N176, N183, N102, N156 კონვენციების მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე მათი რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

აღნიშნული კონვენციების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვის საკითხი გათვალისწინებულია სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმაში ეტაპობრივად. 2020 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) ტექნიკური დახმარების ფარგლებში დაიწყო N102, N183, N189, N156 კონვენციების რეგულირების გავლენის ანალიზი (RIA) ანალიზის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება მათი რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა.

საქმიანობა 9.1.3.4.

ევროპის სოციალური ქარტიის არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა

ევროსაბჭოს ექსპერტთა დასკვნები ეფუძნება არა მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული ნორმების ქარტიის ნორმებთან შესაბამისობის შეფასებას, არამედ იმასაც, თუ როგორ ხდება ამ ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა, რა რესურსები იხარჯება ქვეყნის მიერ ამ ნორმების იმპლემენტაციაზე და როგორია ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა. შესაბამისად ამოცანა კომპლექსურია და მოითხოვს სხვადასხვა უწყებების ჩართულობას და დიდ ადამიანურ და დროით რესურსს.

ამოცანა: 9.1.4.

შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შრომითი მედიაციის წარმოების პროცესის სრულყოფა

ამოცანის ინდიკატორი: მედიაციის საშუალებით წარმოებული კოლექტიური შრომითი დავების რაოდენობა მორიგების შემთხვევების დინამიკის ჩათვლით; მედიატორთა ტრენინგების რაოდენობა; მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმებების აღსრულების მზარდი მაჩვენებელი; მომზადებული კოლექტიური შრომითი დავების განვითარების ხედვის დოკუმენტი; კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრულ საკითხებზე მომზადებული წინადადებები და ინიცირებული ცვლილებები

საქმიანობა 9.1.4.2. კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრული საკითხების განხილვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2020 წელს მომზადდა კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვის შესახებ დოკუმენტის პროექტი. 2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს შრომის კოდექსი” განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმებს, დაცვის მხარის უფლებას, ამ შეთანხმების აღსრულების მიზნით მიმართოს სასამართლოს და სხვ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტის პროექტი მოითხოვს კორექტირებას კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კოლექტიური შრომითი დავების მედიატორთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 2020 წელს დამტკიცდა მედიატორთა განახლებული რეესტრი და მისი შემადგენლობა ნაცვლად 8-ისა განისაზღვრა 17 მედიატორით. 2020 წელს ადგილი ჰქონდა მედიაციის 6 შემთხვევას, აქედან ერთი დასრულდა შეთანხმებით.

საქმიანობა 9.1.4.3.

შრომითი დავების ეფექტურად მოგვარების მიზნით მართლმსაჯულებაზე დასაქმებულთა მისაწვდომის გაძლიერების წინადადებების განხილვა და რეფორმის ხედვის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

იხ. 9.1.4.2. საქმიანობაზე კომენტარი

ამოცანა 9.1.5.

სოციალური დიალოგის განვითარება/გაძლიერება ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე

ამოცანის ინდიკატორი: კოლექტიური ხელშეკრულებების (დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებით) რაოდენობის ზრდა; დამოუკიდებელი და ძლიერი დამსაქმებულთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები; გაფიცვებისა და ლოკაუტის რაოდენობების შემცირების დინამიკა; გაძლიერებული სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგის დინამიკა; წლის განმავლობაში ჩატარებული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მინიმუმ 2 და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მინიმუმ 4 შეხვედრა; კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები/დიალოგის შედეგად არსებული შედეგები

საქმიანობა 9.1.5.3. შრომითი დავების ეფექტურად მოგვარების მიზნით მართლმსაჯულებაზე დასაქმებულთა მისაწვდომის გაძლიერების წინადადებების განხილვა და რეფორმის ხედვის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობაში შემავალი სამთავრობო უწყებები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

2020 წელს ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 1 სხდომა. განსახილველი საკითხები შეეხებოდა კოლექტიური შრომითი დავების შემათანხმებელი პროცედურებით წარმოების მიზნით მედიატორთა რეესტრის დამტკიცებას, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმასა და სხვ. 2020 წელს გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა.

ამოცანა 9.1.6.

სამუშაო ძალის შრომითი მიგრაციის რეგულირება და მართვა, ლეგალური შრომითი მიგრაციის სქემების დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა; საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით ლეგალური მიგრაციით დასაქმებულთა რაოდენობა

საქმიანობა 9.1.6.1. შრომითი მიგრაციის სფეროში ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების გზით

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

- 2020 წლის 17 იანვარს საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“ შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ლეგალურად, 3 თვით დასაქმდნენ გერმანიაში;

- 2020 წლის 30 სექტემბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის ორმხრივ ხელშეკრულებას „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ისრაელის სახელმწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 6 ნოემბერს.

- პარალელურად მიმდინარეობს დიალოგი ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.

საქართველოში შრომითი მიგრაციის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ანგარიშების საფუძველზე საქართველოში 2018-2020 წლებში დასაქმებულია 464 უცხო ქვეყნის მოქალაქე. ხოლო, საზღვარგარეთ 2018-2019 წლებში დასაქმებულია 250 საქართველოს მოქალაქე, 2020 წელს დასაქმდა - 180.

საქმიანობა 9.1.7.1.

სამუშაო ადგილებზე დაშავების და გარდაცვალების შემთხვევებზე სისხლის სამართლის გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირება და პროექტიული გამოქვეყნება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სამუშაო ადგილებზე დაშავების და გარდაცვალების შემთხვევებზე სისხლის სამართლის გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზირებულია და გამოქვეყნებულია პროექტიულად პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე

10. საკუთრების უფლების დაცვა

მიზანი: 10.1

საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა

ამოცანა: 10.1.2. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, იურიდიულ პირთა რეგისტრაციასთან მიმართებით მაღალი სტანდარტების დანერგვა/ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია მაღალი ხარისხის მონაცემთა ელექტრონული ბაზები

- დამუშავებული და სისტემატიზებულია ელექტრონული მონაცემები

- უზრუნველყოფილია სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის საჯაროობა

საქმიანობა 10.1.2.1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია, შესწავლა და მათი ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შედარება, აღმოჩენილი უზუსტო/ხარვეზიანი ელექტრონული ჩანაწერის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, არქივში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათი გაციფრება/საჯაროდ ხელმისაწვდომობა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქმიანობა მოიცავს, როგორც იურიდიულ პირთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შესწავლასა და დამუშავებას, ისე დოკუმენტაციის გაციფრულებას (სკანირებას) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებას. დოკუმენტაციის შესწავლისა და დამუშავების შედეგად, სისტემატიზებულია და ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შესაბამისობაშია მოყვანილი საქმის 50%. დოკუმენტაციის გაციფრულების (სკანირების) შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია სუბიექტთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის 100%.

2020 წელს გავრცელებულმა პანდემიამ (COVID-19) გარკვეულწილად შეაფერხა ამ საქმიანობის ფარგლებში 2020 წლის პერიოდში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება. 2020 წელს დაგეგმილი იყო ახალი თანამშრომლების აყვანა, კერძოდ, იუსტიციის

სამინისტრო და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ გეგმავდა ამ საქმიანობის განხორციელებლად პატიმარ ქალთა დასაქმების პროექტის დაწყებას. აღნიშნულისთვის სააგენტოს ბიუჯეტშიც იყო გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსი, მაგრამ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის უზრუნველსაყოფად, ეს პროცესი შეფერხდა. მიუხედავად წარმოქმნილი დაბრკოლებებისა, აქტივობა გრძელდება და სააგენტო საკუთარი რესურსით აგრძელებს მის განხორციელებას.

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ ეს საქმიანობის განგრძობადი პროცესია და ის განხორციელდება შემდეგ წლებშიც.

11. ეკოლოგიური უფლებები

მიზანი: 11.1.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის მექანიზმების გაუმჯობესებით და გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმების დანერგვით, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ამოცანა: 11.1.1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე საზოგადოების წარმომადგენლების გაზრდილი რაოდენობა;

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” საფუძველზე გამართული საჯარო განხილვების გაზრდილი რაოდენობა

საქმიანობა 11.1.1.1. “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში” მოცემული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული დებულებების ეფექტიანი განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2018 წლის 1 იანვრიდან სკრინინგის გადაწყვეტილების, სკოპინგის დასკვნის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია თავსდება სამინისტროს ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)ს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო და შესაბამისი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას.

საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე ქვეყნდება ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას. მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, საჯარო განხილვის დროს. სამინისტრო იხილავს ყველა შენიშვნას/მოსაზრებას და საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს ასახავს გადაწყვეტილებებში. სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ასევე ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტს საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნების მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტრო უზრუნველყოფს ოფიციალურ ვებგვერდსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით განცხადებების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განთავსებასა და საზოგადოებისგან შენიშვნების მიღებას, გაიზარდა საზოგადოების ინფორმირების დონე.

შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ მოცემული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული დებულებების კვლავ ეფექტურად გაგრძელების მიზნით, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №196 დადგენილების საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე, თუმცა ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნა როგორც წერილობით (მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6) ასევე ელექტრონული საშუალებით (ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge), ამასთან, დამატებით 2020 წლის 18 სექტემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პანდემიის/ეპიდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა იმართება დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

ამოცანა: 11.1.2.

გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვიანობის რაოდენობის ფარდობა გასული ერთი წლის მონაცემებთან მიმართებით

საქმიანობა 11.1.2.1. ორჰუსის კონვენციის სტანდარტების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოში ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები დაცულია სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით.

რაც შეეხება უშუალოდ სამინისტროს მხრიდან აღნიშნულის განხორციელების საკითხს - სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს ინფორმაციის პროაქტიულობასა და საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას.

2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით გარემოს დაცვით საკითხებზე მომართა 160-მა განმცხადებელმა, აქედან სრულად გაიცა პასუხი 149 განცხადებაზე, არ დაკმაყოფილდა ერთი განცხადება, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 განცხადება: მათგან ერთ განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია ბუნდოვანი იყო, 2 განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ ინფორმაციას, ხოლო 7 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, განსჯადობის მიხედვით გადაიგზავნა შესაბამის საჯარო უწყებაში, რის შესახებაც ეცნობათ განმცხადებლებს.

სამინისტროს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით 2020 წელს ადმინისტრაციული საჩივრით მომართა 8 პირმა (9 საჩივარი - 2019 წელს), ხოლო სასამართლო წარმოებაში იქნა მიღებული გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით 16 ახალი საქმე (8 საქმე - 2019 წელს).

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია“ (ორჰუსი) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც აერთიანებს საზოგადოების შესაძლებლობას ჰქონდეს

წვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე, ისევე, როგორც საზოგადოების ჩართულობასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

ამოცანა: 11.1.3.

გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვით საკითხებზე ჩატარებული 50 ტრენინგი/ლექცია-სემინარი;

გარემოსდაცვით საკითხებში დატრენინგებული პირების გაზრდილი რაოდენობა;

გარემოსდაცვითი თემატიკით სოციალურ მედიაში გავრცელებული საინფორმაციო-შემეცნებითი სიახლეების რაოდენობა

საქმიანობა 11.1.3.1. გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია სამინისტროს მიმდინარე, განხორციელებული თუ დაგეგმილი საქმიანობისა და აქტივობების შესახებ, მათ შორის გარემოსდაცვითი მიმართულებით. წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებები იმართება გარემოსდაცვითი მწვანე დღეების აღსანიშნავად, რის შესახებაც საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ხდება სოციალური ქსელებისა და სატელევიზიო გადაცემების საშუალებებით.

2020 წელს სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გარემოსდაცვით საკითხებზე გაიმართა 73 ტრენინგი/ლექცია-სემინარი (2019 წელს - 66 სემინარი) კერძოდ, გარემოსდაცვითი თემატიკით გაიმართა 42 ტრენინგი (2019 წელს - 35 ტრენინგი), რომელშიც მონაწილეობდა 719 პირი, მათ შორის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული 354 პირი, ხოლო დაინტერესებული საზოგადოება - 365 პირი. ასევე გაიმართა გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ასამაღლებელი 31 ლექცია-სემინარი, რომელსაც ესწრებოდა 759 მოსწავლე და მასწავლებელი. გარემოსდაცვითი თემატიკით სოციალურ მედიაში გავრცელდა 218 საინფორმაციო-შემეცნებითი სიახლე.

12. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება

მოქმედების სფერო - სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდაჭერა

მიზანი: 12.2

სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება

ამოცანა: 12.2.3 გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება არსებობს სტატისტიკური ინფორმაციის გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტი ;

ამოცანის ინდიკატორი: სამინისტროების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის უწყების ფარგლებში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მიწოდებულია;

საქმიანობა: 12.2.3.2 სამინისტროების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის უწყების ფარგლებში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების მიწოდება

პასუხისმგებელი უწყება: სამინისტროები, საქსტატი

სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შესაბამისი მონაცემები იგზავნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში.

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის აღრიცხვას და სტატისტიკის წარმოებას კატეგორიების მიხედვით გენდერულ შრილში. ეს მონაცემები კვარტალურად ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი), რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას კვარტალურად აქვეყნებს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე info.police.ge.

საქსტატი ახორციელებს საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევას და ავრცელებს მონაცემებს დაკავებული სამუშაო ადგილების, საქმიანობის სახეების, სექტორების მიხედვით შესახებ გენდერულ ქრილში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის გაგზავნილ იქნა დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

საქმიანობა 12.2.4.1:

შესაღებლობების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2019 და 2020 წლების კანონპროექტების გენდერული ანალიზი (მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი), რეკომენდაციების მომზადება და ინტეგრირება საბოლოო დოკუმენტებში;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, რომლის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა როგორც აღნიშნული სამოქმედო გეგმა, ასევე „საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა“. გენდერული ანალიზისას დოკუმენტალურ საფუძველად გამოყენებულ იქნა: „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი თანდართული მასალები; „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი თანდართული მასალები; დოკუმენტის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ანალიზისას ასევე გამოყენებულ იქნა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი. დოკუმენტი განთავსდა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ვებ-გვერდზე http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/saxelmcifo_biujetis_genderuli_analizi_2019.pdf

ასევე, ოფიციალურად დაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს.

მიზანი: 12.4

მართლმსაჯულების განხორციელების გზით გენდერული თანასწორობის პრინციპების გაძლიერება

ამოცანა: 12.4.3 მართლმსაჯულების განხორციელების გზით გენდერული თანასწორობის პრინციპების გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები; გენდერულ თემატიკასა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ შექმნილი გამოცემები.

საქმიანობა: 12.4.3.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სტატისტიკის წარმოება

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სასამართლო სისტემაში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სტატისტიკის წარმოება წარმართა 2 მიმართულებით: სისხლის სამართლის დანაშაულებისა და გამოცემული დამცავი ორდერების მიხედვით. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულებზე ეტაპობრივად მოხდა სტატისტიკურ ბარათებში მონაცემების დამატება, ცალკე გამოიყო ინფორმაცია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე. დამცავი ორდერების მიხედვით გაუმჯობესდა 2018 წელს დანერგილი აღრიცხვის სისტემა და 2020 წლიდან სატესტო რეჟიმში თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიშვა უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული პროგრამა (უახლოეს პერიოდში კი დაინერგება ყველა სასამართლოში), შედეგად 2021 წლიდან უკვე შესაძლებელი იქნება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ყველა მონაცემის მიღება.

საქმიანობა: 12.4.3.2.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავება გენდერულ ქრილში

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სასამართლოებში მონაცემთა აღრიცხვის სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შესაძლებელია მონაცემების დამუშავება გენდერულ ქრილში. კერძოდ: მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესის მიხედვით, ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების რაოდენობა, მსხვერპლი ქალების რაოდენ-

ნობა და სხვა, ასევე გამოცემული დამცავი ორდერების მიხედვით მსხვერპლისა და მოძალადის რაოდენობა გენდერულ ქრილში. აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე და განახლებადია ყოველკვარტალურად. პარალელურ რეჟიმში სისტემატიურად იმართებოდა შეხვედრები და ტრენინგები საერთო სასამართლოების თანამშრომლებისათვის სტამბოლის კონვენციისა და გენდერული სტატისტიკის წარმოების თაობაზე.

საქმიანობა: 12.4.3.3.

სასამართლოში მოსარჩელეთა გენდერული სტატისტიკის წარმოება

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა

მიმდინარეობს სტატისტიკის წარმოების ელექტორული პროგრამის შემუშავების პროცესი. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემების გენდერული სტატისტიკის ქრილში მომზადებას და ანალიზს. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობის განხორციელებამ გადაიწია მომდევნო პერიოდისთვის.

საქმიანობა: 12.4.5.1.

სტამბოლისა და CEDAW კონვენციების მოქმედების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული კვლევა-სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის (ადევნება) სასამართლო პრაქტიკა, ანალიზებს სტამბოლისა და CEDAW კონვენციების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხს.

საქმიანობა: 12.4.5.2.

მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრების ორგანიზება კონვენციების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებისა და განმარტების საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

გენდერული თანასწორობის საკითხებზე 2020 წლის 17 თებერვალს ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, საქართველოს საერთო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და თანაშემწეებისათვის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით განხილულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული სასამართლო პრაქტიკა

საქმიანობა: 12.4.5.3.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კორპუსის წარმომადგენლებისა და მათი თანაშემწეებისათვის საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე გამოცემების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული კვლევებისა და ქართულ ენაზე თარგმნილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებით, ასევე, დოკუმენტი მატერიალური ფორმითაც ურიგდება საერთო სასამართლოების მოსამართლეებს.

საქმიანობა: 12.4.5.4.

არსებული რეკომენდაციებისა და ტერმინების თარგმნა და მათი გამოცემა

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის (ადევნება) სასამართლო პრაქტიკის კვლევაში თარგმნილი და გაანალიზებულია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობიდან შესაბამისი დებულებები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, შესაბამისად, მასში მოცემულია ადევნების შესახებ დავის განხილვისათვის საჭირო ტერმინთა განმარტებები და რეკომენდაციები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული კვლევა თემაზე - ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე

მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად სტანდარტებთან დაკავშირებით ანალიზებს ბოლო წლებში ქვეყანაში განხორციელებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც გააუმჯობესდა ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, თუმცა მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ არსებობს კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზები, მათ შორის, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების დეფინიციები, რომლებიც დღემდე არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციითა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამასთან, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების გაუმჯობესებისა და ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით, ნაშრომში თავმოყრილია აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით არსებული ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები. სამართალწარმოების პროცესის სირთულეებისგან ბავშვის უფლებების დასაცავად, პროფესიონალებისთვის შემოთავაზებულია ე.წ. საკონტროლო სია (checklist). იხილეთ: <http://supremecourt.ge/news/id/2153>

საქმიანობა: 12.4.5.5.

სტამბოლის კონვენციის საფუძველზე კანონმდებლობაში იმპლემენტირებული ნოვაციების გამოყენების შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ შეხვედრების ორგანიზება;

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ადამიანის უფლებათა კვირეულისა და ქალთა მიმართ ძალადობის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში 2020 წლის 6 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურმა განყოფილებამ ონლაინ შეხვედრა გამართა, რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს, კანონმდებლობის ნოვაციებსა და საერთაშორისო პრაქტიკას.

საქმიანობა: 12.4.5.6.

ექსპერტების მოწვევა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის 17 თებერვალს ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელის მოსამართლე რენატე ვინტერისა და ექსპერტის, მოსამართლე ტერეზა დოჰერტის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა მოსამართლეებთან და თანაშემწეებთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

მიზანი: 12.5

პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდაჭერა

ამოცანა 12.5.1 პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა, კანდიდატთა, არჩეულ პირთა, დამკვირვებელთა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია გენდერულ ქრილში დამუშავებულია და განთავსებულია ცესკოს ვებ-გვერდზე; ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგის მონაწილეთაგან არჩევნებზე რეგისტრირებული ქალი კანდიდატების რაოდენობა;

საქმიანობა: 12.5.1.1. საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით შექმნა ახალი საინფორმაციო პორტალი, სადაც განათავსა 2014-2020 წლებში ჩატარებული არჩევნების შესახებ გენდერულ ქრილში დამუშავებული შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული პირები, აქტივობა სიიდან, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველები, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი კანდიდატები, არჩეული პირები, დამკვირვებლები, მედია და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები (ცესკო, ოლქი, უბანი). სტატისტიკა პორტალზე ხელმისაწვდომია დამუშავებად ფორმატში (Excel), ხოლო მონაცემები დიაგრამებზე გამოსახულია როგორც რიცხობრივი, ისე პროცენტული მაჩვენებლით. აღსანიშნავია, რომ პორტალის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა წლებში ჩატარებული არჩევნების მონაცემების ერთდროულად გამოტანა. იხილეთ ბმული: <https://genderstatistics.cec.gov.ge/>

საქმიანობა: 12.5.1.2.

პოტენციური კანდიდატი ქალების ტრენინგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

პარტნიორი უწყება: ცესკოსთან არსებული სასწავლო ცენტრი

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა დისტანციურად განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო კურსი „ქალთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად“. კურსის მსმენელები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საკანონმდებლო სიახლეები, გენდერული თანასწორობა არჩევნებში, პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის/რეგისტრაციის წესი და ვადა, წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსების არამართლობიერად გამოყენების პრევენცია საარჩევნო პროცესში, კიბერშევიწროვების პრევენცია, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებრივი მდგომარეობა, კენჭისყრის დღე, მათ შორის, პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო რვა პარტიის წარმომადგენელმა 26-მა ქალმა. ტრენინგში მონაწილე პოტენციური კანდიდატი ქალებიდან, პარლამენტის არჩევნებისთვის სულ რეგისტრირებული იყო სამი ქალი.

ამოცანა: 12.5.2.

სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება გენდერულ საკითხებზე;

ამოცანის ინდიკატორი: არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა, კანდიდატთა, არჩეულ პირთა, დამკვირვებელთა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია გენდერულ ჭრილში დამუშავებულია და განთავსებულია ცესკოს ვებ-გვერდზე; ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგის მონაწილეთაგან არჩევნებზე რეგისტრირებული ქალი კანდიდატების რაოდენობა;

საქმიანობა: 12.5.2.1 სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება გენდერულ საკითხებზე;

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

პარტნიორი უწყება: ცესკოსთან არსებული სასწავლო ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის სრული დაცვით, განახორციელეს საარჩევნო სამოქალაქო განათლების ოთხი პროგრამა, მათ შორის, ორ პროგრამაში ინტეგრირებული იყო მოდული „გენდერი და არჩევნები“. კერძოდ:

ცესკომ განახორციელა ახალი საგანმანათლებლო საარჩევნო პროექტი „ახალგაზრდული ბანაკები“. საპილოტე პროექტის მიზანი იყო არჩევნების პოპულარიზაცია, მონაწილეთა ინტერესის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობრივი უფლებებისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესახებ. სასწავლო კურსი გაიარეს 21-29 წლის ახალგაზრდებმა. მონაწილეთა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული პრინციპები, საარჩევნო სისტემები, საარჩევნო პროცედურები, არჩევნების ისტორია, საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, გამჭვირვალობის პრინციპი, ეთიკური სტანდარტები, გენდერული თანასწორობა, არჩევნების უსაფრთხოება, კრიზისების მართვა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 148-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 73 (49.32%) ქალი და 75 (50.68%) კაცი.

პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ 2020 წელს პირველად ჩაატარა ორჯერ, ზამთარსა და ზაფხულში. სასწავლო კურსი 18-25 წლის ახალგაზრდებმა გაიარეს. პროექტის I ეტაპი (17-28 თებერვალი) განხორციელდა რვა მუნიციპალიტეტის 10 ჯგუფში. კურსი წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი მიიღო 179-მა მონაწილემ, მათ შორის 119 (66%) ქალი და 60 (34%) კაცი. ახალციხის მუნიციპალიტეტში სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა 20-მა მონაწილემ, მათ შორის 18 (90%) ქალი და ორი (10%) კაცი. პრო-

ექტის II ეტაპი (3-14 აგვისტო) განხორციელდა ქ. თბილისსა და 24 მუნიციპალიტეტში. კურსი წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი მიიღო 399-მა მონაწილემ, მათ შორის 265 (66%) ქალი და 134 (34%) კაცი. კურსი ჩატარდა, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ სამ მუნიციპალიტეტში და მონაწილეობა მიიღო 49 პირმა, მათ შორის 33 (67.35%) ქალი და 16 (32.65%) კაცი. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის არჩევნებისთვის პროექტში მონაწილე 34 პირი დასაქმდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

მოქმედების სფერო - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

მიზანი 12.6.

შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა და შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ამოცანა: 12.6.1 დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული კრიტერიუმები ინტეგრირებულია;

საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობების დამუშავება განხორციელებულია;

შესაბამისი დროებითი სპეციალური ღონისძიებები შემუშავებულია;

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა შესაძლებლობები გაძლიერებულია;

საქმიანობა 12.6.1.3. საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა გენდერული ტრენინგი;

პასუხისმგებელი უწყება: სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: განხორციელდა;

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირები ყოველთვის აქტიურად იღებენ მონაწილეობას გენდერის თემასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და ფორუმებში.

2020 წლის მაისში გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას, ასევე, მსოფლიოში გენდერული თანასწორობის შესახებ არსებული ადამიანის უფლებების სამართლებრივი ჩარჩოს გაცნობას. კურსში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამინისტროს სხვადასხვა რგოლის თანამშრომლები.

2020 წლის 16 დეკემბერს ჩატარდება ონლაინ შეხვედა ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დანაყოფიდან გენდერული თანასწორობის რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით. სწავლების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა გენდერი და მასთან დაკავშირებული კონცეფციები და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის კონტექსტში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით 2020 წლის 21-22 დეკემბერს ჩატარდა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სისტემაში შემავალი დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლების გენდერული ტრენინგი.

2018-2020 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი გენდერული თანასწორობის თაობაზე.

ამოცანა: 12.6.2.

პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მიმდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებში მონაწილეთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის ყოველწლიური წარმოება;

შემუშავებულია სასწავლო კურსები/მოდულები;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის/გოგონებისათვის ჩატარებულია პროფესიული გადამზადებისა და უნარ-ჩვევების გასაძლიერებელი ღონისძიებები;

საქმიანობა: 12.6.2.1. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, დასაქმებულთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებსა და ტრენინგებში;

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება;

შესრულების სტატუსი: შინაგან საქმეთა სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი - განხორციელდა;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: განხორციელდა.

2020 წელს შემუშავებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის 2021-2023 წლების სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფას კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებსა და ტრენინგებში. ამასთან, სსიპ - საქართველოს შსს აკადემია რეგულარულად ამუშავებს იმ მსმენელების შესახებ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებმაც აკადემიის ბაზაზე გაიარეს მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებულ საბიუჯეტო ორგანიზაციას (მხარჯავი დაწესებულება), რომელსაც არ გააჩნია ქვეპროგრამები. ამასთან, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სამსახურისთვის დაკისრებული ფუნქციების სპეციფიკა არ ითვალისწინებს სამსახურის მიერ განხორციელებული სერვისების გენდერულ დიფერენცირებას, საბიუჯეტო შრილში. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როგორც 2019 წლის, ასევე, 2020

წლის ბიუჯეტის პროექტები წარმოდგენილი იყო გენდერულად ნეიტრალურ ფორმატში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019-2020 წლების ბიუჯეტის პროექტის გენდერულ ჭრილში შესწავლის, ანალიზის, საჭირო რეკომენდაციების გამოკვეთისა და შესაბამისი ცვლილებების ინტეგრირების კუთხით საჭიროება არ გამოკვეთილა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ინარმოება კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილეთა გენდერული სტატისტიკა. კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში და ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად შეთავაზება ხდება ორივე სქესის თანამშრომელთათვის თანაბრად.

საქმიანობა: 12.6.2.2.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების/გოგონების პროფესიული გადამზადება და უნარ-ჩვევების გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ჩატარდა სასწავლო/ტრენინგ-კურსი „მენარმეობის პრაქტიკული კურსი - საინვესტიციო წინადადების მომზადება და წარდგენა“. სასწავლო კურსის მიზანი ქალებისათვის მენარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერებაა; ტრენინგ-კურსში მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებმა 16 ქალმა.

მიზანი: 12.6.

შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა და შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ამოცანა: 12.6.4 სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენცია და მასზე ეფექტიანი რეაგირება;

ამოცანის ინდიკატორი: საჯარო უწყებების თანამშრომლებს გავლილი აქვთ კურსი სექსუალური შევიწროების შესახებ; წელიწადში მინიმუმ ერთი ფართომასშტაბიანი კამპანია წარმოებულია; შეხვედრები/დისკუსიები საქართველოს ბიზნეს ასოციაცია-ასა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებთან; ამ მიმართულებით საუკეთესო კომპანიები გამოვლენილი და დაჯილდოებულია.

საქმიანობა: 12.6.4.2.

ფართო საზოგადოებაში სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: სახალხო დამცველის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.

საპარლამენტო საბჭოს წევრის ინიციატივითა და USAID/PROLoG მხარდაჭერით ჩატარდა დისტანციური შეხვედრა თემაზე „სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების იმპლემენტაცია: მიღწეული შედეგები და გამოწვევები“. დისკუსია მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, იმპლემენტაციის კუთხით არსებული პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიღებას და მეორე მხრივ, სამართლებრივი რეგულაციების აღსრულების კუთხით არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლო სისტემის და სახალხო დამცველის წარმომადგენლები, ასევე, თემაზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. გარდა ამისა, შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი ბიზნეს ორგანიზაციის გამოცდილება, თუ როგორ უზრუნველყო სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტებზე რეაგირების მექანიზმის დანერგვა. შეხვედრაზე განხილულ იქნა, ასევე, მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კერძო სექტორში შიდა პოლიტიკის დოკუმენტების წახალისებას.

შემუშავდა ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის“. საანგარიშო პერიოდში, ასევე, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან (25 შეხვედრა; 500 მონაწილე), სტუდენტებთან (6 შეხვედრა; 500 მონაწილე), პოლიციის თანამშრომლებთან (15 შეხვედრა; 200 მონაწილე), პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან (4 შეხვედრა; 45 მონაწილე) და შრომის ინსპექტორებთან (4 შეხვედრა; 40 მონაწილე).

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შეხვედრები კომპანიებთან (კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან). აგრეთვე, კომპანიების ადამიანის რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან (HR-ებთან) - 9 შეხვედრა; 150 მონაწილე. ასევე 2020 წელს ჩატარდა 6 შეხვედრა 50 მონაწილე.

მიზანი: 12.7.

ქალთა აუნაზღაურებელი შრომის აღიარება, შემცირება და რედისტრიბუცია;

ამოცანა: 12.7.1. აუნაზღაურებელი შრომის მასშტაბისა და ღირებულების გაზომვა
ამოცანის ინდიკატორი: კვლევა განხორციელებულია და შედეგები გაანალიზებულია; გრძელვადიანი ზრუნვის სტრატეგია შემუშავებულია და ხორციელდება.

ამოცანა: 12.7.1.2.

გრძელვადიანი ზრუნვის სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების დაწყება;

ამოცანის ინდიკატორი: საჭიროებების კვლევა განხორციელებულია, პროექტის ღირებულება შეფასებულია, პროექტის ხუთწლიანი განრიგი შემუშავებულია;

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა;

პარტნიორი უწყება: ფინანსთა სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა, მათ შორის, ხანდაზმულების და მოვლის საჭიროების მქონე პირების ზრუნვის მიმართულებით პოლიტიკის დაგეგმვა/განხორციელება წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომპეტენციას. გრძელვადიანი ზრუნვის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით, ასევე, წარმოადგენდა აღნიშნული სამინისტროს მიერ განსახორციელებელ აქტივობას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტე-

ბის საკუთარ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს შეიმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტი გრძელვადიანი ზრუნვის მიმართულებით და, ასევე, განახორციელოს ხანდაზმულე-ბის/მოვლის საჭიროების მქონე პირების შინ მოვლის თუ სხვა სერვისები. მაგრამ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი საკუთარი ინიციატივით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ახორციელებს შინ მოვლის პროგრამებს, რაც გულისხმობს კვალიფიციური სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდებას საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომლებიც საკუთარ თავს ვერ უვლიან. ამრიგად, კომპეტენციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს არ შეეძლება ვიზიტით გრძელვადიანი ზრუნვის სტრატეგია, მაგრამ ამ სტრატეგიის ძირითადი მიმართულება, რაც მოიცავს შინ მოვლის სერვისის მიწოდებას, დაფარულია ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო პროგრამებით.

ამოცანა: 12.7.2.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო სერვისებით;

ამოცანის ინდიკატორი: საჭიროებების კვლევა განხორციელებულია, პროექტის დირექტორების შეფასებულია, პროექტის ხუთწლიანი განრიგი შემუშავებულია;

საქმიანობა: 12.7.2.1. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, გაზომამარაგებით, გზითა და საჯარო ტრანსპორტით;

პასუხისმგებელი უწყება: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“; ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს;

პარტნიორი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: განხორციელდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: განხორციელდა.

1) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №791 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების 2019-2021წწ გეგმა. განკარგულების მე-9 პუნქტის შესაბამისად მომზადდა წინადადებები და შევიდა შესაბამისი ცვლილებები 17.10.2019 N2193, 27.02.2020 N405 და 29.10.2020 N2148 განკარგულებებით, საბოლოო ჯამში, სამწლიანი გეგმა ითვალისწინებს 384 დასახლებული პუნქტის 88363 პოტენციური აბონენტის გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულებას ჯამური ღირებულებით დაახლოებით 238800 ათას ლარი. გეგმის მიხედვით, 2020 წელს გათვალისწინებული იყო სამშენებლო სამუშაოების შესრულება 45612 პოტენციური აბონენტისათვის

ღირებულებით 60000 ათასი ლარი. ფაქტობრივად, 2020 წლის მდგომარეობით, 36693 აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. მათ შორის, 4962 აბონენტის შემთხვევაში დასრულდა 2019 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, ხოლო 31731 აბონენტისათვის - 2020 წლის გეგმით.

2) კონკრეტული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, ყოველწლიურად ხორციელდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები აბონენტების (დაახლოებით 5700 აბონენტი) მიერ იანვარი-მაისისა და ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ანაზღაურება. პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს იგეგმებოდა 5700 აბონენტის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ანაზღაურება. ღონისძიებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 8000 ათასი ლარი. აღნიშნული სრულად განხორციელდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 6188 აბონენტის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება 8948,71 ათასი ლარის ოდენობით.

3) 2020 წლის საანგარიშო პერიოდში 197 დასახლებულ პუნქტში გაზსადენი აშენდა 33799 პოტენციური აბონენტისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2020 წელს განხორციელდა კვლევა სოფლად მცხოვრები მოსახლეობების შემდეგ საჭიროებებზე: 1. საგზაო ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, სანიაღვრე არხები); ნაპირსამაგრები; მოსაცდელეები; გარე განათება 2. წყალმომარაგება და კანალიზაცია 3. სარწყავი წყლის სისტემები 4. სკოლების და ბაღების ინფრასტრუქტურა 5. სამედიცინო, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა 6. ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის მიწოდება; კომუნიკაციის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა 7. ტრანსპორტირება 8. სხვა საჭიროებები.

სამინისტროს მიერ სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით 2020 წელს განხორციელდა 200 მილიონამდე ღირებულების 722 კილომეტრი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე, სამინისტროს მიერ სოფლად წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელდა 112 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 700 კილომეტრამდე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. მზის პანელები დაუმონტაჟდა 16 მუნიციპალიტეტის 87 სოფლის უშუქოდ დარჩენილ 207 ოჯახს.

ამოცანა: 12.7.3.

სამუშაო გარემოს შეთავსების უზრუნველყოფა მშობლის ვალდებულებებთან;

ამოცანის ინდიკატორი: დედობის შვებულების არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ინიციატივა მომზადებული და წარდგენილია; თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციები შემუშავებულია და წარდგენილია;

საქმიანობა: 12.7.3.2. თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციები შემუშავებულია და წარდგენილია შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოში ინტეგრაციის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმად ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება გაიყო ორ ნაწილად: შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულება ბავშვის მოვლის გამო (თავი VII. შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულება ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო). ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება განისაზღვრა 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 143 კალენდარული დღის ოდენობით. ბავშვის მოვლის გამო შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრა 604 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 587 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე. აღნიშნული შვებულებებით შესაძლებელია ისარგებლოს როგორც ბავშვის დედამ, ასევე, მამამ.

ამოცანა: 12.7.4.

სტერეოტიპებთან ბრძოლა და ცნობიერების ამაღლება აუნაზღაურებელი შრომის თანაბრად გადანაწილების ხელშეწყობის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: მინიმუმ 3 ფართომასშტაბიანი კამპანია განხორციელებულია;

საქმიანობა: 12.7.4.1. ფართომასშტაბიანი კამპანიების განხორციელება აუნაზღაურებელი შრომის თანაბრად გადანაწილების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, მამაკაცების ჩართულობის გაზრდის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს სახალხო დამცველის აპარატს; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას და სტერეოტიპებთან ბრძოლის თემას მიეძღვნა 2020 წლის 16 დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. კამპანია, გზავნილით - „იმოქმედე ძალადობის წინააღმდეგ“, თითოეული მოქალაქის მხრიდან ძალადობის აღსაკვეთად ქმედითი ნაბიჯების წახალისებას ისახავდა მიზნად. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სამთავრობო უწყებებმა 100-ზე მეტი თემატური ღონისძიება ჩაატარეს. 2020 წელს კამპანიას კერძო სექტორიც („Bolt“, „Spar“, „Body Shop“) შეუერთდა. 16-დღიანი კამპანია საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის ოფისის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა. მის ფარგლებში მომზადდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალა და, მათ შორის, ყურადღება გამახვილდა გენდერული თანასწორობის ძირითად ასპექტებზე როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე, შრომით სივრცეში და ოჯახურ გარემოში. აღნიშნულ საკითხებზე საინფორმაციო გზავნილები მოიცავს შრომის თანაბარი გადანაწილების პრინციპების განმტკიცებას.

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა COVID-19-ის დროს ოჯახში ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია და აწარმოა განგრძობადი ცნობიერების ამაღლების კამპანიები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ინფორმაცია გავრცელდა ქვეყანაში მოქმედ სააფთიაქო და („PSP“, „GPC“) და სასურსათო მაღაზიების ქსელებში („Carrfour“, „ორი ნაბიჯი“). ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ,

ასევე, განთავსდა საკარანტინო სასტუმროებში ქვეყანაში დაბრუნებული მოქალაქეებისთვის. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ რეგიონულ დონეზე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში გაავრცელა საინფორმაციო პოსტერი COVID-19-ის პანდემიის დროს საოჯახო საქმესა და ბავშვის აღზრდაში კაცების თანაბარი ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

მოქმედების სფერო-გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში

მიზანი: 12.8.

სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ამოცანა: 12.8.3.

სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელებულია;

საქმიანობა: 12.8.3.1. ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ფართომასშტაბიანი კამპანიის განხორციელება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა აგრარული მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით არაერთი აქტივობა. დეტალები წარმოდგენილია facebook გვერდზე “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება” <https://www.facebook.com/WBLGeorgia>

ამოცანა: 12.8.5.

სოფლად მცხოვრებთათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: სოფლად საკომუნიკაციო საშუალებებზე და ინტერნეტზე წვდომა გაუმჯობესებულია, სულ მცირე, 30%-ით; საინფორმაციო ტექნოლოგიებში სოფლად მცხოვრებ პირთა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები განხორციელებულია;

საქმიანობა: 12.8.5.2 სოფლად მცხოვრებ პირთა შესაძლებლობების გაძლიერება საინფორმაციო ტექნოლოგიებში;

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის N60 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა“, რომელიც სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა ევროკავშირის „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის“ პროექტის HDM/EU4Digital-ის ფარგლებში, რომლის შესაბამისად მოდიფიცირდა ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

ინტერნეტიზაციის პროგრამის განხორციელება იგეგმება 2021-2025 წ. პერიოდში და შეიქმნება ღია დაშვების საბითუმო მომსახურებები მხოლოდ ისეთ დასახლებულ პუნქტებში „თეთრ ზონებში“, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მეტია ან ტოლია 200-ის და ოპერატორების მიერ არ იგეგმება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მომდევნო 3 წლის პერიოდში. 2020 წელს დაიწყო პროექტის საპილოტე ნაწილის განხორციელება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც დასრულდება 2021 წლის თებერვალში.

2020 წელს დასრულდა ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის ჩრდილოვანი ზონების დაფარვა, ოჯახებში დამონტაჟდა 18 IP ტელეფონი; 2020 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავდა კანონპროექტი „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების თაობაზე“. კანონპროექტი დადგენილი წესით მისაღებად საქართველოს პარლამენტში იქნა წარდგენილი 2020

წელს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაიმართა პირველი საკომიტეტო მოსმენა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში.

მიზანი: 12.9.

ეკონომიკურ რესურსებზე ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.9.1. სასოფლო-სამეურნეო მიწისა და უძრავ ქონებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მიწისა და უძრავი ქონების მესაკუთრის შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მუშავდება რეგულარულად; მიწაზე/უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მქონე პირთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია; სასოფლო-სამეურნეო მიწის უფასო რეგისტრაციის ფართომასშტაბიანი პროგრამები განხორციელებულია; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უფასოდ მიღების პროგრამები განხორციელებულია; ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელებულია.

საქმიანობა: 12.9.1.3.

სასოფლო სამეურნეო მიწის უფასო რეგისტრაციის ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელების პროცესის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

სტატუსი: განხორციელდა.

როგორც აღინიშნა, 2016 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მიწის რეგისტრაციის რეფორმა. რეფორმა ეხება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბიუროკრატიული და ფინანსური ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს მანამდე ექმნებოდა. დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო მედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია, საკუთრების უფლების რეგისტრაცია და მასში ცვლილება უსასყიდლოდ (საზღაურის გარეშე) სრულდება.

2019 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმადაც, მოქალაქეები უფასო მომსახურებით ისარგებლებენ 2022 წლის 1 იანვრამდე.

საქმიანობა: 12.9.1.4.

სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უფასოდ მიღების პროგრამების განხორციელების პროცესის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოფლის ტიპის დასახლებებში რეგისტრირებულ 7415 (3448 ქალი) პირზე გაცემულია პირადობის ელექტრონული მოწმობა შედავათიანი პირობით, „სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის“ სტატუსით.

საქმიანობა: 12.9.1.5.

მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ უფასო იურიდიული კონსულტაციის პროაქტიული შეთავაზება მოსახლეობისთვის ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ინდივიდუალური და, სულ მცირე, 10 გასვლითი შეხვედრა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახური;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელა 12 გასვლითი-საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდზე www.legalaid.ge.

საქმიანობა: 12.9.1.6.

ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის, მათ შორის, მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

იხილეთ 2018 წლის ანგარიში.

2020 წლისათვის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეჩერებული იყო ჯგუფური აქტივობები.

ამოცანა: 12.9.2.

ქალთა მენარმეობის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ქალთა მენარმეობის კუთხით არსებული საჭიროებათა კვლევა განხორციელებულია და შესაბამისი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საქსტატის მიერ მიწოდებული შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე; მენარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში უზრუნველყოფილია ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა; ქალთა მენარმეობის მხარდასაჭერად საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის პლატფორმა ჩამოყალიბებულია; ქალთა მენარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელებულია.

საქმიანობა: 12.9.2.2.

ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში;

პასუხისმგებელი უწყება: მენარმეობის განვითარების სააგენტო (ანარმოე საქართველოში)

პარტნიორი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის გამოცხადებული მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სულ შემოვიდა 26,299 განაცხადი, საიდანაც შემდეგ ეტაპზე გადავიდა 4,124. ტრენინგების ეტაპზე გადასული ბენეფიციარებიდან 2074 (50.3%) არის ქალი ბენეფიციარი.

2020 წლის 5 ოქტომბერს გამოცხადდა მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მონაწილე ქალაპლიკანტებს მიენიჭათ პრიორიტეტი შეფასების პროცესში (+2 ქულა).

საქმიანობა: 12.9.2.4.

ქალთა მენარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება;

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის 13 მაისს და 6 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ საინფორმაციო სესიები, რომლის ფარგლებშიც სსიპ "ანარმოე საქართველოში"-ის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სააგენტოს პროგრამებსა და მასში მონაწილეობის პირობებზე. აღნიშნულ შეხვედრებს ესწრებოდა 100-მდე ქალი და მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში არსებული პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევა.

დამატებით, 2020 წელს მეწარმეობის მიმართულებით მომზადდა ვიდეო რგოლები, მათ შორის, 13 ვიდეო რგოლი ქალი მეწარმეებს მონაწილეობით.

ამოცანა: 12.9.3.

ბუნებრივ რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე საბაზისო კვლევა ჩატარებულია და პრიორიტეტული მიმართულებები გამოვლენილია;

ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერულად სპეციფიური პრიორიტეტები ინტეგრირებულია;

ნარჩენების გადამუშავების კუთხით ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები შესწავლილია და საპასუხო ღონისძიებები შესაბამისად დაგეგმილია;

საქმიანობა 12.9.3.1. გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე საბაზისო კვლევის ჩატარება და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, „კლიმატის მწვანე ფონდის“ ხელშეწყობით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით გრძელდება „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ (2019-2026 წწ) პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობაზე, საარსებო გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების შემცირებას ეროვნულ დონეზე მოქმედი, მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის (MHEWS) უზრუნველყოფითა და ადგილობრივ დონეზე რისკის შესახებ ინფორმირებული მოქმედების გზით.

პროექტის სამი ძირითადი კომპონენტი:

1. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ბუნებრივ საფრთხეებზე დაკვირვების გაფართოებული ქსელი და მოდელირების შესაძლებლობები, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სანდო ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების, მოწყვლადობის და რისკის შესახებ;
2. ეფექტიანი ეროვნული რეგულაციებით, კოორდინირების მექანიზმებითა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობებით მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის მხარდაჭერა და კლიმატთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო პროდუქტების შექმნა;
3. მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის (MHEWS) და რისკის შემცირების პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელების გზით მოსახლეობის მედეგობის გაზრდა სათემო დონეზე.
4. პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად მიიღო 580-მა ქალმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №143 დადგენილებით შექმნილი საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ასევე, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, მომზადებულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2021–2030 წლების ახალი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი.

„პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების მიხედვით, პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპებს შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით სფეროს/საკითხის სიტუაციის ანალიზის ჩატარება და ანალიზის საფუძველზე პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების დადგენა, სექტორული პრიორიტეტების გამოყოფა.

ეროვნული სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური ჩართულობით განხორციელდა სიტუაციის ანალიზი, რომლის შედეგადაც გამოიყო პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები. სტრატეგიის დოკუმენტში გარემოს დაცვის საკითხებს ეთმობა მნიშვნელოვანი მიზანი და არაერთი ამოცანა, რომელიც შემდგომში არსებითად იქნება ასახული ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში.

საქმიანობა: 12.9.3.3.

განახლებადი და სუფთა ენერჯის წყაროების ათვისებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ინვესტორები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

განახლებადი და სუფთა ენერჯის წყაროების ათვისება- 2020 წელს ექსპლუატაციაში შევიდა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- იფარი ჰესი, დადგმული სიმძლავრე - 3.3 მგვტ;
- ხელრა ჰესი, დადგმული სიმძლავრე - 3.7 მგვტ;
- ჭაპალა ჰესი, დადგმული სიმძლავრე - 0.43 მგვტ;
- ლახამი 1 ჰესი, დადგმული სიმძლავრე - 6.4 მგვტ;
- ლახამი 2 ჰესი, დადგმული სიმძლავრე - 9.5 მგვტ;

სადგურების ჯამური ინვესტიცია, რაც დაახლოებით 36.6 მლნ. აშშ. დოლარს შეადგენს. ლახამი 1 ჰესის დადგმული სიმძლავრე - 6.4 მგვტ;

მოქმედების სფერო- ბენდარული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში

მიზანი: 12.10.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.10.1.

ჯანდაცვის მუშაკთა შესაძლებლობების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს სერვისების მიწოდებისათვის;

ამოცანის ინდიკატორი: ხორციელდება ახალი გაიდლაინებისა და პროტოკოლების მუდმივი მონიტორინგი, ადაპტირება, დამტკიცება და მათი რეგულარული მიწოდება ჯანდაცვის მუშაკთათვის;

საქმიანობა: 12.10.1.1. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის მეთოდების შესახებ, ახალი გაიდლაინებისა და პროტოკოლების რეგულარულად ადაპტირება, დამტკიცება და მიწოდება ჯანდაცვის მუშაკთათვის მოზარდების, ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი და გენდერულად არაკონფორმული პირების საჭიროებების გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

გაეროს მოსახლეობის ფონდთან თანამშრომლობით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა და 2020 წელს დამტკიცდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები რეპროდუქციული ცენტრებისთვის. სახელმძღვანელო ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რეპროდუქციული ასაკის პირების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით კომუნიკაციის და მომსახურების სტანდარტებს.

ამოცანა: 12.10.2.

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: რეპროდუქციული ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისები ინტეგრირებულია ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამებში;

მონყვლადი ჯგუფებისთვის კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია;

მოზარდებზე, შშმ, ტრანსგენდერ და ლგბტ პირებზე ადაპტირებული სქესობრივი და რეპროდუქციული სერვისები ჩამოყალიბებულია და ინტეგრირებულია პირველად ჯანდაცვაში;

საქმიანობა: 12.10.2.1.

რეპროდუქციული ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის საბაზისო პაკეტში, ასევე, მონყვლადი ჯგუფების უზრუნველყოფა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებით;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

მიმდინარეობს მუშაობა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ახალ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხები.

საქმიანობა: 12.10.2.2.

მოზარდებზე, შშმ, ლგბტ პირებზე ადაპტირებული სქესობრივი და რეპროდუქციული სერვისების ჩამოყალიბება და მისი ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

მიმდინარეობს მუშაობა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების ახალ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხები.

მიზანი: 12.11:

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლება;

ამოცანა: 12.11.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე;

ამოცანის ინდიკატორი: ხორციელდება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე;

საქმიანობა: 12.11.1.1.

რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ახალი პანდემიის გამო ონლაინ ჩატარდა შეხვედრები საზღვრისპირა ტერიტორიებზე ჩასახლებულ მოსახლეობაში (გორი).

ამოცანა: 12.11.2.

მოზარდთა განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალა მომზადებულია და ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სისტემაში;

სახელმწიფო ახალგაზრდულ ბანაკების დამტკიცებულ პროგრამაში გენდერულ თანასწორობაზე და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სატრენინგო მასალა გათვალისწინებულია;

საქმიანობა: 12.11.2.1.

რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალის მომზადება და ინტეგრირება ზოგადი განათლების სისტემაში;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დავის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ეროვნული სასწავლო გეგმების, საბაზო საფეხურის ბიოლოგიის სტანდარტით გათვალისწინებულია ადამიანის ორგანიზმის ყველა ორგანოთა სისტემის სწავლება. გათვალისწინებულია, რომ რეპროდუქციულ ორგანოთა სისტემა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თემების სწავლება საქართველოს საჯარო სკოლებში უნდა დაიწყოს საბაზო საფეხურიდან მოსწავლეებში გარდატეხის ასაკის დადგომის პერიოდში, რათა მათ მიიღონ სრულყოფილი/აკადემიური ცოდნა საკუთარი სხეულის აგებულების, ფუნქციონირების, ჰიგიენის და ჯანმრთელობის დარღვევების რისკების შესახებ. სქესობრივი აღზრდა გულისხმობს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც მოიცავს: 1. ქალის და მამაკაცის რეპროდუქციულ ორგანოთა სისტემების აგებულებასა და ფუნქციებს და 2. რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

მოქმედების სფერო-ქალებისა და გოგონების მიმართ საზიანო პრაქტიკებთან ბრძოლა

მიზანი: 12.12.

მავნე პრაქტიკების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანა: 12.12.1. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებები/კამპანიები განხორციელებულია;

ნაყოფის სქესის გამხელის პერიოდთან მიმართებაში შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები;

საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობით;

ინარმოება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ მონაცემების დამუშავება და გავრცელება;

საქმიანობა: 12.12.1.1.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებების/კამპანიების განხორციელება საზოგადოებისათვის, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს გენდერული თანასწორობის საბჭოს, ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წლის დეკემბერში, ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის საფუძველზე, კომისიის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო 9 სამუშაო ჯგუფმა. სამუშაო ჯგუფები აქტიურად მუშაობენ ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, გენდერული ასპექტების ბიუჯეტში ასახვა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი, და სხვა.

ერთ-ერთ ასეთ სამუშაო ჯგუფად განსაზღვრულია ბავშვობის ასაკში ქორწინების და საზიანო პრაქტიკების საკითხებზე სამუშაო ჯგუფი. პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, მრავალი აქტივობა, რომელიც დაგეგმილი იყო 2020 წლის და 2021 წლის ფარგლებში, შეიზღუდა, მოდიფიცირდა და ძირითადად შემოიფარგლა ონლაინ საკოორდინაციო ღონისძიებების სახით, რომლებშიც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა გარდა, აქტიურად არიან ჩართული და თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. რამდენიმე მიმართულებით უკვე დაწყებულია სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებისა და კონცეფციების შემუშავება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ბავშვობის ასაკში ქორწინება და საზიანო პრაქტიკების სამუშაო ჯგუფი შეიკრიბა ონლაინ ფორმატში, სადაც მონაწილე სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და საზიანო პრაქტიკასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, უწყებათაშორისი კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და გამოკვეთეს ის სამომავლო ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით მდგარი გამომწვევების წინააღმდეგ ბრძოლას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 16 დღიანი გლობალური კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას ისახავს მიზნად. 2020 წელს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის მთავარ თემად განისაზღვრა საზოგადოების როლი და ჩართულობა ძალადობის აღმოფხვრაში. კამპანიას უხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ და მასში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროებმა და საჯარო უწყებებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

კამპანიამ, ერთი მხრივ, წარმოაჩინა, რომ პანდემიისა და მისგან გამომწვეული კრიზისის მიუხედავად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს პრიორიტეტად რჩება, მეორე მხრივ, კი თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და მოუწოდა ქმედებისკენ. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები სხვა საკითხთა შორის, ასევე, მიემართებოდა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციას.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ჩაერთო თანასწორობის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რომლებიც ევროპის საბჭოს ოფისმა საქართველოში და პარტნიორმა ორგანიზაციებმა 9-16 ნოემბერს ჩაატარეს. თანასწორობის კვირეული ყოველწლიური ღონისძიებაა, რომლის მიზანია მრავალფეროვნებისა და თანასწორობის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება, ასევე, დისკრიმინაციის მსხვერპლთა ინფორმირება ხელმისაწვდომი სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად შემუშავდა ქვიზი ტოლერანტობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საინფორმაციო კამპანიის გატარებას გენდერული თანასწორობის მრავალ ასპექტთან დაკავშირებით. ევროპის საბჭოს საქართველოს

ოფისთან თანამშრომლობით, ასევე, შეიქმნა თანასწორობის კალენდარი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდას გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

საქმიანობა: 12.12.1.3.

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ მონაცემების დამუშავება და გავრცელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

მონაცემები იწარმოება და განთავსებულია საქსტატის ვებ გვერდზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba>.

საქმიანობა: 12.12.1.4.

ჯანდაცვის მუშაკთა ცნობიერების ამაღლება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სამინისტროსა და გაეროს მოსახლეობის ძალისხმევით შეიქმნა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურა და საკომუნიკაციო სახელმძღვანელო სამედიცინო პროფესიონალებისთვის. შემუშავდა საინფორმაციო ბუკლეტი მომავალი მშობლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომელიც ნათლად განმარტავს ნაყოფის სქესის განსაზღვრის მექანიზმს.

ამოცანა: 12.12.2.

ადრეული ქორწინების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავებულია ქმედითად;

ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მონიტორინგის სისტემის შეფასება განხორციელებულია, ხარვეზები გამოვლენილი და საპასუხო ღონისძიებები შემუშავებულია;

ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები ხორციელდება რეგულარულად;

ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების შესახებ პროფესიული გადამზადების ღონისძიებები განხორციელებულია;

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სოციალური სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან თარჯიმანთა ჩართულობა უზრუნველყოფილია;

განხორციელებულია ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების შესახებ;

საქმიანობა: 12.12.2.3.

ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

მომზადდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის პროექტი. კერძოდ, მიზანშეწონილია შემცირდეს სასწავლო დღეების რაოდენობა და 45 სასწავლო დღის ზედიზედ გაცდენის შემთხვევაში დაეკისროს სკოლას ვალდებულება, შეუჩეროს მოსწავლეს სტატუსი. აღნიშნული პერიოდი დაიყოს ეტაპებად (მე-10 და მე-20 დღე), როცა სკოლა ვალდებული იქნება დამატებით განახორციელოს ქმედებები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

არასრულწლოვანი მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, პრევენციის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს მიზანშეწონილია დაემატოს შემთხვევის მართვის პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართულობა, რაც მეტ გარანტიებს შექმნის არასრულწლოვან მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

ასევე, მომზადებულია ნიადაგი განათლების სისტემაში სოციალური მუშაობის გასაფართოვებლად: შემუშავდა და დამტკიცების პროცესშია „სოციალური მუშაკისთვის სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტები“, მომზადებულია სოციალური მუშაკების დაქირავების გეგმა.

საქმიანობა: 12.12.2.4.

მასწავლებელთა, მანდატურთა, სოციალურ მუშაკთა, უბნის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების სავალდებულო შესრულების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; სოციალური მომსახურების სააგენტო; უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები დანიშვნამდე გადიან სპეციალურ მოსამზადებელ ორთვიან კურსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. კურსის ერთ-ერთი თემაა ოჯახში ძალადობა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, ასევე, ქორწინების იძულებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს სამართალდამცავთა მომზადება-გადამზადებას. მომზადების საბაზისო სავალდებულო კურსები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს, როგორცაა ოჯახში ძალადობა და გენდერული ნიშნით ძალადობა, ბავშვთა მიმართ ძალადობა და დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები და ასევე, ბავშვობის ასაკში და იძულებითი ქორწინება.

მიმდინარე წლის განმავლობაში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ბავშვობის ასაკში ქორწინების და საზიანო პრაქტიკების სამუშაო ჯგუფი აქტიურად აგრძელებდა მუშაობას. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბა ონლაინ ფორმატში, სადაც მონაწილე სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ბავშვობის ასაკში ქორწინებასა და საზიანო პრაქტიკასთან ბრძოლის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 16 დღიანი გლობალური სამთავრობო კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ჩაერთო თანასწორობის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რომლებიც ევროპის საბჭოს ოფისმა საქართველოში და პარტნიორმა ორგანიზაციებმა 9-16 ნოემბერს ჩაატარეს. აღნიშნული კამპანიების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიემართებოდა არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის, ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციასა და გენდერული თანასწორობის მრავალმხრივ ასპექტებს.

საქმიანობა: 12.12.2.5.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სოციალური სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან ორენოვან თანამშრომელთა/თარჯიმანთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: სოციალური მომსახურების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში, კრიზისის მიმდინარეობისას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდა ფუნქციონირებას გადაუდებელი დახმარებისა და კონსულტაციის ცხელი ხაზები. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ცხელი ხაზი - 116 006 და სახალხო დამცველის ოფისის ცხელი ხაზი - 1481.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ცხელი ხაზი მოქალაქეებს აწვდის იურიდიული, სოციალური და ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისებს 8 ენაზე. კერძოდ, ქართულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, არაბულ, სპარსულ, თურქულ და რუსულ ენებზე.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის დაწყებისთანავე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა იღებდა პროაქტიულ ზომებს მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების დასაცავად, უზრუნველყოფდა წვდომას ინფორმაციაზე, სერვისებზე, ძირითად საარსებო მხარდაჭერაზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე. მათ შორის უზრუნველყოფდა COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. პანდემიასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეთა დროული წვდომის უზრუნველსაყოფად, სამთავრობო ბრიფინგების ტრანსლაცია მიმდინარეობდა უესტური ენის გამოყენებით. საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, ინფორმაცია ითარგმნებოდა ეთნიკური უმცირესობების ენებზეც.

COVID-19-თან დაკავშირებული სპეციალური საინფორმაციო სამთავრობო ვებ-გვერდი www.StopCov.ge სრულად ხელმისაწვდომია ექვს ენაზე. კერძოდ, ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო ვებგვერდი ჩამოყალიბდა კორონავირუსით ინფიცირებულთა შესახებ სტატისტიკის პირველწყაროდ. ვებგვერდზე, ასევე, რეგულარულად თავსდება კორონავირუსთან დაკავშირებული სრულყოფილი და სანდო ინფორმაცია და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები. ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო ხასიათის ვიდეოებს დართული აქვს უესტური ენის თარგმანი. ამასთანავე, განხორციელდა მოსახლეობის მასიური ინფორმირება SMS სისტემის გამოყენებით, რომელიც თარგმნილია ეთნიკური უმცირესობების ენებზე. ქართულის გარდა, მოკლეთქესტური შეტყობინებები იგზავნებოდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

კრიზისის მიმდინარეობისას მთავრობა განგრძობადად უზრუნველყოფდა კორონავირუსთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და მათ როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდურ გავრცელებას. იმავე ენებზე ვრცელდებოდა ვიდეორგოლები კორონავირუსთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ.

საქმიანობა: 12.12.2.6.

ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს; უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლის მოსწავლეებისთვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის, სისტემატურად ატარებს სასკოლო კონკურსებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ისეთი თემების მიმართულებით, როგორცაა: ადამიანის უფლებები, ძალადობის, მათ შორის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ბავშვობის ასაკში ქორწინება და სხვა.

2020 წლის თებერვალში ჩატარდა მოსწავლეთა ესსეების კონკურსი თანასწორობის საკითხებზე. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ VIII-XII კლასის მოსწავლეები. საუ-

კეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2020 წლის 16 ნოემბრიდან 10 დეკემბრის პერიოდში, ორგანიზება გაუწია სკოლებში ძალადობის საწინააღმდეგო კვირეულის გამართვას. აღნიშნული კვირეული ჩატარდა ონლაინ სივრცეში. კამპანიის მიზანი იყო ძალადობის (ბულინგი, ოჯახში ძალადობა, ბავშვთან ქორწინება და სხვა) პრევენცია და სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები: კვირეულის ფარგლებში სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა მოსწავლეებს დისტანციურ რეჟიმში ჩაუტარეს გაკვეთილები ძალადობის თემაზე; კამპანიის ფარგლებში, ასევე, სკოლის მოსწავლეებმა ნახეს და განიხილეს თემატური ფილმების და ანიმაციები, წაიკითხეს და განიხილეს თემატური წიგნების/ზღაპრები; გაიმართა ონლაინ დისკუსიები დისკრიმინაციაზე, ძალადობაზე და მათი აღმოფხვრის გზებზე, მომზადდა პრეზენტაციები, შეიქმნა კომიქსები, ნახატები, სლოგანები, ვიდეომიმართვები, ბლოგები და სხვა. კამპანიის ფარგლებში შექმნილი აქტივობების თაობაზე ინფორმაცია სკოლებმა განათავსეს თავიანთ ინტერნეტ გვერდზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო

ამოცანა: 12.12.3.

ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა;

ამოცანის ინდიკატორი: ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრისათვის სპეციალური ადგილობრივი საკომუნიკაციო პროგრამები შემუშავებულია და ხორციელდება სამიზნე თემებში;

საქმიანობა: 12.12.3.1.

ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრისათვის სოციალური ცვლილებების ხელშესაწყობად სპეციალური ადგილობრივი საკომუნიკაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება სამიზნე თემებში;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობდა საკომუნიკაციო ღონისძიებების და საინფორმაციო მასალების შემუშავება სამედიცინო პერსონალისთვის. 2020 წელს, მიზნობრივი საინფორმაციო კამპანია არ განხორციელებულა.

ამოცანა: 12.12.4.

ქალიშვილობის დადგენის პროცედურის აკრძალვისკენ მიმართული ღონისძიებები;

ამოცანის ინდიკატორი: ქალიშვილობის დადგენის სამედიცინო პროცედურა კვალიფიცირებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტის შესაბამისად და აკრძალულია;

ქალიშვილობის დადგენის პროცედურის აკრძალვისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტის შესახებ ჯანდაცვის მუშაკთათვის საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულია;

ქალიშვილობის დადგენის პროცედურის, როგორც ქალთა მიმართ ძალადობრივი და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია განხორციელებულია;

საქმიანობა: 12.12.4.1.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, ქალიშვილობის დადგენის სამედიცინო პროცედურის ძალადობის ფორმად და დამამცირებელ მოპყრობად კვალიფიცირება და მისი აკრძალვა;

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საკითხი სენსიტიურია და მოითხოვს დამატებით შესწავლას. გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობდა საკომუნიკაციო ღონისძიებების და საინფორმაციო მასალების შემუშავება სამედიცინო პერსონალისთვის.

მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში

მიზანი: 12.13.

განათლების რგოლში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დაძლევა

ამოცანა: 12.13.1. ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზების გამოვლენა და მის დასაძლევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია, კვლევა შესაბამისი ბარიერების გამოვლენითა და რეკომენდაციებით შემუშავებულია;

საქმიანობა: 12.13.1.1.

გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ამ მონაცემებზე დაყრდნობით განათლების დარგში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დასაძლევი რეკომენდაციების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სამინისტროს მმართველოს სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში, ახორციელებს გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას/წარმოებას. მათ შორის, სასწავლო პროცესში გენდერული ნიშნით ჩართულობასთან დაკავშირებით ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე.

ამოცანა: 12.13.2.

მასწავლებელთა სტატუსის გაუმჯობესება და პოპულარიზაცია;

ამოცანის ინდიკატორი: მასწავლებელთა ანაზღაურება გაუმჯობესებულია და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი;

განხორციელებულია ცნობიერების ამაღლებისა და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კამპანიები;

საქმიანობა: 12.13.2.1.

მასწავლებელთა ანაზღაურების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით, სტატუსი შეიცვალა 15,720 მასწავლებელმა - მენტორი 14, წამყვანი 5005, უფროსი 10701, 1875 სპეციალური პრაქტიკოსი მასწავლებელი და 12 სპეციალური უფროსი მასწავლებელი.

ამ ეტაპზე სქემით გათვალისწინებული სტატუსების მიხედვით, მასწავლებლები გადანაწილებულები არიან შემდეგნაირად: მენტორი 277, წამყვანი 7858, უფროსი 34903, პრაქტიკოსი 9635, მაძიებელი 2038 და უსტატუსო 3992, ხოლო 1889 სპეციალური მასწავლებელი, მათ შორის, 1875 სპეციალური პრაქტიკოსი მასწავლებელი და 11 სპეციალური უფროსი მასწავლებელი.

2020 წლის 1 მარტიდან, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, დღის წესრიგში დადგა სკოლებისა და უნივერსიტეტების დისტანციურ/ონლაინ სწავლებაზე გადასვლა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ონლაინ/დისტანციური ტრენინგები მასწავლებლებისათვის 3 საგანმანათლებლო პლატფორმაზე მიმდინარეობდა: Microsoft Teams, Edx და E-courses.tsu.ge.

ონლაინ ტრენინგები მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

მრავალფეროვანი არჩევანი მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, საჭიროებიდან გამომდინარე, თვითონ აირჩიონ და დაგეგმონ საკუთარი პროფესიული განვითარების გზა.

2020 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ტრენინგების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შედეგად, სხვადასხვა საგნობრივი და შინაარსობრივი მიმართულების 29 დასახელების სატრენინგო ონლაინ მოდული გაიარა 22279 (არა ინდივიდი) მასწავლებელმა. (ეს ციფრები არ ნიშნავს უნიკალურ ერთეულს, რადგან შეიძლება ზოგიერთმა მასწავლებელმა გაიარა რამდენიმე ტრენინგი და, შესაბამისად, განმეორებითაა მოცემული სტატისტიკაში.)

საქმიანობა: 12.13.2.2.

ცნობიერების ამაღლება მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კუთხით;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები:

საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის ფარგლებში:

„ცნობიერების ამაღლებისა და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, გამოიცა და საქართველოს ყველა სკოლას და რესურსცენტრს გადაეცა საჩუქრად ჟურნალ „მასწავლებლის“ 6 ბეჭდური გამოცემა;

ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“ -ზე გამოქვეყნდა 950 საგანმანათლებლო რესურსი/სტატია/ბლოგი;

პროგრამის ფარგლებში გამოიცა და, ასევე, საქართველოს ყველა სკოლას და რესურსცენტრს გადაეცა საჩუქრად მასწავლებლის ბიბლიოთეკის შემდეგი წიგნები: „ვწერ მასწავლებლისთვის“, „სხვა გაკვეთილების ცხრილი“, „დისტანციური სწავლების გაკვეთილები“.

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის, პრესტიჟის ზრდის, წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის გამოვლენისა და საზოგადოებისთვის საუკეთესო მასწავლებლის, დირექტორის, წარდგენის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა შემდეგი კონსურსები:

„წლის საუკეთესო დირექტორი“;

„წლის საუკეთესო მასწავლებელი“;

„წლის საუკეთესო სპეციალური მასწავლებელი“;

გამოვლინდა და დაჯილდოვდა 69 დამსახურებული მასწავლებელი;

წლის საუკეთესო მასწავლებლების მიერ ჩატარდა ვებინარები;

ჩატარდა კონკურსი საზღვარგარეთ, კერძოდ, ცერნში, ფიზიკის მასწავლებელთა სტაჟირებისათვის, კონკურსის შედეგად გამოვლინდნენ კანდიდატები, მაგრამ პანდემიის გამო ვერ განხორციელდა მათი მივლენა.

2020 წელს პრაქტიკოს მასწავლებელთა ტესტირებაზე დარეგისტრირდა - 7 764 აპლიკანტი; 2020 წელს მასწავლებლობის მსურველებისათვის გამოცდაზე დარეგისტრირდა 11 908 კანდიდატი.

მიზანი: 12.15.

განათლების დარგის პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებში;

ამოცანა: 12.15.1 კონცეპტუალური დოკუმენტების გენდერული მეინსტრიმინგი საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით;

ამოცანის ინდიკატორი: მასწავლებლების პროფესიული გადამზადების ტრენინგ მოდულების გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია;

დირექტორების პროფესიული გადამზადების ტრენინგ მოდულების გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია;

მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებში გენდერული თანასწორობის მოდული ინტეგრირებულია;

განათლების დარგის ყველა პროფესიონალს გავლილი აქვს ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებში;

საქმიანობა 12.15.1.4.

განათლების დარგის ყველა პროფესიონალის ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებში;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ტრენინგ მოდულები, რომლებიც მოიცავს გენდერულ საკითხებს: „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები სკოლაში“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლობით, შემუშავდა ადამიანის უფლებების სწავლების 10 მოდულიანი კურსი. კურსმა გაიარა პილოტირება და 2021 წლიდან ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის.

ასევე, გენდერული საკითხები არის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის მომზადებულ შემდეგ ტრენინგ მოდულებში:

პროგრამა „მასწავლებლის ეროვნული სკოლა“ კურსი სამოქალაქო განათლებაში. სამოქალაქო განათლების კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის.

გენდერული თანასწორობა/რეპროდუქციული ჯანმრთელობა/ჯანსაღი ცხოვრების წესი/უფლებები (მომზადდა მოდული მასწავლებლებისთვის).

მიზანი: 12.16.

პროფესიული სეგრეგაციის დაძლევა;

ამოცანა: 12.16.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინჟინრო ტექნოლოგიების, პორგრამირებისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით გენდერული ბალანსის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებულია და ტექნიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების შესახებ აქტივობები ხორციელდება;

სკოლის დამამთავრებელ კლასებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტი გაძლიერებულია;

საქმიანობა: 12.16.1.1.

გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება-ანალიზი და ტექნიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

განხორციელდა 2019 წელს. ინფორმაცია მოწოდებულია 2019 წლის ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო ანგარიშში.

საქმიანობა: 12.16.1.2.

სკოლის დამამთავრებელ კლასებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულდა.

2019 წლის ჩათვლით, ანგარიში წარმოდგენილია. 2020 წელს პანდემიის გამო აქტივობები ამ მიმართულებით ვერ განხორციელდა.

მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობა კულტურასა და სპორტში

მიზანი: 12.17.

კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.17.1. კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

ამოცანის ინდიკატორი: კვლევა განხორციელებულია, ბარიერები გამოვლენილია, რეკომენდაციები შემუშავებულია, კონცეპტუალური დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია;

ცნობიერების ამაღლების კამპანია განხორციელებულია;

საქმიანობა: 12.17.1.2.

ცნობიერების ამაღლება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის კულტურის, მათ შორის, შემოქმედებითი ინდუსტრიის როლზე;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2020 წელს, შემოქმედებითი საქართველოს ორგანიზებით გაიმართა შემოქმედებითი მენარმეობის უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებები. მათ შორის, შემოქმედებითი ნაპერწკლის საგრანტო პროგრამით დაფინანსებული პროექტის - რე-კონცეფციის ფარგლებში გაიმართა მენტორობის სესიები საერთაშორისო სტარტაპ კონკურსისთვის მომზადების მიზნით (5 ქალი და 6 მამაკაცი) და ტრენერთა ტრენინგი (3 მამაკაცი და 4 ქალი). ასევე, გაიმართა სტუდენტური სამეწარმეო ბუთქემფი (22 ქალი და 3 მამაკაცი) და ონლაინ კონფერენცია (15 მამაკაცი და 41 ქალი). ევროკავშირისა და იუნესკოს დაფინანსებული პროექტის, შემოქმედებით კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში, 2020 წელს გაიმართა ონლაინ შეხვედრები საქართველოს 14 მუნიციპალიტეტთან (7 ქალი და 8 მამაკაცი).

ამოცანა: 12.17.3.

კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო გრანტების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპი დაცულია;

გენდერული თანასწორობის იდეის მხრადამჭერი პროექტები სათანადოდ წახალისებულია;

კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ყოველწლიური გენდერული გავლენის შეფასება ხორციელდება რეგულარულად;

საქმიანობა: 12.17.3.1.

სახელმწიფო გრანტების განაწილებისას გენდერული თანასწორობის დაცვა;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სახელმწიფო გრანტების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპი დაცულია.

საქმიანობა: 12.17.3.2.

გენდერული თანასწორობის იდეის მხრადამჭერი პროექტების წახალისება

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

გენდერული თანასწორობის, ისევე, როგორც აქტუალური სოციალური საკითხების მიმართულებით სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: სპექტაკლები, გამოფენები, ლექციები, განხილვები და საინფორმაციო შეხვედრები. თუმცა, საანგარიშო წელს covid-19 პანდემიის გამო ღონისძიებების უმრავლესობამ გადაინაცვლა ონლაინ რეჟიმში.

საქმიანობა: 12.17.3.3.

კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის გენდერული გავლენის ყოველწლიური შეფასება;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ყოველწლიური გენდერული გავლენის შეფასება ხორციელდება ყოველწლიური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე.

ამოცანა: 12.17.4.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის მხრადამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია კულტურის სფეროს მოღვაწეების ჩართულობით განხორციელებულია;

საქმიანობა: 12.17.4.1.

გენდერული თანასწორობის მხრადამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია კულტურის სფეროს მოღვაწეების ჩართულობით;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2020 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბერამდე გაიმართა კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციებმა. მოეწყო კინოჩვენებები, ონლაინ ტრანსლირებით გადაიკა სპექტაკლები და კონცერტები, რომლის სლოგანიც იყო „არაძალადობას“, „არაქალთამიმართაძალადობა“. ნაჩვენები იყო 4 სპექტაკლი, სამი ფილმი, გაიმართა პროექტის „ცოცხალი წიგნები“ ფარგლებში ქალი პოეტებისა და მწერლების ვიდეოპორტრეტების ჩვენება, ფოლკლორის ცენტრმა გამართა კონცერტები კამპანიის მხარდასაჭერად. მუზეუმები ჩაერთვნენ კამპანიაში კულტურაში ქალთა როლისა და სახის შესახებ ლექციებით, ასევე, წარიმართა სოციალური კუთხით ქალთა თემატიკის განხილვა სალექციო ფორმატში. სულ 19 სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა ზემოაღნიშნულ კამპანიაში 30 ღონისძიებით.

მიზანი: 12.18.

სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 12.18.2. სკოლაში ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფა და სპორტული ცხოვრების წახალისება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ფიზიკური აღზრდის დარბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფილი სკოლების რაოდენობა;

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში საყოველთაო ჩართულობის უზრუნველსაყოფად და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების დაძლევისთვის შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები;

ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში იქმნება შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა;

სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია;

საქმიანობა: 12.18.2.1. სკოლების უზრუნველყოფა შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ფიზიკური აღზრდის დარბაზებითა და ინვენტარით;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ESIDA-ს მიერ 2020 წელს დასრულდა 4 სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, დასრულდა 7 სპორტული მოედნის მოწყობა, დასრულდა ვლადიმირ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ბათუმის ფილიალში, როგორც სპორტული დარბაზის, ასევე, სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, დასრულდა ქალაქ გორის სპორტის სასახლის სამაყურებლო და სავარჯიშო დარბაზებში შესაბამისი სპორტული პარკეტის იატაკის მოწყობის სამუშაოები.

ამ ეტაპზე გრიფირებული I-VI კლასების სახელმძღვანელოებში „ფიზიკური აღზრდა და სპორტი“ დაძლეულია აღნიშნული სტერეოტიპული მიდგომები. ამასთან, მიმდინარე საპილოტე პროექტის „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაძლიერება“ ფარგლებში (საგაკვეთილო პროცესი, საგანმანათლებლო ღონისძიებები, სპორტული ღონისძიებები, ლაშქრობები და ა.შ.) მასწავლებლებისთვის მიცემულია დავალებები მოსწავლეების საყოველთაო ჩართულობისა და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების („გოგონების სპორტი“, „ბიჭების სპორტი“) დაძლევისაკენ.

საქმიანობა: 12.18.2.4.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს საზოგადოებრივ მაუწყებელს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით მნიშვნელოვანი იყო ტელესკოლის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მრავალი ტელეგაკვეთილი და გადაცემა მიეძღვნა ჯანსაღი ცხოვრების წესის გააზრებასა და პოპულარიზაციას.

2020 წლის აპრილში საქართველო შეუერთდა სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ონლაინ კამპანიას #WhiteCard. კამპანიაში ჩაერთო ასობით ცნობილი ქართველი სპორტსმენი, მათ შორის, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები.

ამოცანა: 12.18.3.

სპორტის სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფოს მხრიდან სპორტისთვის ფინანსური მხარდაჭერის განაწილებისას გენდერული თანასწორობა დაცულია და ქალთა პროფესიული სპორტის წახალისებისთვის შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები;

საქმიანობა: 12.18.3.1. სახელმწიფოს მხრიდან სპორტისთვის ფინანსური მხარდაჭერის განაწილებისას გენდერული თანასწორობის დაცვა და ქალთა პროფესიული სპორტის წახალისება;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ეროვნული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წლიური ლიმიტის განსაზღვრისას, ერთ-ერთი კრიტერიუმია გენდერული თანასწორობის მიმართულებით მუშაობა.

ამოცანა: 12.18.4.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისთვის ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია პროფესინალი სპორტსმენების ჩართულობით;

საქმიანობა: 12.18.4.1. გენდერული თანასწორობის მხარდაჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია პროფესინალი სპორტსმენების ჩართულობით;

პასუხისმგებელი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2020 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბერამდე გამართული კამპანიის ფარგლებში სპორტსმენების მონაწილეობით მომზადდა ვიდეო რგოლები შესაბამისი მესიჯების გამოყენებით და თითქმის ყველა სპორტული ღონისძიება, რომელიც ამ პერიოდში ჩატარდა, მოიცავდა სპორტსმენების მხრიდან აღნიშნული აქციისადმი

მხარდაჭერას. სპორტსმენებმა ყველა ამ ღონისძიებაზე საჯაროდ დაგმეს ოჯახში და გენდერული ნიშნით გამოხატული ძალადობა.

15. თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრება და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

მიზანი: 15.1.

ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საკითხებზე

ამოცანა: 15.1.1.

სოგის ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის დაუშვებლობის, ასევე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება;

- ამოცანის ინდიკატორი: 1. ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების სოციალური კამპანიები უწყებათაშორისი თანამშრომლობითა და მონაწილეობით;
2. კამპანიების ფარგლებში, სხვა აქტივობებთან ერთად, სოგის ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ გამოცემულია ოთხზე მეტი საინფორმაციო ბროშურა;
3. მომზადებულია ექსპერტის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში დისკრიმინაციის წამახალისებელი მასტიგმატიზირებელი მოსაზრებების ან/და განსაზღვრებების არსებობის შესახებ;

საქმიანობა: 15.1.1.1. სოგის ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის გამოყენების დაუშვებლობის/უარყოფითი შედეგების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ და ტოლერანტობის ამაღლებაზე მიმართული შიდაუნებრივი/საზოგადოებრივი სოციალური კამპანიების წარმოება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; იუსტიციის სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; პროკურატურა; საჯარო უწყებები.

პარტნიორი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საჯარო სამსახურის ბიურო

შესრულების სტატუსი: თავდაცვის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; პროკურატურა: განხორციელდა. იუსტიციის სამინისტრო: განხორციელდა

COVID- 19 -ის პანდემიის გამო ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილი აქტივობები არ ჩატარებულა, თუმცა, სსიპ-ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩატარდა სალექციო კურსი გენდერული დისკრიმინაციის შესახებ სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამის ფარგლებში.

2020 წელს ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიის „თანასწორობის კვირეულის“ ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორებმა ჩაატარეს ონლაინ საჯარო ლექცია სტუდენტებთან, პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ლექციაზე განიხილეს თანასწორობის მნიშვნელობა, სიძულვილის ენა, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, ასევე, ისაუბრეს აღნიშნულ დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე. დისკრიმინაციის ნიშნებზე (მათ შორის, სოცი) საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების დემონსტრირების მიზნით, პროკურორებმა სტუდენტების მონაწილეობით განიხილეს პრაქტიკული მაგალითები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N573 დადგენილებით დამტკიცდა „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა“, რამაც შესაძლებელი გახადა ჩართულ უწყებებს შორის მონაცემების გაცვლის საფუძველზე გამოვლინდეს 6-დან 16 წლის ასაკის სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდები.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიქმნა დაწესისა და დაჩქარებული სწავლების პროგრამა, სასწავლო რესურსები, სკოლის ადმინისტრატორთა და მასწავლებელთა ტრენინგ მოდულები, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები. მიმდინარეობს პილოტირება სოციალური მომსახურების სააგენტოს 6 დღის ცენტრსა და 15 საჯარო სკოლაში.

2019 წლის იანვრიდან იუსტიციის სასწავლო ცენტრი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა ესკორტის ოფიცრებისთვის ორგანიზებას უწევს „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს“. კურსის ფარგლებში, ინტეგრირებულია 5-7 სთ-იანი ტრენინგი „რა არის დისკრიმინაცია?“. ტრენინგი მაქსიმალურად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას და საქმიანობის თავისებურებებს. 2020 წელს სპეციალური მომზადების კურსი გაიარა ესკორტის 21-მა ოფიცერმა (1 ჯგუფი).

2020 წლის 21 თებერვალს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა უფასო ტრენინგი „თანასწორობა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა“. ტრენინგს 2 ჯგუფში დაესწრო 34 მონაწილე.

2020 წლის 10-15 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ევროპის საბჭოს მიერ განხორციელდა პროექტი „თანასწორობის კვირეული სკოლის მოსწავლეებისთვის“. ღონისძიება ჩატარდა კამპანიის - „მე ვირჩევ თანასწორობას“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მხარდაჭერით. პროექტში მონაწილეობის მისაღებად IX-XI კლასის 58 მოსწავლე დარეგისტრირდა თბილისიდან და საქართველოს 5 რეგიონიდან.

დარეგისტრირებული მოსწავლეებისთვის, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ ჩატარეს ტრენინგები. ასევე, მოსწავლეებმა მოისმინეს მოწვეული ექსპერტის, მაია ცირამუას ლექცია დისკრიმინაციის ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე. პროექტის ყველა მონაწილეს სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

საქმიანობა 15.1.1.2.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების გადახედვა, რომლებიც შეიძლება, შეიცავდეს დისკრიმინაციის წამახალი-სებელ მასტიგმატიზირებელ მოსაზრებებს ან/და განსაზღვრებებს

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; მთავრობის ადმინისტრაცია

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირების დოკუმენტი მოითხოვს, რომ სახელმძღვანელო თავისუფალი უნდა იყოს ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა და სხვა ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტებისგან; ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვ. ნიშნით. თუ სახელმძღვანელო ვერ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, გრიფს ვერ მიიღებს.

ამოცანა: 15.1.2.

თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სოგის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლება

- ამოცანის ინდიკატორი: 1. სიძულვილის ენის გამოყენების, დისკრიმინაციისა (მათ შორის, სოგის ნიშნით) და შევიწროების (მათ შორის, სოგის ნიშნით) აკრძალვა ასახულია შვიდზე მეტი უწყების შიდაინსტიტუციურ და პროფესიული ეთიკის კოდექსებში;
2. არსებულ რესურსებსა და დონისძიებებში გამოვლენილი საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, შექმნილი და დანერგილია ზოგადი სასწავლო მოდული და სახელმძღვანელო პრინციპები;
3. არსებულ რესურსებსა და დონისძიებებში გამოვლენილი საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, შექმნილი და დანერგილია სპეციალიზებული სასწავლო მოდული და სახელმძღვანელო პრინციპები

საქმიანობა 15.1.2.1. შიდაინსტიტუციურ და პროფესიული ეთიკის კოდექსებში სიძულვილის ენის გამოყენების, დისკრიმინაციისა (მათ შორის, სოგის ნიშნით) და შევიწროების (მათ შორის, სოგის ნიშნით), აკრძალვის ასახვა (მათ შორის, საჯარო სერვისების მიწოდების დროს)

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; პროკურატურა; საჯარო სამსახურის ბიურო; საჯარო უწყებები

პარტნიორი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა; თავდაცვის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საჯარო სამსახურის ბიურო: განხორციელდა; პროკურატურა: განხორციელდა; იუსტიციის სამინისტრო: განხორციელდა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: განხორციელდა

შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 2 ოქტომბრის N139 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ დათქმას, დისკრიმინაციული ნიშნების ჩამონათვალში, დაემატა სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. აგრეთვე, გამოკითხვის დროს, სავალდებულო გახდა ამ ნიშნების გათვალისწინება და ღირსების შელახვის გარეშე აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების წარმართვა.

სიძულვილის ენის გამოყენების, დისკრიმინაციისა (მათ შორის, სოგის ნიშნით) და შევიწროების (მათ შორის, სოგის ნიშნით), აკრძალვა ასახულია თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიასა და ეთიკის კოდექსში. ამჟამად მიმდინარეობს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განახლება. ასევე მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის განახლებისა და სათანადო მექანიზმების შექმნა/დახვეწის პროცესი.

საჯარო სამსახურის ბიურო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით, აქტიურად მუშაობდა ბიუროში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მექანიზმის შემუშავებაზე. შედეგად, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა აღნიშნული მექანიზმი და 2021 წლიდან მოხდება მისი იმპლემენტაცია.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა და ბიუროს უფროსის ბრძანებით დაამტკიცა საჯარო სამსახურის ბიუროს შრომის შინაგანაწესი, რომლის შესაბამისი მუხლები კრძალავს ბიუროში ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციას და სექსუალურ შევიწროებას.

2020 წლის 26 აგვისტოს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი“. კოდექსის მე-5 მუხლი ეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, კერძოდ, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით პროკურატურის თანამშრომელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ვალდებულია დაიცვას ყველა კანონი და რეგულაცია, რომლითაც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობები ყველა პირისთვის, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, წარმოშობისა, ეთნიკური კუთვნილებისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა, სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა. ამავე დროს, დაუშვებელია პროკურატურის თანამშრომელმა განახორციელოს რაიმე სახის დისკრიმინაციული ქმედება. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომლებიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფას რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

გარდა აღნიშნულისა, 2020 წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის შემუშავდა „პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების კომენტარები“, რომლის თანახმად პროკურატურის თანამშრომლის მხრიდან სოგის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედებები ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევად არის მიჩნეული.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 1 დეკემბრის №615 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ახალი

შინაგანაწესი, რომლის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში ასახულია დისკრიმაციის აკრძალვის ნორმა. კერძოდ, აღნიშნული ნორმის მიხედვით, აკრძალულია და დაუშვებელია განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოსამსახურის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება ნებისმიერი ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას. გარდა ამისა, ნორმის მიხედვით, აკრძალულია სამუშაო ადგილზე შევიწროება (მათ შორის, სექსუალური შევიწროება). ამავე შინაგანაწესის თანახმად, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ყველა ვაკანსიაში აღნიშნულია, რომ კონკურსის დროს არ ხდება კანდიდატების ისეთი ნიშნით დისკრიმინაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან.

ამ ეტაპზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს მუშაობა ეთიკის ნორმებთან დაკავშირებით. კერძოდ, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, სპეციალური პენიტენციური სამსახური და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“ სოციალური მუშაკისთვის სოციალური მუშაობის პროფესიულ სტანდარტებს ამზადებს. ამასთან ერთად მუშაობა მიმდინარეობს ფსიქოლოგის პრაქტიკის სტანდარტზე, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პროფესიული ეთიკის ნორმებზე.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში, როგორც სამუშაო სტანდარტებში, ასევე ეთიკის ნორმებში, გათვალისწინებულია არაგანსჯითი პრაქტიკა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სადაც აღიარებულია სოციალური ინკლუზიისა და პიროვნების პატივისცემის პრინციპები და გამომრიცხავ ფაქტორებად ჩამოთვლილია ბენეფიციართა დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობიდან გამომდინარე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხელმძღვანელობს „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N200 დადგენილებით, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ საჯარო მოსამსახურე პატივისცემით უნდა მოეპყრას თანამშრომლებს, განურჩევლად მათი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის N230/ო ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში სექსუალური შევიწროება პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“, რომელიც კრძალავს პირის სექსუალურ შევიწროებას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

საქმიანობა: 15.1.2.3.

შესწავლაზე დაყრდნობით, თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სოგის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე საინფორმაციო მასალის შემუშავება უწყების თანამშრომლებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; შინაგან საქმეთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; პროკურატურა; საჯარო სამსახურის ბიურო; საჯარო უწყებები

პარტნიორი უწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა; თავდაცვის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საჯარო სამსახურის ბიურო: განხორციელდა; მთავარი პროკურატურა: არ დაწყებულა; განათლების სამინისტრო: განხორციელდა.

2019 წელს შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი გამოძიების შესახებ, აღნიშნული რეკომენდაცია დაგზავნილ იქნა შსს-ს შესაბამის უწყებებში. 2020 წელს მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები და ვიდეო რგოლი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე.

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ორგანიზაციული კლიმატის კვლევა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა თანასწორობისა და დისკრიმინაციის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლას. მიღებული შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები და მიმდინარეობს ყველა აუცილებელი სტრატეგიული დოკუმენტის განახლება, ამჟამად მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის განახლებისა და სათანადო მექანიზმების შექმნა/დახვეწის პროცესი. მისი დამტკიცების შემდგომ მომზადდება შესაბამის საინფორმაციო ხასიათის მასალები და ჩატარდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა ბიუროს, როგორც საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის მაკოორდინირებელი ორგანოს, თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი. აუდიტის მიზანი იყო ბიუროს საქმიანობასა და ფუნქციონირებაში გენდერის მეინსტრიმინგის საკითხების პრაქტიკული გააზრება და ეფექტიანი

ორგანიზაციული სწავლების ხელშეწყობა. აღნიშნული პროცესი დაეხმარა ბიუროს გენდერულ ქრილში შეეფასებინა თავისი საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის და გაეზარდა ორგანიზაციული პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის ინიციატივების მიმართ. აღნიშნული, მომავალში, ხელს შეუწყობს ბიუროს ინსტიტუციურ გაძლიერებას და ეროვნულ დონეზე, ადამიანის უფლებათა სტრატეგიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ადამიანის უფლებათა სამდივნოს, გენდერის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლისა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მჭიდრო კოორდინაციით ხორციელდება.

საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას გენდერზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მისი როლის მკაფიოდ განსაზღვრის მიმართულებით. ამ მიზნით, ევროკავშირის გენდერის პროექტის ფარგლებში, ბიუროს თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობითა და ექსპერტის ჩართულობით შემუშავდა გენდერზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობის პირველადი ვერსია და სამუშაო გზამკვლევი. გზამკვლევი აღწერს გენდერზე პასუხისმგებელი პირების მიერ გენდერული საკითხების დაწესებულებაში ინტეგრირებისათვის საჭირო უნარებსა და ცოდნას და გენდერული მეინსტრიმინგისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ნაბიჯებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამონაწილეობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და დაქირავებული ესპერტების მიერ 2020 წელს საქართველოს პროკურატურაში ჩატარდა გენდერული აუდიტი. საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ანგარიშის დოკუმენტის მიღებისა და გამოქვეყნების შემდეგ, დაიგეგმება 15.1.2.3. აქტივობასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

2019-2020 წლებში, ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობით შეიქმნა ადამიანის უფლებათა სასწავლო პროგრამა. პროგრამის მიზანია, ერთის მხრივ, მხარი დაუჭიროს ტრენინგებს აიმაღლონ ცნობიერება ტოლერანტობის, მრავალფეროვნების და არადისკრიმინაციული მიდგომის შესახებ ადამიანის უფლებათა ქრილში, ხოლო მეორეს მხრივ, ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის ადამიანის უფლებათა სწავლება და დაეხმაროს ეფექტურად წარმართონ აღნიშნულ საკითხებზე სწავლების პროცესი კოლეგებთან, რათა მათ შეძლონ ადამიანის უფლებების ირგვლივ საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული პროგრამით გადამზადდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების 20 თანამშრომელი: მანდატურები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.

საქმიანობა 15.1.2.4.

საქმიანობის ფარგლებში შემუშავებული საინფორმაციო მასალის გავრცელება უწყებაში

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; პროკურატურა; საჯარო სამსახურის ბიურო; საჯარო უწყებები

პარტნიორი უწყება: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა; თავდაცვის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

15.1.2.3. აქტივობით გათვალისწინებული ბეჭდური მასალები გავრცელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებებში.

თავდაცვის სამინისტროს უწყებაში წარმოებული საქმიანობის შესახებ სისტემატიურად მიმდინარეობს ინფორმაციის გავრცელება უწყების შიგნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ვებ გვერდისა და საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით.

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის დავალებით, ბიუროს თითოეულ თანამშრომელს დაეგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროს შრომის შინაგანანესი და ბიუროში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მექანიზმი.

გარდა ამისა, ბიუროს თითოეულმა თანამშრომელმა სავალდებულო წესით გაიარა ეთიკის ელექტრონული კურსი, რომელიც მიმოიხილავს საჯარო სამსახურში დისკრიმინაციის და სიძულვილის ენის აკრძალვის, ასევე, სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მექანიზმებს და ამ მიმართულებით არსებულ რეგულაციებს.

განათლების სამინისტრო - პასუხი მოცემულია 15.1.2.3. აქტივობასთან მიმართებაში.

საქმიანობა 15.1.2.6.

სიდრმისეული (სპეციალიზებული) სასწავლო მოდულის დანერგვა რელევანტურ საჯარო უწყებებში

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; საჯარო სამსახურის ბიურო

შესრულების სტატუსი: შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა; თავდაცვის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

გენდერული თანასწორობის და გაერო-ს უშიშროების საბჭოს ქალები, მშვიდობა და უსფრთხოება 1325 და შემდგომი რეზოლუციები, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების ყველა კურიკულუმში და აგრეთვე სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში.

2020 წ. მოდული გაფართოვდა და სალექციო საათების რაოდენობა გაიზარდა.

ამოცანა: 15.1.3.

დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

ამოცანის ინდიკატორი: 1. საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების პოლიტიკა ითვალისწინებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის წერილობით გაცხადებას ვაკანსიის გამოცხადებისას;
2. საჯარო უწყებებში გატარებულია შიდაუწყებრივი ღონისძიებები შრომით ურთიერთობებში და დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის მიუღებლობასთან დაკავშირებით

საქმიანობა: 15.1.3.1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის წერილობითი გაცხადება საჯარო უწყებების მიერ ვაკანსიის გამოცხადებისას

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; საჯარო სამსახურის ბიურო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან თანამშრომლობით, საჯარო სამსახურის ბიურომ hr.gov.ge-ის ვებგვერდზე განათავსა განაცხადი, რომელიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვის წერილობით გაცხადებას საჯარო უწყებების მიერ ვაკანსიის გამოცხადებისას. კერძოდ, ჩანაწერის თანახმად: „საჯარო სამსახურში უზრუნველყოფილია თანაბარი დასაქმების პირობები და დასაქმების მსურველთა განცხადებების განხილვა, მათი ასაკის, კანის ფერის, რელიგიური კუთვნილების, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებების, გენდერული იდენტობის, შებღვალის შესაძლებლობის არსებობის, სექსუალური ორიენტაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად.“

საქმიანობა: 15.1.3.2.

შრომით ურთიერთობებში და დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის მიუღებლობის პოლიტიკის გატარება საჯარო უწყებებში

პასუხისმგებელი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; საჯარო დაწესებულებები

პარტნიორი უწყება: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; სასამართლო; პროკურატურა; საჯარო სამსახურის ბიურო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

შრომით ურთიერთობებში და დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის მიუღებლობის პოლიტიკა ასახულია თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში. სტრატეგიის თანახმად სამინისტროში კონკურსის ორგანიზება ხორციელდება თანაბარი შესაძლებლობების, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. კარიერის მართვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სათანადო ცოდნის, გამოცდილების, უნარების, პიროვნული მახასიათებლებისა და პოტენციალის მქონე მოხელეთა განვითარება და მათი ხელმძღვანელ თანამდებობებზე გეგმაზომიერი დაწინაურება წარმოადგენს. დაწინაურების კანდიდატების შერჩევის პროცესი განხორციელდება აგრეთვე ხდება თანაბარი შესაძლებლობების, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, შესაბამისი კომისიის მიერ ნათლად გაწერილი პროცედურების მიხედვით.

მიზანი: 15.2.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა

ამოცანა: 15.2.1. ინსტიტუციური და ქმედითი ღონისძიებების განხორციელება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად

ამოცანის ინდიკატორი: 1. დახვეწილი და დანერგილია უნიფიცირებული და სერტიფიცირებული სასწავლო მოდული სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მომუშავე უწყებათათვის;

2. გადამზადებული არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები;

3. გადამზადებული არიან პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები

საქმიანობა 15.2.1.1.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მომუშავე გამომძიებლების გადამზადების მიზნით, სასწავლო მოდულის დახვეწა და დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს, შემუშავდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა იდენტიფიცირებისა და გამოძიების შესახებ ეუთოსა და ევროპის საბჭოს მასალების საფუძველზე ტრენინგ მოდული და კურიკულუმი.

აგრეთვე, 2020 წლის პირველ ნახევარში, ევროპის საბჭოს ექსპერტთან მასალების საფუძველზე, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და კონკრეტული დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გამომძიებელთათვის შემუშავდა კასკადური ტრენინგების მოდული და კურიკულუმი.

საქმიანობა 15.2.1.2.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის სპეციალიზებული სასწავლო მოდულის გადახედვა და დახვეწა;

პასუხისმგებელი უწყება: პროკურატურა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) და საქართველოს პროკურატურის ერთობლივი თანამშრომლობით, 2016 წელს შემუშავდა და 2017 წლის დასაწყისში დაინერგა სასწავლო კურსი პროკურორებისთვის თემაზე - „სიძულვილით (შეუწყნარებლობით) მოტივირებული დანაშაულები“ – ПАНСТ. პროგრამის სილაბუსის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფის წევრების სახით ჩართულნი იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სპეციალიზაციის 4 სასწავლო კურსი გაიარეს. აღნიშნული კურსი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ევროპის საბჭოსა და საქართველოს პროკურატურის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, 2020 წელს დაინერგა. სასწავლო კურსი ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ერთად, მოიცავს ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ODIHR-თან თანამშრომლობით, 2016 წელს შემუშავდა და 2017 წლის დასაწყისში დაინერგა 2 დღიანი სასწავლო კურსი პროკურორებისთვის თემაზე - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები.“ 2020 წელს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის “დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში” მხარდაჭერით განახლდა და დაინერგა 4 დღიანი სპეციალიზაციის კომპლექსური სასწავლო კურსი. სასწავლო კურსი საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობასთან ერთად, მოიცავს ფსიქოლოგიურ საკითხებს. ინტესიური კურსის ფარგლებში განხილება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა: შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შესახებ საერთაშორისო წყაროები, შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მიკერძოების ინდიკატორები, მოტივის მტკიცებულებები, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საუკეთესო პრაქტიკა: ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შშმ პირის სტატუსი, გენდერის და სქესის, რელიგიური, რასობრივი, სექსუალური და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა და მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა, მოძალადისა და მსხვერპლის მახასიათებლები, როგორ დაავადებით დისკრიმინაცია ინდივიდუალურ, პროფესიულ და საზოგადოებრივ დონეზე და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საქმიანობა: 15.2.1.3.

ტრეფიკინგის, ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ცხელი ხაზის ფუნქციური გაფართოება და გაძლიერება, სოგის ნიშნით არსებული საჭიროებების ასახვის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო)

პარტნიორი უწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს დაევალებათ ტრეფიკინგის საკითხებზე ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის განახლება, რომელიც შეიცავს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს, ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის და საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო სამსახურების ცხელი ხაზის შესახებ.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“) ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელ ხაზი ფუნქციონირებს კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში. აღნიშნულ ცხელ ხაზზე კონსულტაციების მიღება შესაძლებელია ოჯახში ძალადობის, სექსუალური, ძალადობის/ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ხოლო კონსულტაციის მიღება ქართულ ენის გარდა შესაძლებელია ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, თურქულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციურ მომსახურებას 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღის განმავლობაში.

ცხელი ხაზი ბენეფიციარს ემსახურება მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბენეფიციარის/მისი კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის ან სხვა რამ ვითარებისა.

ამოცანა 15.2.2.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება

ამოცანის ინდიკატორი: 1. შექმნილია სინქრონიზებული სტატისტიკის ბაზა, უნიფიცირებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; 2. შესაბამისი სტატისტიკა წარმოებული და ხელმისაწვდომია (მოთხოვნისთანავე ან/და ვებგვერდზე)

საქმიანობა: 15.2.2.1.

უნიფიცირებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შემუშავებული უწყებათაშორისი სტატისტიკის ბაზის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; პროკურატურა; სასამართლო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პარტნიორი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა

საქსტატი: განხორციელდა

პროკურატურა: განხორციელდა

სასამართლო: განხორციელდა

საქსტატმა, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის უწყებებს გაუწია კონსულტაცია.

2020 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, ევროპის საბჭოს ხელშეწყობითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აქტიური ჩართულობით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის წარმოების და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს აქვს დანართი, რომელიც მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია. დანართი განსაზღვრავს: შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის კონცეფციას, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კლასიფიკაციასა და დასამუშავებელ მონაცემებს, მემორანდუმის მონაწილე მხარეთა მიერ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგრო-

ვების, დამუშავების, ანალიზისა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესს, დასამუშავებელი ინფორმაციის განაწილებას მემორანდუმის მონაწილე მხარეთა შორის, მათი კომპეტენციის გათვალისწინებით. მემორანდუმის თანახმად, სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები საქსტატის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება 2021 წლიდან პროაქტიულ რეჟიმში. 2021 წლის მარტში მემორანდუმის საფუძველზე, უწყებები საქსტატის ვებ-გვერდზე საპილოტე რეჟიმში გამოაქვეყნებენ 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სტატისტიკურ ანგარიშს და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება გაეცნოს დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ერთიან, სეგრეგირებულ მონაცემებს.

საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოქმედი სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკურ ბარათებში 2020 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სასამართლო სტატისტიკაში შესაძლებელი გახდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სრულყოფილი აღრიცხვა.

შედეგად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვა სასამართლო სისტემაში მიმდინარეობს:

- დანაშაულების მიხედვით, რომელთა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი (სსკ-ის 133 სექუნდა, 142-ე, 142 პრიმა, 142 სექუნდა, 155-ე, 156-ე, 166-ე, 239 პრიმა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები),
- დანაშაულების მიხედვით, რომელთა ქმედების მაკვალიფიცირებელი ელემენტია შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „პრიმა“ ქვეპუნქტებით, 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ და „პრიმა“ ქვეპუნქტებით, 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით (117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ და „პრიმა“ ქვეპუნქტების ანალოგიურად), 126-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები);
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისას პირი მოქმედებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, გენდერული იდენტობა, ასაკი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქალაქეობა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი და დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი).

საქმიანობა: 15.2.2.2.

სახელშეკრულებო მონიტორინგის ორგანოებისათვის სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა;

პასუხისმგებელი უწყება: პროკურატურა; სასამართლო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

პარტნიორი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: საქსტატი: განხორციელდა;

პროკურატურა: განხორციელდა;

სასამართლო: განხორციელდა.

საქსტატმა, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის უწყებებს გაუწია კონსულტაცია.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე განსაზღვრულია ODIHR-ის საკონტაქტო სამმართველოდ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციას ყოველწლიურად აწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას დისკრიმინაციულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ქვეყნის მასტაბით. 2020 წლის აგვისტოში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შეივსო ODIHR-ის კითხვარი 2019 წლის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე. ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდს დაემატა „ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბი, სადაც თემატურად განთავსდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ მომზადებული ანალიზები (ანგარიშები) 2014 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, მათ შორის შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის სხვადასხვა წლების სტატისტიკა (იხ. <http://pog.gov.ge/page/default/sheuwynareblobis-motiviT-chadenili-danashaulebi>). გარდა აღნიშნულისა, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულისთვის ბრალდებულთა და დაზარალებულთა შესახებ სეგრეგირებული სტატისტიკის მიწოდება დაუყოვნებლივ ხდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის.

2020 წლის სექტემბერში საქართველოს უზენაესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურასა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის თაობაზე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში შემოსული და განხილული საქმეების, მსჯავრდებული პირების რაოდენობისა და სასჯელის სახეების შესახებ, ასევე ინფორმაციას სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების თაობაზე.

აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე და ასევე საჯარო ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში.

მიზანი: 15.3.

სოგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სოციალური და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება

ამოცანა: 15.3.1.

სოგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული სერვისების კვლევა;

ამოცანის ინდიკატორი: 1. სოგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული სერვისების შესწავლის საფუძველზე, მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულია სპეციფიკური რეკომენდაციები;

საქმიანობა: 15.3.1.1.

სოგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შესწავლა (მეფინგი);

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების შესწავლისა და გაიდლაინისა შემუშავების მიზნით, მიმდინარეობს მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

საქმიანობა:15.3.1.2.

სპეციფიკური რეკომენდაციების შემუშავება და აღსრულების ინიცირება სოგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული სერვისების გაუმჯობესებისათვის

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების შესწავლისა და გაიდლაინისა შემუშავების მიზნით, მიმდინარეობს მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

ამოცანა 15.3.2.

ტრანსგენდერი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება

- ამოცანის ინდიკატორი 1. შემუშავებულია სპეციალური პროტოკოლი სამედიცინო სერვისების მიწოდებისთვის;
2. სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა

საქმიანობა 15.3.2.1.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ტრანსგენდერი პირების საჭიროებებზე მორგებული სპეციალური პროტოკოლის შემუშავება სამედიცინო სერვისების მიწოდებისას

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: მთავრობის ადმინისტრაცია

შესრულების სტატუსი: მიმდინარე

ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების შესწავლისა და გაიდლაინისა შემუშავების მიზნით, მიმდინარეობს მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

ამოცანა: 15.3.5.

სოგის ნიშნით იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის თავშესაფრის კონცეფციის პირველადი ვერსიის შემუშავება;

- ამოცანის ინდიკატორი 1. ჩატარებულია სოგის ნიშნით იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის კრიზისული ცენტრისა და თავშესაფრის, ასევე სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის საჭიროებების კვლევა;
- 2. შემუშავებულია სოგის ნიშნით იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის თავშესაფრის კონცეფციის პირველადი ვერსია;

საქმიანობა: 15.3.5.1.

სოგის ნიშნით იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის კრიზისული ცენტრისა და თავშესაფრის, ასევე სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის საჭიროებების კვლევა;

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

ქვეყანაში არსებული კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღნიშნული საჭიროებების კვლევა არ განხორციელებულა.

საქმიანობა: 15.3.5.2.

სოგის ნიშნით იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის თავშესაფრის კონცეფციის პირველადი ვერსიის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: პრობლემურია.

ქვეყანაში არსებული კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კონცეფცია არ შემუშავებულა.

16. ბავშვთა უფლებები

მოქმედების სფერო - პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მექანიზმები

მიზანი: 16.1.

პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერება;

ამოცანა: 16.1.6.

არასრულწლოვანთა დანაშაულის/კანონდარღვევის პრევენციის მექანიზმის დანერგვა;

ამოცანის ინდიკატორი: არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მექანიზმი დანერგილია, აერთიანებს ყველა პასუხისმგებელ უწყებას და უზრუნველყოფს მათ კოორდინირებულ მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით;

საქმიანობა 16.1.6.4.

მიზნობრივი პროგრამების/სერვისების შემუშავება და დანერგვა საჭიროებების და თანაბარი გეოგრაფიული გადანაწილების პრინციპის დაცვით;

პასუხისმგებელი უწყება: განათლების და მეცნიერების სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი; კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

დანაშაულის ხელშემწყობი რისკ ფაქტორების შემცირებისა და რეაგირების მიზნით, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ, შემუშავდა 15 სარეაბილიტაციო პროგრამა (ფსიქოსოციალური უნარების განმავითარებელი ტრენინგები), რომელთა ჩატარება დაიწყო სამიზნე ჯგუფის არასრულწლოვანებთან, პანდემიის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით. საჭიროა პროგრამების სამიზნე ჯგუფთან უფრო აქტიური მუშაობა და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მათი დახვეწა. ასევე, ჯერ კიდევ გამომწვევად რჩება გეოგრაფიულად თანაბარი ხელმისაწვდომობა სერვისებზე. აღნიშნული აქტივობის ბოლომდე განხორციელება საჭიროებს ყველა რეგიონის სპეციფიკის სიღრმისეულ შესწავლას. 2020 წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს თანამშრომლები ჰყავდა

მხოლოდ თბილისში და არ ჰქონია რეგიონული ოფისები, შესაბამისად, მოცემული აქტივობა ბოლომდე ვერ განხორციელდა.

საქმიანობა 16.1.6.5.

მექანიზმში ჩართული პროფესიონალების ინფორმირება მექანიზმის შესახებ.

პასუხისმგებელი უწყება: განათლების და მეცნიერების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

სტატუსი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; პროკურატურა: შესრულდა. (მიმდინარე-მეტწილად შესრულდა)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №681 დადგენილებით დამტკიცდა „არასრულწლოვანთა რეფერირების წესი“. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრმა. მუშაობა წარიმართა პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით. 2020 წლის განმავლობაში, უწყებების მიერ მოხდა არასრულწლოვანთა რეფერირების შესახებ პროფესიონალების ინფორმირება, რომლებიც ახდენენ სამიზნე შემთხვევების არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში გადმომისამართებას. შესაძლოა, ზოგიერთი პროფესიონალის შემთხვევაში, ბოლომდე ცნობილი არ იყოს რეფერირების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც დამატებით სამუშაოს საჭიროებს. აქტივობის განხორციელება ნაწილობრივ შეაფერხა კორონა ვირუსთან დაკავშირებულმა პანდემიამაც, რის გამოც სრულყოფილი შეხვედრების ჩატარება შეუძლებელი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრს აქვთ კომუნიკაცია და კავშირი რთული ქცევის/კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით. ამასთან, პრაქტიკაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, აქტიურად გამოიყენება სპეციალური სქრინინგ კითხვარი, თუმცა აღნიშნული დამტკიცებული კვლავ არ არის ოფიციალურად. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიერ აქტიურად ხორციელდება სამინისტროს თანამშრომელთა ინფორმირება ზემოხსენებულ მექანიზმთან დაკავშირებით ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხები განხილულ იქნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს სხდომებზე. ასევე, პროკურატურა ჩაერთო რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების მექანი-

ზმში და გენერალური პროკურორის ბრძანებით დაამტკიცა სამოქმედო ინსტრუქცია, რომელითაც ხელმძღვანელობენ პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები.

საქმიანობა 16.1.6.6.

დანაშაულის ხელშემწყობი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების, ადრეული ჩარევის, რეფერირების და რეაგირების (პროგრამები) უწყებათაშორისი მექანიზმის დანერგვა/ამოქმედება.

პასუხისმგებელი უწყება: განათლების და მეცნიერების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

შესრულების სტატუსი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; შინაგან საქმეთა სამინისტრო: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; პროკურატურა: განხორციელდა.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შესაბამისად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა „არასრულწლოვანთა რეფერირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება. 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრმა. მუშაობა წარიმართა პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით. ცენტრში, 2020 წლის განმავლობაში, სხვადასხვა უწყების მიერ, გადმომისამართდა 57 არასრულწლოვნის საქმე. არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი მონაწილეობას იღებდა საქართველოს პროკურატურის მიერ ორგანიზებულ უწყებათაშორის შეხვედრებში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით.

მანდატური უზრუნველყოფს, რეფერირების შიდა პროცედურების თანახმად, მოსწავლეთა გადამისამართებას მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, სადაც ისინი იღებენ მაღალკვალიფიციურ ფსიქო-სოციალურ მომსახურებას. 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში შემოვიდა 928 ახალი შემთხვევა, მათ შორის: მანდატურის, სხვადასხვა უწყების მიერ გადმომისამართებული, ან თვითდინებით შემოსული ადამიანები.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ყველა მანდატური გადამზადდა კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირების კომპონენტში, თემაზე - „მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და სუბკულტურა“. ტრენინგებად მომზადდნენ მანდატურის სამსახურის თანამშრომლები,

რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში ახლადდანიშნულ მანდატურთა ცნობიერების ამაღლებას აღნიშნულ თემაზე.

UNICEF-ის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, შემუშავდა ტრენინგ-მოდული “ტექნოლოგიური ადიქცია და კიბერ ძალადობა”. აღნიშნული მოდულით გადამზადდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის 12 ფსიქოლოგი და 7 სოციალური მუშაკი, ასევე საპილოტე სკოლების 12 მასწავლებელი.

მექანიზმი ამ მომენტისთვის მოქმედებს არაფორმალურ რეჟიმში, უწყებათა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შსს-ს მიერ ხდება რთული ქცევის მქონე/კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების გადამისამართება არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხები განხილულ იქნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს სხდომებზე. ასევე, პროკურატურა ჩაერთო რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების მექანიზმში და გენერალური პროკურორის ბრძანებით დაამტკიცა სამოქმედო ინსტრუქცია, რომელითაც ხელმძღვანელობენ პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები.

მოქმედების სფერო - რეაგირება/რეაბილიტაცია

მიზანი: 16.2.

ღარიბი და მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მომსახურების გაძლიერება და დახვეწა;

ამოცანა: 16.2.1. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: სოციალური სამუშაო სახელმწიფო უწყებებში მიმდინარეობს დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისად პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ;

საქმიანობა 16.2.1.1.

სოციალური სამუშაოს კონცეფციის შემუშავება და მისი დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაში იქნება სოციალური სამუშაოს შესახებ კანონპროექტის პრინციპებთან;

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია; საქართველოს მთავრობა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, მანდატურის სამსახურმა სკოლაში სოციალური მუშაობის მოდელის შექმნა დაიწყო. შემუშავდა საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კონცეფცია და მომსახურების სტანდარტები.

მიზანი: 16.3.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 16.3.2. ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა;

ამოცანის ინდიკატორი: 2 ქალაქში, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო; შემუშავებულია გეგმა ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით; სასჯელადსრულების სისტემა მოდერნიზებულია ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების რეალიზაციის კონცეფციის შესაბამისად;

საქმიანობა 16.3.2.1.

საქართველოს 2 ქალაქში პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: საქართველოს უზენაესი სასამართლო; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

შესრულების სტატუსი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა;

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური: მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა;

2020 წლის ივნისიდან ამოქმედდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო, რომელშიც არსებობს არასრულწლოვანთა გამოკითხვის ოთახი. 2021 წელს, დონორთა ჩართულობით, აქვე იგეგმება სამმართველოს სივრცის ადაპტირება/აღჭურვა ბავშვზე მორგებული გარემოს გაუმჯობესების მიზნით. 2020 წლის სექტემბრიდან იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ქუთაისის საქალაქო სამმართველოში შეიქმნა ბავშვის ინტერესზე მორგებული გარემო.

მოწყობა ბავშვზე მორგებული ერთი სივრცე ახმეტის მუნიციპალიტეტ სოფელ დუისში, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრში.

საქმიანობა 16.3.2.2.

ბავშვზე მორგებული გამოკითხვა/დაკითხვის პროცედურების დანერგვა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული ინტერვიუერები;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შესრულდა 2019 წელს. აქვე, 2020 წლის 24 ივნისიდან, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში ამოქმედდა არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო. სპეციალიზებული დანაყოფი აღჭურვილია ყველა იმ ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსით, რაც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას და, მეორე მხრივ, მათი ჩართულობით მიმდინარე სამართალწარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო დაკომპლექტებულია სპეციალიზებული გამომძიებლებითა და დეტექტივებით, რომლებსაც არაერთი გადამზადების კურსი აქვთ გავლილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.

არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო ქ. თბილისის მასშტაბით მუშაობს არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის პირების მიერ) ჩადენილი დანაშაულების გამომძიებაზე. ასევე, სამმართველოს კომპეტენციას მიეკუთვნება არასრულწლოვნების მიერ/მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება.

მოქმედების სფერო - ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირება

მიზანი: 16.4

ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება"

ამოცანა: 16.4.5.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლებში ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლეებში ერთმანეთის უფლებების დაცვისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის დასამკვიდრებლად;

ამოცანის ინდიკატორი: აღნიშნულ თემატიკაზე დატრენინგებული სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა რაოდენობა;

საქმიანობა 16.4.5.1.

ტრენინგების ჩატარება ბავშვთა უფლებების დაცვის და ბულინგისა და ჩაგვრის საკითხებზე სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლებისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, მანდატურის სამსახურისთვის შეიქმნა ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამა. აღნიშნული პროგრამით, მანდატურის სამსახურის 20 თანამშრომელი ტრენინგად მომზადდა. მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული თანასწორობის კვირეულის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მანდატურებთან, ისეთ თემებზე როგორცაა ბავშვთა უფლებები, დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა, ბულინგი და სხვა.

მიზანი: 16.5.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთათვის სარეაბილიტაციო მექანიზმების გაუმჯობესება/გადლიერება;

ამოცანა: 16.5.2. ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების (მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე) პრევენციული მომსახურებების გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რაოდენობა იდენტიფიცირებულია ქვეყნის მასშტაბით;

ქუჩაში მოხვედრის რისკის წინაშე მყოფი ბავშვების მომსახურებები გაფართოებულია;

ადრეული იდენტიფიცირების მექანიზმი შემუშავებული და გადასინჯულია

საქმიანობა 16.5.2.1.

ორგანიზაცია „FAFO“-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების მომსახურებათა კონცეფციის გადასინჯვა და ამ კონცეფციის შესაბამისად მომსახურების სტანდარტების დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ (N266), რომელშიც გათვალისწინებულია მიუსაფარი ბავშვების სერვისების სპეციფიკა.

ამოცანა: 16.5.3.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების შექმნა და გაძლიერება;

ამოცანის ინდიკატორი: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების საშუალებით გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფცია შემუშავებულია;

საქმიანობა: 16.5.3.2.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრი
შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფცია 2020 წელს დამტკიცდა მთვრობის N1825 განკარგულებით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს აღნიშნული სამიზნე ჯგუფის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. შედგა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის სიტუაციის ანალიზის ჩატარების მიზნით.

ამოცანა: 16.5.5.

ბავშვთა შრომისა და ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევების შესაბამისი გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმის განვითარება;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია ბავშვთა შრომისა და ბავშვთა ტრეფიკინგის იდენტიფიკაციის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის;

საქმიანობა: 16.5.5.1.

სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და დამტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო;

პარტნიორი უწყება: შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო;

სტატუსი: განხორციელდა დაგვიანებით.

2020 წელს იუსტიციის სამინისტროს, როგორც ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი უწყების და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ურთიერთთანამშრომლობით, ექსპერტის მიერ შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი ტრეფიკინგის თემაზე ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იმ მობილური ჯგუფებისთვის, რომელთა ფუნქციაც ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაა. დოკუმენტი დეტალურად ასახავს ინფორმაციას, როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის ნიშნების, ისე ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის დამახასიათებელი ინდიკატორების, მათთან გასაუბრებისა და მათთვის განკუთვნილი მომსახურებების შესახებ.

ამოცანა: 16.5.6.

„ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის ფარგლებში ბავშვთა უფლებების დაცვისა და კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია ბავშვთა საერთაშორისო არამართლმომიერი გადაადგილების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმი; შემუშავებულია სახელმძღვანელო წიგნი

საქმიანობა 16.5.6.1.

ბავშვთა საერთაშორისო არამართლმომიერი გადაადგილების/დაკავებისა და ურთიერთობის უფლების განხორციელების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმის შემუშავება.

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო

სტატუსი: განხორციელდა დაგვიანებით

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რელევანტური სახელმწიფო უწყებების ჩართულობით მოამზადა „არამართლმომიერად გადაადგილებული ან არამართლმომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების თაობაზე მიმართვიანობის (რეფერირებისა) და აღსრულების პროცედურების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის 5 ნოემბერს.

მოქმედების სფერო - დენსტიტუციონალიზაცია

მიზანი: 16.6.

შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა დეინსტიტუციონალიზაცია;

ამოცანა: 16.6.1. დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში ბავშვთა შედინების შემცირება;

ამოცანის ინდიკატორი: შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვების რაოდენობა სახელმწიფო 24-იან ზრუნვაში (დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში) შემცირებული და მინიმუმიზირებულია;

სახელმწიფო 24-იან ზრუნვაში ბავშვები ხვდებიან ყველა პრევენციული მექანიზმის ამოქმედების შემდეგ „გეითქიფინგის“ მექანიზმის შესაბამისად;

საქმიანობა 16.1.1.2.

დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებიდან შშმ ბავშვების საჭიროებების მიხედვით: რეინტეგრირება ბიოლოგიურ ოჯახში, განთავსება სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურებასა ან სპეციალიზირებულ მინდობით აღზრდაში;

პასუხისმგებელი უწყება: საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ბავშვების ინტერესებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მუდმივად მიმდინარეობს მათი საქმეების გადახედვა და ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან ალტერნატიულ სერვისებში გადასვლის დაგეგმვა.

ამოცანა: 16.6.2.

ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებების (მინდობით აღზრდა, სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის მომსახურება) განვითარება და დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებები (მინდობით აღზრდა, სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის მომსახურება) ფუნქციონირებენ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად

საქმიანობა 16.6.2.2.

სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის დამატებითი მომსახურებების შექმნა არსებული საჭიროების გათვალისწინებით

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

2018 წლის ბოლოს გაიხსნა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მეორე მცირე საოჯახო ტიპის სახლი ქ. თბილისში, სადაც განთავსდა 7 აღსაზრდელი ჩვილ ბავშვთა სახლიდან. ბავშვების ინტერესებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარების განთავსება ხდება მინდობით აღზრდის სერვისში, ხოლო ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები გადადიან სპეციალიზირებულ მინდობით აღზრდაში. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს დახმარებით აშენდა 2 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სადაც განთავსდებიან ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები.

საქმიანობა 16.6.2.3.

ოჯახური ტიპის მომსახურებების აღმზრდელების მომზადების ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ასოციაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრ-

თელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს სატრენინგო მოდული. სასწავლო პროცესი ტარდება წელიწადში ორჯერ და სატრენინგო კურსს გადის მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მომწოდებელი სხვადასხვა ორგანიზაცია.

მიზანი 16.7.

რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების რეგულირების სფეროში მოქცევა

ამოცანის ინდიკატორი: რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების ოპტიმიზაცია

ამოცანა 16.71. რეგულირების ჩარჩოს ფარგლებში მოქცეულია ყველა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრი და სკოლა-პანსიონატი

საქმიანობა 16.71.1.

რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობით, 2018 წელს შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტი. (იხილეთ ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის 2019 წლის ანგარიში).

საქმიანობა 16.71.2.

შემუშავებული ინსტრუმენტებით დაწესებულებების შეფასება

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: მუნიციპალიტეტები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

შემუშავებული ინსტრუმენტის საფუძველზე განხორციელდა დაწესებულებების სწრაფი შეფასება, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმანური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში მცხოვრები არასრულწლოვნების დაწესებულებებში მოხვედრის მიზეზები და საჭიროებები.

საქმიანობა 16.71.3.

რელიგიურ დაწესებულებებში და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების მარეგულირებელი ჩარჩოს დადგენა

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი უწყება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მუნიციპალიტეტები

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

გაიმართა შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმანური კონფესიის დაქვემდებარებული დაწესებულებების წარმომადგენლებთან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არალიცენზირებულ დაწესებულებებს გაუგზავნა წერილები „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობის შესახებ.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში 2018 წლის 26 ნოემბერს შევიდა ცვლილება და დუშეთის მუნიციპალიტეტის 3 სკოლა (ბარისახო, მაღაროსკარი, შატილი) დაემატა ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ჩამონათვალს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 27 მარტის ბრძანებით დამტკიცდა ბავშვთა კეთილდღეობისაკენ მიმართული საკოორდინაციო საბჭოს დებულება და შემადგენლობა. საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს 4 კომიტეტი. საბჭოსა და კომიტეტების წევრები არიან საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმანური კონფესიის წარმომადგენლებიც.

მოქმედების სფერო - ანგარიშგება, მონიტორინგი და უწყებათაშორისი თანამშრომლობა

მიზანი: 16.9.

შიდა მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება;

ამოცანა: 16.9.1. არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის დანერგვა;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია და ფუნქციონირებს არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა; დამტკიცებული ინდიკატორების შესაბამისად მიმდინარეობს არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი;

საქმიანობა 16.9.1.1.

ბავშვის ინდიკატორების დასრულება და დამტკიცება შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადება, საკანონმდებლო ცვლილებების და ბავშვის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება; ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

შესრულების სტატუსი: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური: მიმდინარე-მეტწილად შესრულდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: პრობლემურია.

საქართველოს მთავრობის დადგენილების N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: ბავშვზე ძალადობის ერთიანი ბაზის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს პოლიცია. ამ მიზნით მიმდინარეობს სამუშაოები შესაბამის ინფორმაციაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას გააჩნია წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე.

იურიდიული დახმარების სამსახურში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა მონაცემთა შეგროვების ერთიანი ელექტრონული ბაზის - ქეისბანკის მოდერნიზებისა და დახვეწის მიმართულებით. ქეისბანკში დეტალურად აისახება არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მონაცემებიც.

17. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა

მიზანი: 17.1.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციული მოპყრობისაგან დაცვის ხელშეწყობა და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 17.1.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა; გაფართოებული გეოგრაფიული არეალი;

საქმიანობა 17.1.1.1.

საინფორმაციო კამპანიის წარმოება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ვერ განხორციელდა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გამო.

COVID-19 -ის პანდემიის გამო ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილი აქტივობები არ ჩატარებულა.

ამოცანა 17.1.2.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა გაფართოებული გეოგრაფიული არეალი;

საქმიანობა 17.1.2.1.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით წლის განმავლობაში გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან, ახალგაზრდებთან, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები რეგიონებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან - არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პედაგოგებთან, უხუცესებთან. შეხვედრებზე ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილებოდა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები; წლის განმავლობაში გაიმართა 30-მდე შეხვედრა.

მიზანი: 17.2.

ეთნიკურ უმცირესობათა წვდომის გაუმჯობესება მასმედიაში და ინფორმაციაზე;

ამოცანა: 17.2.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: მედიაპროდუქტი მომზადებული და გავრცელებულია;

საქმიანობა 17.2.1.1.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდური მედია საშუალებების გავრცელების ხელშეწყობა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - განხორციელდა; იუსტიციის სამინისტრო: განხორციელდა

ყველა პენიტენციური დაწესებულის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ გაზეთებით.

წლის განმავლობაში გაგრძელდა არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა. სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3800-4000 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (56 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში.

ამოცანა: 17.2.2.

ეროვნულ უმცირესობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა;

საქმიანობა 17.2.2.1.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების (მათ შორის ოჯახში ძალადობა) შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება საზოგადოებრივი ცენტრების ბაზაზე;

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

პარტნიორი უწყება: სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით და ქალთა საინფორმაციო ცენტრის ჩართულობით, 2020 წელს ყაჩაღანის და ჭრებალოს საზოგადოებრივი გაიმართა სამდღიანი საინფორმაციო შეხვედრა „გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის დახმარების სერვისების შესახებ. შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები, პედაგოგები და ახალგაზრდები.

ჭრებალო - სულ 29 მონაწილე, 27 ქალი და 2 მამაკაცი;

ყაჩაღანი - სულ 55 მონაწილე, 34 ქალი და 21 მამაკაცი.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობით, 2020 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი რეგიონების ფარგლებში (სულ 8 შეხვედრა). შეხვედრას ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში და ასევე ესწრებოდნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები. შეხვედრის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდა 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე, მათ შორის, გენდერულ თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და ასოციაცია “თანხმობის” ერთობლივი თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა შიდა ქართლში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან. შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები.

მიზანი: 17.3.

ცნობიერების ამაღლება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ;

ამოცანა: 17.3.1. საინფორმაციო კამპანია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა; სამიზნე ჯგუფები; გავრცელებული მასალების რაოდენობა;

საქმიანობა 17.3.1.1.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების, სოფლის მეურნეობის განვითარების, განათლების კუთხით არსებული პერსპექტივებისა და ინიციატივების გაცნობა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სსიპ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან და საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“.

პროექტის პირველ ეტაპზე ჩატარდა ტრენინგები (TOT - 40 მონაწილე). ტრენინგის მონაწილეები შეხვდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს და მოწვეულ ექსპერტებს, გაიდრმავეს ცოდნა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ევროპული ფასეულობების, ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების და მისწრაფებების, საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეების შესახებ და ამავდროულად, მათ მიეცათ შესაძლებლობა დაეხვეწათ კომუნიკაციის უნარ-

ჩვევები. პროექტის შემდგომ ეტაპზე ახალგაზრდა თანატოლგანმანათლებლებმა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, თემის ლიდერებთან. პროექტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან. 9 მუნიციპალიტეტის 24 სოფელში ჩატარდა 37 შეხვედრა და 703 ბენეფიციარს მიენოდა ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ.

2020 წელს, სსიპ-ის საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით, როგორც პირდაპირი კომუნიკაციის გზით, ასევე, Covid-19-ის პანდემიის შედეგად შემოღებული რეგულაციების შესაბამისად, ციფრული ფორმატით განხორციელდა 25-მდე შეხვედრა 350-მდე მოქალაქის ჩართულობით. შეხვედრები გაიმართა როგორც თბილისში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

ამოცანა: 17.3.2.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა ადგილობრივ ბეჭდვით/ელექტრონულ მედიაში; არაქართულენოვან გაზეთებში;

ამოცანის ინდიკატორი: მასალები განთავსებულია ადგილობრივ ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში და გაზეთებში - „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“;

საქმიანობა 17.3.2.1.

ადგილობრივ ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში და გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“ ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის განთავსების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;

პარტნიორი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; განხორციელდა;

წელის განმავლობაში არაქართულენოვან გაზეთებში „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“ აქტიურად ხდებოდა საინფორმაციო მასალების განთავსება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ. კერძოდ, გაზეთ „ვრასტანის“ 102 ნომერში და გაზეთ „გურჯისტანის“ 15 ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია ევროინტეგრაციის საკითხების შესახებ. გაზეთები გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასალებულ სამივე რეგიონში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მედიის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ფორმატში, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიმდინარე პროცესების შესახებ უახლესი და სრულყოფილი ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელებას. პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ მედია კომპონენტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონული მედიის მხარდაჭერის გზით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე მომუშავე ხუთმა ადგილობრივმა პარტნიორმა მედია საშუალებამ (ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში) 2020 წლის განმავლობაში საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით 30 შინაარსობრივი პროდუქტი მოამზადა და გაავრცელა.

სოციალური მედიის საშუალებით წარმოებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, 2020 წელს მომზადდა და გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენებზე 52 პოსტი, რომლებმაც ჯამში დააგროვა 356, 578 ჩვენება და მათ გაეცნო 38, 361 ადამიანი.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ცენტრმა მოამზადა და თარგმნა საინფორმაციო მასალები („გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ) ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომლებიც ხელმისაწვდომია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე "<http://www.infocenter.gov.ge>" www.infocenter.gov.ge.

მიზანი: 17.4

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;

ამოცანა: 17.4.1 ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) გათვალისწინებით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულია;

საქმიანობა 17.4.1.1

საინფორმაციო რგოლის მომზადება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო);

პარტნიორი უწყება: სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განახორციელა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. კამპანიის ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს 40 აქცია სახელწოდებით „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“. აქციის ფარგლებში მოქალაქეებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (პლანშეტით და სწრაფი გადახდის აპარატით), ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების სერვისი შესთავაზეს. აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან გაიმართა 17 შეხვედრა, ხოლო სომხურენოვან ამომრჩევლებთან 18 შეხვედრა. ამასთან, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან გაიმართა ხუთი შეხვედრა. მათ შორის, ქისტებთან ორი, ავარიელებთან ორი და ბოშათა თემის წარმომადგენლებთან ერთი შეხვედრა. რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ გავრცელდა შემდეგი საინფორმაციო ფლაერები: „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ“; „ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმება“; „ხმის მიცემის პროცედურები“; „ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდა

ამომრჩევლებს – მათ, ვინც პირველად მონაწილეობს არჩევნებში“. გავრცელებული ყველა საინფორმაციო მასალა ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის, მომზადდა 13 ვიდეორგოლი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მათ შორის მომზადდა ვიდეორგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. რგოლები განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელსა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში. არჩევნების II ტურისთვის მომზადდა სამი ვიდეორგოლი აზერბაიჯანულ ენაზე. ცესკომ ასევე მოამზადა ორივე ტურისთვის რადიო რგოლები (სომხურენოვანი რადიო: „ვრასტან-FM“; „ნორი“; აზერბაიჯანულენოვანი რადიო: „ბოლნელი“; „მარნეული“; „AG FM“).

საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ჟესტურ ენებზე. ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“ განთავსებული იყო საარჩევნო ინფორმაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციები გავრცელდა სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის „გურჯისტანის“ საშუალებით.

ცესკოს ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია პარლამენტის არჩევნების პირველ და მეორე ტურში, მაჟორიტარული ოლქების მიხედვით, ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ.

აქტივობა (I ტური) იხ. ბმული: <https://cesko.ge/res/docs/2020110718072020.00..pdf>

აქტივობა (II ტური) იხ. ბმული: <https://cesko.ge/geo/static/3538/aqtivoba-2020>

მიზანი: 17.5.

ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;

ამოცანა: 17.5.1 საინფორმაციო/ ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების სისტემაში დაგეგმილი და მიმდინარე სიახლეების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა; გაფართოებული გეოგრაფიული არეალი; მედიაში გაშუქების დინამიკა;

საქმიანობა 17.5.1.1.

უმაღლესი განათლების სისტემის საშედავათო პოლიტიკის, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია; სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; განათლების სამინისტრო: განხორციელდა

სახელმწიფო მინისტრის აპარატის პროექტის „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“ ფარგლებში 2020 წელს გადამზადდა 50-მდე თანატოლგანმანათლებელი, რომლებმაც წლის განმავლობაში ჩაატარეს 41 შეხვედრა 8 მუნიციპალიტეტის 47 სოფელში 517 ბენეფიციარის ჩართულობით. ახალგაზრდებს, სკოლის მოსწავლეებს მიუხედავად ინფორმაცია განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების, სიახლეების, უმაღლესი და პროფესიული განათლების, ასევე 1+4 სტაჟირების პროგრამის შესახებ.

საინფორმაციო ხასიათის მქონე შეხვედრები ჩატარებულია (ერთი შეხვედრა დ/პ ნინოწმინდა, ერთი შეხვედრა ქ.მარნეული და ერთი შეხვედრა კახეთში), ვირუსული ინფექციის (COVID 19) პრევენციის მიზნით საინფორმაციო სახის შეხვედრების გაგრძელება იგეგმება დისტანციურ რეჟიმში. ხარისხიანი განათლების შესახებ

ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით აკადემიის საინფორმაციო საიტზე (ასევე აკადემიაში მოქმედებს არაქართულენოვანთათვის ერთ წლიანი ქართულ ენაში მომზადების პროგრამა).

2020 წლის თებერვალში ქვემო ქართლის რეგიონში (6 მუნიციპალიტეტი) ჩატარდა ღია კარის დღეები;

ბენეფიციართა რაოდენობა: 500 აბიტურიენტი.

გამოქვეყნდა რეგისტრაციის ვიდეოინსტრუქცია სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, სუბტიტრებით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, ღია კარის დღეები ტარდება ონლაინ Microsoft Teams-ის პროგრამის გამოყენებით. ღია კარის დღეები აბიტურიენტთა ინფორმირებულობის მიზნით ეტაპობრივად იმართება სხვადასხვა რეგიონის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეები ონლაინ ღია კარის დღეებზე დასასწრებად რეგიონების მიხედვით ნაწილდებიან. კონკრეტული თარიღის შესახებ მეთორმეტე კლასის მოსწავლეების ინფორმირებას საგანმანათლებლო რესურსცენტრის დახმარებით სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა

- - განხორციელდა 7 პროგრამა;
- - გადამზადდა ეროვნული უმცირესობის 2059 წარმომადგენელი;
- - განხორციელდა ძირითადად დისტანციურად (COVID-19 შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით), მობილური ჯგუფები ჩამოყალიბდა 4 ქალაქში, 14 სოფელსა და 6 სამხედრო ბაზაზე.

საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება

- - განხორციელდა 9 პროგრამა;
- - გადამზადდა 396 საჯარო მოსამსახურე;
- - პროგრამით ისარგებლა 36 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა

ამოცანა: 17.5.2.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა პროფესიული ზრდა და განვითარება;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო ენის სწავლებისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების განხორციელებული პროგრამების რაოდენობა; პროგრამებით გადამზადებულ პირთა რაოდენობა; სახელმწიფო ენის სწავლებისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამების განხორციელების გეოგრაფიული დაფარვის გაზრდილი არეალი;

საქმიანობა 17.5.2.1.

საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში საჯარო მოხელეთა (ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მალალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები) გადამზადება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებებით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში: განხორციელდა 7 პროგრამა; -გადამზადდა ეროვნული უმცირესობის 3545 წარმომადგენელი; - განხორციელდა 4 ქალაქში, 66 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება: - განხორციელდა 7 პროგრამა; - გადამზადდა 442 საჯარო მოსამსახურე; - პროგრამით ისარგებლა 46 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

ამოცანა: 17.5.3.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების მიღების ხელშეწყობა; სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაცია/გაუმჯობესება; „1+4 პროგრამის“ განხორციელება;

ამოცანის ინდიკატორი: ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო 1+4 პროგრამით მოსარგებლე ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა;

საქმიანობა 17.5.3.1.

„ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის“, იგივე 1+4 პროგრამა განხორციელება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის; პროგრამის შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან, საინფორმაციო საშუალებებით, ელექტრონული და ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება აღნიშნულის თაობაზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პროექტის „ეთნიკურ უმცირესობათა შორის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა“ ფარგლებში სპეციალური მომზადება გაიარა 50-მდე ახალგაზრდამ. ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეები ხვდებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს და მონვეულ ექსპერტებს, იღრმავებდნენ ცოდნას საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეების შესახებ და ამავდროულად, მათ მიეცათ შესაძლებლობა დაეხვეწათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. პროექტის შემდგომ ეტაპზე ახალგაზრდა თანატოლგანმანათლებლებმა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, თემის ლიდერებთან. პროექტის ფარგლებში 2020 წელს ჩატარდა 41 შეხვედრა 8 მუნიციპალიტეტის 47 სოფელში 517 ბენეფიციარის ჩართულობით. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ დაიბეჭდა სომხურენოვან გაზეთ ვრასტანის 102 ნომერში, ასევე აზერბაიჯანულენოვან გაზეთ „გურჯისტანის“ 51 ნომერში.

დამატებით ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებისთვის დამტკიცდა ქვეპროგრამა „ბილინგვური განათლების ხელშეწყობა ეთნიკურ უმცირესობათა სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“, რომელიც ითვალისწინებს კომპაქტური განსახლების რეგიონების სკოლამდელ და სასკოლო საფეხურის დაწესებულებებში ბილინგვური განათლების დაწესებულების განხორციელების გზით, სახელმწიფო ენისა და მშობლიური ენის წიგნიერების დონის ამაღლებას; შესაბამისი რესურსების შექმნას; არსებული კადრების მომზადებასა და ახალი კადრების მოსაზიდად მექანიზმების შექმნას. პროგრამის განხორციელების შედეგად დაგეგმილია სასკოლო ბილინგვური განათლების პროგრამების მომზადება და პილოტირება დაწყებით საფეხურზე; ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის სწავლების ხელშეწყობი მექანიზმების შექმნა; სკოლის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ქოუჩინგის მექანიზმების შექმნა ბილინგვური საგანმანათლებლო პროცესისა და მრავალენოვანი გარემოს ეფექტიანი მართვის, განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნისა და ლიდერობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობად.

მიზანი: 17.6.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 17.6.1. ისტორიული საკულტო ნაგებობების თანმიმდევრული რეაბილიტაციის და დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: რეაბილიტირებული ისტორიული საკულტო ნაგებობების რაოდენობის მზარდი ტენდენცია, განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი ობიექტების რეაბილიტაცია;

საქმიანობა 17.6.1.1.

ისტორიული საკულტო ნაგებობების რეაბილიტაციის პრიორიტეტულობის დადგენა და შესაბამისი სიის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

კოვიდ 19-თან დაკავშირებული ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, რის შედეგადაც განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ბიუჯეტის გადაგეგმარება, ეროვნული სააგენტოს მიერ ვერ განხორციელდა მის მიერ დაგეგმილი ინვენტარიზაციის პროგრამები, რომელიც 2020 წელს უნდა შეხებოდა უკრაინულ, ბერძნულ, ებრაულ მემკვიდრეობას, ასევე პოლონური მემკვიდრეობის კვლევის გაგრძელებას.

ამასთან, წინა პერიოდში შესწავლილი და გამოვლენილი ღირებულებების საფუძველზე, მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის ძეგლის სტატუსის განსაზღვრა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე „ყოფილი რუსული სკოლა“
ასპინძის მუნიციპალიტეტში მდებარე „მაჰმადიანური სამაროვანი I“
ასპინძის მუნიციპალიტეტში მდებარე „მაჰმადიანური სამაროვანი II“

ამოცანა: 17.6.2.

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ტრადიციების და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერით;

ამოცანის ინდიკატორი: ეთნიკურ უმცირესობათა სსიპ ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის მზარდი ბიუჯეტი;

საქმიანობა 17.6.2.1.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით და მხარდაჭერით მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ განხორციელდა პროექტები „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომლის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებითა დასახლებულ სოფლებში ჩატარდა 6 ღონისძიება. 6 მარტიდან 25 სექტემბრამდე დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში განხორციელდა 80-ზე მეტი აქტივობა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, სსიპ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მიერ საანგარიშო პერიოდში გეგმის მიხედვით, განხორციელდა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას ისახავს მიზნად. პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა 26956 ლარი.

პროექტის ფარგლებში, ქვეყანაში დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით, მათ შორის დისტანციური ფორმატით, გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (მარნეულის მუნიციპალიტეტსა და სოფლებში - სადახლო, ხოჭორნი, ალგეთი, თაზაქენდი, შაუმიანი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ეშტიაში, ახალციხის მუნიციპალიტეტებში, წალკისა

და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, ახმეტის მუნიციპალიტეტსა და სოფელ საკობიანოში).

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ ჩატარდა კონკურსი „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა 6 პროექტი და მათმა დაფინანსებამ ჯამურად შეადგინა 96 875 ლარი.

კონკურსის ფარგლებში გამოიცა 4 წიგნი/კატალოგი, 1 წიგნის გამოსაცემად მომზადდა ელექტრონული ვერსია, რომლებშიც ასახულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობათა შემოქმედება, კულტურული ტრადიციები და წესჩვეულებები.

ასევე, შეიქმნა ვებ-აპლიკაცია - ინფორმაციული ბაზა, სადაც საძიებო სისტემით შესაძლებელია საქართველოში მცხოვრები კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკური უმცირესობების და მათი ნამუშევრების ასევე, კულტურული მემკვიდრეების ძეგლების, მუზეუმების, და სხვა კულტურული ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

მიზანი: 17.7.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობის გაზრდა სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროგრამების/სერვისებისა და სიახლეების შესახებ;

ამოცანა: 17.7.1. საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გამართული შეხვედრების/სემინარების და მონაწილეთა რაოდენობა; გეოგრაფიული არეალი, სამიზნე ჯგუფები;

საქმიანობა 17.71.1.

საინფორმაციო შეხვედრები სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სერვისებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; მუნიციპალიტეტები; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - განხორციელდა; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო - განხორციელდა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - განხორციელდა.

COVID 19 პანდემიის გამოცხადების პირველივე დღეებიდან ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმაციაზე დროული და ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ღონისძიება. კერძოდ:

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კორონავირუსის გავრცელების პირველივე დღეებიდან ოპერატიულად დაიწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის ინფორმირება. 3 მარტიდან წარიმართა უპრეცედენტოდ აქტიური და ინტენსიური საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია COVID 19-ის გავრცელების პრევენციის ზომების, დაწესებული რეგულაციებისა და შეზღუდვების, შეღავათებისა და კომპენსაციების შესახებ.

მომზადდა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე ითარგმნა საინფორმაციო მასალები კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ნახევარ მილიონზე მეტი საინფორმაციო მასალა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით რამდენიმე ეტაპად და კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში.

საზოგადოების ინფორმირებისა და პრევენციის ღონისძიებების თემატიკაზე მომზადდა არაქართულენოვანი გაზეთების - აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ გამოშვებები (ტირაჟი 4500) და სპეციალური დამატებითი რედაქცია (ტირაჟი 6000), სადაც განთავსდა სრული ინფორმაცია კორონავირუსთან დაკავშირებულ ყველა აქტუალურ საკითხზე.

სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო ვიდეორგოლების თარგმნა და რეგიონული ტელევიზიების ეთერებში განთავსება;

ეტაპობრივად, აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ორენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური) მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განთავსებული ანძების მეშვეობით გაეგზავნა მობილური ნომრების აბონენტებს;

ინფორმირების კამპანიასთან ერთად ყურადღება დაეთმო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მათთვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების გადაცემას. პანდემიის პირველი ტალღის დაწყებისთანავე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ ბოშათა ოჯახებსა და ამავე დროულად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათები [605 კალათი].

პანდემიის მეორე ტალღის საპასუხოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით განაგრძო საინფორმაციო და სოციალური დახმარების კამპანიების აქტიურ რეჟიმში განხორციელება. საინფორმაციო კამპანია წარიმართა სამი მიმართულებით:

მომზადდა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ანტიკრიზისული გეგმა და კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით 100 000-მდე ბროშურა, რომელიც კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;

გადამზადდნენ ორენოვანი ახალგაზრდები, რომლებიც ოპერატორებად დასაქმდნენ სამთავრობო ცხელ ხაზზე 144-1. აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, გაიარონ კონსულტაცია დაწესებული გადაადგილების დროებითი შეზღუდვის პირობებში სამშენებლის გაცემის თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ მომსახურება.

გადამზადდა ორენოვანი ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში თანატოლებთან დისტანციური შეხვედრების ჩატარებას კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის ანტიკრიზისულ გეგმასთან დაკავშირებით.

სოციალური დახმარების კამპანია ითვალისწინებდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები დედ-მამით ობოლი და შშმ ბავშვებისათვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტების (729) გადაცემას.

2020 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებმა

ბის მიერ სხვადასხვა რეგიონის 1178 სოფელში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა - მთიანეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი) საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაუტარდა 3469 მოსახლეს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორგანიზებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა საინფორმაციო მასალები/ბუკლეტები კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2020 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოს თანამშრომლების მიერ სხვადასხვა რეგიონის 1178 სოფელში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა - მთიანეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი) საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაუტარდა 3469 მოსახლეს.

18. რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა

მიზანი: 18.1.

სეკულარიზმის და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება;

ამოცანა: 18.1.1. საქართველოში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა; 2018 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურში გამოვლენილია პრიორიტეტული/ რისკის შემცველი სამიზნე ჯგუფები და ხდება მათი ტრენინგი; საგანმანათლებლო მოდულის ზეგავლენის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება მაღალი სტანდარტის დასაწერად;

საქმიანობა 18.1.1.2.

საქართველოს მთავრობის N200 დადგენილებების (საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ) პოპულარიზაცია და საჯარო მოხელეებისათვის აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ბიურო აქტიურად აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილ-სინდისიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით. ამ მიზნით, მომზადდა საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო პლატფორმა და შეიქმნა ვებ-პორტალი (www.ethics.gov.ge), სადაც ნარატიულ მასალასთან ერთად განთავსდა კომიქსები, ვიდეო და ილუსტრირებული მასალები სხვადასხვა საკითხის უკეთესად ფორმულირების მიზნით. შინაარსობრივად კურსი დაიყო ოთხ ძირითად მოდულად, რომლებიც აერთიანებს საჯარო სამსახურში ეთიკასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, მათ შორის, მიმოიხილავს რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულებას. თითოეული მოდულის გავლის შემდეგ, მოხელეებისათვის შეიქმნა ტესტური დავალებების ბაზა, მიღებული ცოდნის გაზომვისათვის.

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ელექტრონული სასწავლო კურსის სატესტო რეჟიმში ფუნქციონირების შემოწმების პროცესი, რომელიც პანდემიით შექმნილი სიტუაციის და სამუშაოს დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის გამო, გახანგრძლივდა. საჯარო სამსახურის ბიურომ სამინისტროებისგან გამოითხოვა მოხელეთა საკონტაქტო მონაცემები და ასახა კურსის ელექტრონულ ბაზაში, რის შედეგადაც კურსი მოხელეებისთვის უკვე ხელმისაწვდომია.

საქმიანობა 18.1.1.3.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების საშუალებებით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საზოგადოებაში საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნების, შემწყნარებლობის, კულტურის, ადამიანის უფლებების, მათ შორის, რელიგიის თავისუფლების შესახებ სამართლებრივი გარანტიების შესახებ ცნობიერების ამაღლების, ასევე, ტოლერანტული გარემოს მხარდაჭერის მიზნით:

ყოველწლიურად გამოიცემა ინტერ-რელიგიური კალენდარი(კედლის, სამაგიდო და ბრაილის შრიფტით). პროექტი გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების(ამჟამად 11 რელიგიური მიმდინარეობა) დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში. კალენდარი ყოველწლიურად ვრცელდება რელიგიურ თემებში, პრაქტიკულად ყველა საჯარო უწყებაში, უნივერსიტეტებში და სხვ. აღნიშნული პროექტი, თავის მხრივ, ხელს უწყობს განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთცნობადობის ამაღლებას და ინტერ-რელიგიური კულტურის განვითარებას, ასევე, საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას რელიგიური მრავალფეროვნების და ტოლერანტობის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საქართველოში მოქმედი საკულტო რუკის პრეზენტაცია, რომელიც რელიგიური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა. რუკაზე დატანილია მოქმედი საკულტო ნაგებობების რაოდენობა-მუნიციპალიტეტების დონეზე და პროცენტილი მაჩვენებელი-რეგიონების დონეზე, ასევე, საქართველოში არსებული უმრავლესი რელიგიური კონფესიების რიცხობრივი მონაცემები. არსებობს რუკის, როგორც ნაბეჭდი, ასევე, ელექტრონული ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომია სააგენტოს სპეციალურ ვებგვერდზე: <https://religion.gov.ge/cults/>

განხორციელდა საზოგადოებათან ურთიერთობის ორთვიანი კამპანია რწმენისა და რელიგიის თავისუფლების თემასთან დაკავშირებით. საზოგადოებასთან ურთიერთო-

ბის კამპანიის ფარგლებში მომზადდა სატელევიზიო კლიპი და ფოტომასალა. კლიპი განთავსდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე სოციალური კლიპის ეგიდით. ფოტომასალა კი გავრცელდა რელიგიის სააგენტოს ვებ-გვერდითა და სოციალური ქსელით. ინტერ-რელიგიური შინაარსისა და რწმენის თავისუფლების იდეის მატარებელი კლიპი და საუკეთესო ფოტო გამოფენილი იყო თბილისში, რამდენიმე ბანერზე.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შეიქმნა ფოტოალბომი „რელიგიები საქართველოში“, რომელშიც ასახულია საქართველოს რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება და რელიგიურ ლიდერთა ფოტოები. ალბომი დაყოფილია საქართველოს მხარეების მიხედვით და აღწერილია ამ რეგიონებში არსებული მნიშვნელოვანი და ისტორიული საკულტო ნაგებობები. ცალკე სივრცე აქვს დათმობილი საქართველოში არსებულ უმრავლეს რელიგიურ მიმდინარეობებს, ხოლო ალბომის ელექტრონული ვერსია რელიგიის სააგენტოს საიტზეა ატვირთული.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სააგენტომ ჩაატარა ტრენინგების ციკლი საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში. ტრენინგების ჩატარდა თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში დედაქალაქსა და რეგიონებში. ტრენინგები მოიცავდა 1000-ზე მეტმა სტუდენტმა. ტრენინგების შემადგენელი საკითხები იყო: ტოლერანტობის კულტურა საქართველოში და რელიგიის თავისუფლების განვითარების პოლიტიკა და თანამედროვე გამოწვევები; საქართველოში მოქმედი რელიგიების ისტორია; რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიები და სასამართლო პრაქტიკა. ტრენინგები ჩატარდა:

- ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი 11.10.18
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 17.10.18
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 05.11.18
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 07.11.18
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 04.12.18
- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 27.11.18

ამოცანა: 18.1.3.

საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ანალიზი და შესაძლო რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევებზე კვალიფიციური კვლევის ჩატარება;

ამოცანის ინდიკატორი: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სპეციალური ანგარიში;

შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა;

საქმიანობა 18.1.3.1.

რელიგიის საკითხებში კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების მიზნით ანგარიშებში გამოვლენილი პრობლემების მიზეზების კვლევა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ყოველწლიურად ეცნობა და სწავლობს სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო და ადგილობრივ ანგარიშებს და მათში გამოვლენილი პრობლემების მიზეზების კვლევის მიზნით, ახორციელებს სისტემატურ კონსულტაციებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერ-რელიგიური სათათბიროს წევრ რელიგიურ ორგანიზაციებთან;

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან სამუშაოდ და გაიმართა ინტერ-რელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების რამდენიმე შეხვედრა ხსენებულ კომიტეტში. გამოვლენილი პრობლემების მიზეზთა კვლევისათვის ჩაინიშნა თემატური შეხვედრები შესაბამის უწყებებთან კომპეტენციების მიხედვით.

საქმიანობა 18.1.3.2.

რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლება რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლების, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით, სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები საქართველოს მასშტაბით. ტრენინგებს ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია; ებრაული თემი;
- ლათინ-კათოლიკეთა კავკასიის კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია; მუსლიმთა თემი;
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრება;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- სახარების რწმენის ეკლესია;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

საერთო ჯამში 770-ზე მეტი სასულიერო პირი. ტრენინგი მოიცავდა თემებს: ადამიანის უფლებები ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით; რელიგიის თავისუფლება, სამართლებრივი გარანტიები და ევროპული სტანდარტები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის თემაზე(ევროკონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში).

- ადნიშნული ტრენინგები ჩატარდა:
- თბილისში - 19, 26 და 27 ივნისი, 2018 წ.
- ბათუმში - 10 ოქტომბერი, 2018 წ.
- ახალციხეში - 6 ნოემბერი, 2018 წ.
- ქუთაისში - 26 ნოემბერი, 2018 წ.
- გორში - 5 დეკემბერი, 2018 წ.

ზუგდიდში - 30 მაისი, 2019 წ.
ყვარელში - 20 ივნისი, 2018 წ.

წინამდებარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგების - “ადამიანის უფლებები და რელიგიური შემწყნარებლობა” მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სემინარების მონაწილე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ სასულიერო პირებს სახელმწიფო ენის სათანადოდ, ან საერთოდ ვერ ფლობის გამო უჭირდათ სასაუბრო თემის გაგება-გააზრება.

გადაწყდა, განხორციელებულიყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი.

პროექტი წარმატებით მიმდინარეობდა 2019 წლის ივლისის თვიდან და მასში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს მუსლიმთა თემმა და სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ, მზადყოფნა გამოაცხადა საქართველოს კათოლიკე თემმა და ევანგელურ-ლუთერულმა ეკლესიამ. დაგეგმილია შემდგომში პროექტში მონაწილე რელიგიური ორგანიზაციების რიცხვის გაზრდაც. სამწუხაროდ, 2020 წლის გაზაფხულზე პანდემიის გამო პროექტი შეჩერდა.

საქმიანობა 18.1.3.3.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ სტატისტიკის წარმოება, დაკავშირებული რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებებთან;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია და ასეთ დანაშაულზე რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ამ მიზნით, უწყებაში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევს შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების საქმეებზე სათანადო სამართალწარმოების განხორციელებას და სპეციალური ფორმის მეშვეობით აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებშიც შესაძლოა იკვეთებოდეს (მათ შორის, რელიგიური ნიშნით) შეუწყნარებლობის მოტივი.

გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ 2020

წელს შესწავლილ იქნა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების 2018-2020 წლების სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია პროკურატურის ვებ-გვერდზე და ასახავს 2018-2020 წლების სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს რელიგიურ დანაშაულებზე. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/886a091c-religiis-nishniT-diskriminaciis-motivi.pdf>;

2020 წელს რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილ იქნა 10 პირი, მათ შორის 3 იურიდიული პირი და 7 იეჭოვას მოწმე.

საქმიანობა 18.1.3.4.

რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ შსს-ს და პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

პარტნიორი უწყება: სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის 12 თვის მონაცემებით, საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე, რომელიც მოიცავდა რელიგიისა და რწმენის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებს. ჯამში განხორციელდა 1 ერთობლივი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 15 პროკურატურის წარმომადგენელი.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია სწავლებისას მუდმივად ახორციელებს პოლიციელთა ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას, მათ შორის ანტი-დისკრიმინაციულ პოლიტიკას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მოვალეობების შესრულებისას ადამიანის უფლებათა დაცვა და შენარჩუნდეს ყველა ადამიანის უფლება, მათ შორის რასობრივი, რელიგიის, სქესის, კანის ფერის ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. შსს აკადემიის სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებების სწავლებისას, არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა. პოლიციელთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ სწავლებისას, იფარება, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა:

- დისკრიმინაციის აკრძალვა, არსი, ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები;
- დისკრიმინაციის აკრძალვა და მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა;
- დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვადასხვა საფუძვლები (რასა, კანის ფერი, ეროვნება, სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და სხვა საფუძვლები);
- დისკრიმინაციის ფაქტებისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და სიძულვილის მოტივის გამოკვეთის თავისებურებები.

2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნული თემატიკით სულ მომზადდა/გადამზადდა 400-მდე თანამშრომელი.

გარდა ამისა, 2020 წელს, შემუშავდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა (მათ შორის, რელიგიური სიძულვილით) იდენტიფიცირებისა და გამოძიების შესახებ ეუთოსა და ევროპის საბჭოს მასალების საფუძველზე ტრენინგ მოდული და კურიკულუმი, ჩატარებულია 9 ტრენინგი, სულ გადამზადდა 150-მდე გამომძიებელი.

2020 წელს ევროპის საბჭოს ექსპერტთან მასალების საფუძველზე, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და კონკრეტული დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ შემუშავდა გამომძიებელთათვის კასკადური ტრენინგების მოდული და კურიკულუმი. ჩატარებულია 2 ტრენინგი, სულ გადამზადდა 30-მდე გამომძიებელი. ტრენინგის ფარგლებში დამოუკიდებელი სესია ეძღვნება რელიგიურ დისკრიმინაციას.

ამოცანა: 18.1.4.

ზოგადი განათლების სისტემაში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცება

ამოცანის ინდიკატორი: გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა; შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა;

საქმიანობა: 18.1.4.1.

მასწავლებლების და დირექტორების გადამზადების პროგრამებში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების გათვალისწინება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; განათლების და მეცნიერების სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სახალხო დამცველი ოფისი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე-მეტწილად შესრულდა; განათლების სამინისტრო - განხორციელდა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, პროექტის „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“ ფარგლებში განახორციელა პედაგოგების ტრენინგი რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების კუთხით.

შემუშავებული და დამტკიცებული ტრენინგმოდული „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები სკოლაში.“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლობით, შემუშავებული ადამიანის უფლებების სწავლების 10 მოდულიანი კურსი. კურსმა გაიარა პილოტირება და მიმდინარე წლიდან ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს სკოლების მასწავლებლებისა და დირექტორებისთვის.

ამავდროულად, მუშაობა მიმდინარეობს მოდულზე, რომელიც უშუალოდ ითვალისწინებს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

ამოცანა: 18.1.5.

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა;

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორებმა, გამომძიებლებმა და სტაჟიორებმა გაიარეს სასწავლო კურსები, სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაბამისი რეკომენდაცია მომზადებულია;

საქმიანობა 18.1.5.1.

დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

განხორციელდა ონლაინ კურსი თემაზე „რასიზმის, ქსენოფობიის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლა“. აღნიშნულ კურსში ჩართულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებიც. კურსი დასრულდა აგვისტოში.

2020 წლის პირველ ნახევარში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების თემაზე ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი წარმატებით გაიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15-მა თანამშრომელმა.

2020 წლის 11-12 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს ჩაუტარდათ დისტანციური ტრენინგი ძალადობა და დისკრიმინაცია სოგი-ს საფუძველზე. კურსში მონაწილეობა მიიღო მოწმისა და დაზარალებულის სამსახურის 6-მა თანამშრომელმა. 2020 წლის 22-24 ივლისს, შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრაში ლგბტ-ქი+ ადამიანის უფლებების შესახებ.

2020 წლის 19 და 29 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 35 თანამშრომელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და გამოძიების სტანდარტების თემაზე ონლაინ ტრენინგები ჩაუტარეს.

2020 წელს, დისკრიმინაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორებისთვის, პროკურატურის გამომძიებლებისთვის, სტაჟიორ-პროკურორებისთვის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისა და მენეჯერებისთვის განხორციელდა 18 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჯამში 181 საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორისაა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თემაზე განხორციელებული 4 სპეციალიზაციის ტრენინგი, რომელშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 65-მა მსმენელმა (პროკურორი, გამომძიებელი, მენეჯერი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი). ამავე ტრენინგებში მოიაზრება საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის განხორციელებული ტრენინგები თემაზე - ძალადობა და დისკრიმინაცია სოგი-ს საფუძველზე. ერთობლივი ტრენინგები ხელს უწყობს სამართალდამცავი უწყებების კოორდინირებულ მუშაობასა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საქმიანობა 18.1.5.5.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის სპეციალური კურიკულუმის დანერგვა ;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პროკურორებისთვის, პროკურატურის გამომძიებლებისთვის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისა და მენეჯერებისთვის განხორციელდა 14 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჯამში 143 საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორისაა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თემაზე განხორციელებული 4 სპეციალიზაციის ტრენინგი, რომელშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 65-მა მსმენელმა (პროკურორი, გამომძიებელი, მენეჯერი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი). ამასთან, საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის განხორციელებული ტრენინგები თემაზე - ძალადობა და დისკრიმინაცია სოგი-ს საფუძველზე. ერთობლივი ტრენინგები ხელს უწყობს სამართალდამცავი უწყებების კოორდინირებულ მუშაობასა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ამოცანა 18.1.6.

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა

საქმიანობა 18.1.6.1.

დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლაში საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების, მომზადებული ანგარიშების, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული კამპანიებისა და შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ. ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდს დაემატა „ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბი, სადაც თემატურად განთავსდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ მომზადებული ანალიზები (ანგარიშები) 2014 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, მათ შორის შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის სხვადასხვა წლების სტატისტიკა (იხ. <http://pog.gov.ge/page/default/sheuwynareblobis-motiviT-chadenili-danashaulebi>). გარდა აღნიშნულისა, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულისთვის ბრალდებულთა და დაზარალებულთა შესახებ სეგრევირებული სტატისტიკის მიწოდება დაუყოვნებლივ ხდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის.

ამოცანა: 18.1.8.

კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია;

საქმიანობა 18.1.8.1.

დისკრიმინაციული ხასიათის ჩანაწერების აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო სისტემის გადახედვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2019 წელს შევიდა ცვლილებები კანონმდებლობაში (საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“; საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“; საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“; საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“). „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა კონკრეტული სფეროები და ურთიერთობები, სადაც დაუშვებელია დისკრიმინაცია. ასეთად განისაზღვრა დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური სერვისები და მომსახურებები. ცვლილებებით, კანონს დაემატა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების დეფინიციები. გარდა ამისა, 2020 წელს საქართველოს ორგანულ კანონში - საქართველოს შრომის კოდექსი, განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, დეტალურად გაიწერა შრომითი დისკრიმინაციის ცნება და მისი აკრძალვის ფარგლები, მათ შორის, დისკრიმინაციის დაუშვებლობა ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის კუთვნილების გამო.

ამოცანა 18.1.6.

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა

საქმიანობა 18.1.6.1.

დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება;

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლაში საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების, მომზადებული ანგარიშების, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული კამპანიებისა და შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ. ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდს დაემატა „ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბი, სადაც თემატურად განთავსდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ მომზადებული ანალიზები (ანგარიშები) 2014 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, მათ შორის შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის სხვადასხვა წლების სტატისტიკა (იხ. <http://pog.gov.ge/page/default/sheuwynareblobis-motiviT-chadenili-danashaulebi>). გარდა აღნიშნულისა, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულისთვის ბრალდებულთა და დაზარალებულთა შესახებ სეგრევირებული სტატისტიკის მიწოდება დაუყოვნებლივ ხდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის.

ამოცანა: 18.1.8.

კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია;

საქმიანობა 18.1.8.1.

დისკრიმინაციული ხასიათის ჩანაწერების აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო სისტემის გადახედვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2019 წელს შევიდა ცვლილებები კანონმდებლობაში (საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“; საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“; საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“; საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“). „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა კონკრეტული სფეროები და ურთიერთობები, სადაც დაუშვებელია დისკრიმინაცია. ასეთად განისაზღვრა დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური სერვისები და მომსახურებები. ცვლილებებით, კანონს დაემატა შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების დეფინიციები. გარდა ამისა, 2020 წელს საქართველოს ორგანულ კანონში - საქართველოს შრომის კოდექსი, განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, დეტალურად გაიწერა შრომითი დისკრიმინაციის ცნება და მისი აკრძალვის ფარგლები, მათ შორის, დისკრიმინაციის დაუშვებლობა ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის კუთვნილების გამო.

19. შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები

მიზანი: 19.1.

შებენიანი შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში სრული ჩართულობა

ამოცანა: 19.1.2. შშმ პირთა სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის გაუმჯობესება
ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირთა შეფასების ახალი ინსტრუმენტი შემუშავებულია; დანერგულია შეფასების ახალი ინსტრუმენტის დანერგვა; სატრენინგო მასალა მომზადებულია; პროფესიონალები შერჩეული და გადამზადებულია; მომზადებული საკანონმდებლო ბაზა; გაანალიზებულია რეფორმის შემდგომი რეკომენდაციები; გაზიარებულია შესაბამისი უწყებებთან სამუშაო ჯგუფის ფორმატში (შეხვედრების რაოდენობა), საჭიროებისამებრ მომზადებულია ცვლილებები

საქმიანობა 19.1.2.2.

შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების ახალი სისტემის ამოქმედება

პასუხისმგებელი უწყება: საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვისათვის საჭირო ინსტრუმენტების დანერგვის პროექტის[MP1] შედეგების შეფასება მოხდება შშმ პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნების მიმართულებით. ამასთანავე, დაგეგმილია პროექტის საბოლოო ანგარიშის მომზადება და დაინტერესებული მხარეებისათვის წარდგენა. მხოლოდ ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დაიწყება საკანონმდებლო ცვლილებების რეკომენდაციების, პილოტის winner-loser ანალიზის, პოლიტიკის დოკუმენტისა და ფინანსური ხარჯთაღრიცხვის ანალიზის დოკუმენტების მომზადება, რომელთა საფუძველზეც შემუშავებული იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა (ცვლილებათა პაკეტი) და 2021 წლის განმავლობაში წარედგინება საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს.

ამოცანა 19.1.3.

შშმ პირთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია შშმ პირების უფლება განათლებაზე შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის შესაბამისად; გადამზადებული მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რაოდენობა; ნაწილობრივ და სრულად ადაპტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; გაზრდილი პროფესიულ განათლებაში ჩართული სსსმ და შშმ პირების რაოდენობა; გაზრდილი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ და შშმ პირებს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურებით;

საქმიანობა 19.1.3.3.

შშმ პირებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

2020 წელს დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისახალისტანდარტები, რომლებიც ინკლუზიური განათლების პრინციპებს ეფუძნება. ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმი დაწესებულების გან მოითხოვს სტუდენტებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის შეთავაზებას და ხაზს უსვამს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის, საგანმანათლებლო რესურსებისა და დაწესებულების ფიზიკური ინფრასტრუქტურის ადაპტირების აუცილებლობას. ამასთან, დაწესებულების ინფრასტრუქტურისადმი (სახანძრო უსაფრთხოება, შენობის უსაფრთხოება, განათება, შშმპ საჭიროებებზე ადაპტირება და სხვ.) სამინისტროს ამოცანაა, რომ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები შესრულდეს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობისა თუ რეაბილიტაციის პროცესში და ამავდროულად, სასწავლო გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტისთვის.

საჯარო სკოლები:

ESIDA-ს მიერ 2020 წელს დასრულდა 10 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, მიმდინარეობს 3 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2021 წელს და იგეგმება კიდევ 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყება სადაც სრულად იქნება გათვალისწინებული ადაპტირებული გარემოს შექმნა.

განხორციელდა 8 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია სრული ადაპტირებული გარემოს გათვალისწინებით, 100-მდე საჯარო სკოლაში განხორციელდა ადაპტირებული სანიტარული კვანძების მოწყობა/რეაბილიტაცია.

პროფესიული სასწავლებლები:

ESIDA-ს მიერ 2020 წელს დასრულდა 2 პროფესიული კოლეჯის სრულად ადაპტირებული შენობების მშენებლობა, მიმდინარეობს და 2021 წელს დასრულდება 4 ასევე სრულად ადაპტირებული პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა.; ასევე მიმდინარეობს და 2021 წელს დასრულდება სსიპ კოლეჯი „ლაკადა“-ს საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

დასრულდა სსიპ-კოლეჯი „ახალი ტალღა“-ს რეაბილიტაცია და მიმდინარეობს სსიპ-კოლეჯი „იბერია“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქმიანობა 19.1.3.4.

პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმატის შემოღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს პირველად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ხანგრძლივობა გაიზარდა და სასურველ პროგრამაზე დარეგისტრირება შესაძლებელი იყო 20 მაისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით კოლეჯების დისტანციური მხარდაჭერით ან/და ონლაინ www.vet.emis.ge. COVID-19 პანდემიის საწინააღმდეგო რეკომენდაციების გათვალისწინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია 20 მაისს დაიწყო და 10 აგვისტომდე გაგრძელდა. 5 და 6 სექტემბერს საქართველოს ყველა რეგიონში 59 საგამოცდო ცენტრი იყო გახსნილი და ყველა მათგანი სრულად აკმაყოფილებდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს. ერთიან პროფესიულ ტესტირებამდე 1 დღით ადრე კი ყველა აპლიკანტს ჰქონდა შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად გაეწვლით საცდელი ტესტირება და გაცნობოდა ტესტირების ფორმატს. 2020 წლის საშემოდგომო მიღებაზე 14 400-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა. გამოცხადდა დარეგისტრირებულ აპლიკანტთა 8928 (62%) პროგრამებზე, რომლებზეც არ გამოცხადდა კონკურსი, აპლიკანტები ჩაირიცხებიან ეროვნული ტესტირების გარეშე, დაწესებულების შიდა შერჩევის გზით. დანარჩენები კი კოლეჯის/უნივერსიტეტის შიდა შერჩევებში მონაწილეობდნენ. შიდა შერჩევები იმ პროფესიულ პროგრამებზე განხორციელდა, სადაც რეგისტრანტთა რაოდენობა არ აღემატებოდა თავისუფალი ადგილების რაოდენობას.

საქმიანობა 19.1.3.5.

შშმ აბიტურიენტებისა და მაგისტრანტების კანდიდატებისათვის სპეციალურად მოწყობილი საგამოცდო სექტორით უზრუნველყოფა;
 პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

შშმ აბიტურიენტებისა და მაგისტრანტების კანდიდატებისათვის მოწყობილ იქნა სპეციალური საგამოცდო სექტორები მთელი საქართველოს მაშტაბით. ადაპტირებულ გარემოსთან ერთად, აღნიშნული პირებისთვის მოქმედებდა შესაბამისი საგამოცდო რეჟიმი რაც გულისხმობდა საჭიროების შემთხვევაში გაზრდილი საგამოცდო დროის დათმობას, დამხმარე პერსონალითა თუ სპეციალურ ტექნიკით უზრუნველყოფას.

საქმიანობა 19.1.3.6.

მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ პირებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამით სწავლის დაფინანსება უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, სოციალური პროგრამის ფარგლებში, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა 65 მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს (პირველ საფეხურზე - 53 სტუდენტი, დაფინანსებისთვის საჭირო თანხა შეადგენდა 111 600 ლარს, მეორე საფეხურზე - 12 სტუდენტი, დაფინანსებისთვის საჭირო თანხა შეადგენდა 27 000 ლარს).

ამოცანა: 19.1.4.

შშმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა

ინდიკატორი: შშმ პირთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული საინფორმაციო საშუალებების რაოდენობა; გადამზადებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულია; არჩევნებში მონაწილე შშმ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე

საქმიანობა 19.1.4.3.

საარჩევნო უბნების მოწყობა უსინათლო და მცირემხედველიანი, ყრუ და სმენდაქვეითებული, მხარდაჭერის მიმღები და ფიზიკური მობილობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის მათი პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ფიზიკური გარემოს ადაპტირების, საინფორმაციო კამპანიის ჩატარების და პერსონალის მომზადების გზით

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

პარტნიორი უწყება: სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი ფინანსთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

პარლამენტის არჩევნებისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს მასშტაბით 30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქში შემავალი 3,657 საარჩევნო უბნიდან, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისათვის მისაწვდომი იყო 1,134 საარჩევნო უბანი (მარტივი ადაპტაცია – 239, პანდუსი – 895). ამასთან, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის ცესკომ დაასურათა ადაპტირებული/ მისაწვდომი საარჩევნო უბნები და განათავსა ბანერში „საარჩევნო რუკა“. იხ. ბმული: <https://map.cec.gov.ge/>

პარლამენტისარჩევნებისთვის(იდაილტური)კენჭისყრისდღესშშმამომრჩევლებისთვის საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები: ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის – ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა; მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა; ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი; უსინათლო ამომრჩევლებისთვის ორი ცალი საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა (ყველა ტიპის არჩევნებში მონაწილეობისთვის).

პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, განისაზღვრა ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის დროებითი წესი. აღნიშნული ცვლილების შესახებ, ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, ცესკომ დაამზადა და გაავრცელა ვიდეორგოლი. სერვისით ისარგებლა და საარჩევნო უბნის ცვლილება მოითხოვა ეტლით მოსარგებლე 14-მა პირმა.

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები ოთხ ეტაპად. პირველი და მეორე ეტაპის ტრენინგების დროს, პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (სრული შემადგენლობა) სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაეცნენ საკანონმდებლო სიახლეს, რომელიც გულისხმობდა ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა შეყვანის საკითხს. ტრენინგის I ეტაპზე დამსწრეთა რაოდენობა იყო – 32 154, მათ შორის 24 986 (77.71%) ქალი და 7 168 (22.29%) კაცი. ტრენინგის II ეტაპზე დამსწრეთა რაოდენობა იყო – 9 569, მათ შორის 7 350 (76.8%) ქალი და 2 219 (23.2%) – კაცი.

ცესკომ, სწავლების ცენტრთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა ელექტრონული სასწავლო კურსი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“. კურსის მიზანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტის, ქცევის ნორმებისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის დანერგილი სერვისების შესახებ. სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 1916-მა პირმა, მათ შორის, ქალი - 504 (26.30%) და კაცი - 1412 (73.70%). იხ. ბმული <https://electiontraining.cec.ge/>

ამოცანა: 19.1.5.

შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დენსტიტუციონალიზაციის და თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების სტრატეგია შემუშავებულია და განვითარებულია თემზე დაფუძნებული მომსახურებები, მათ შორის ბავშვებისთვის;

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიასა და 3-წლიან სამოქმედო გეგმაში (2017-2019) გათვალისწინებულია შშმ პირთა ხელმისაწვდომობა ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და ასაკის შესაბამის განათლებაზე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე

საქმიანობა 19.1.5.2.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2008 წლიდან დაიწყო თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება. ამჟამად მოქმედებს 33 თემზე დაფუძნებული მობილური გუნდი, რაოდენობა ყოველ წელს იზრდება.

საქმიანობა 19.1.5.3.

ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

2008 წლიდან დაიწყო თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება. ამჟამად მოქმედებს 33 თემზე დაფუძნებული მობილური გუნდი, რაოდენობა ყოველ წელს იზრდება (2020 წელს დაემატა 2 გუნდი).

საქმიანობა 19.1.5.4.

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2019) - შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება და დამტკიცება

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

მომზადდა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 3-წლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2019) - შეფასების დოკუმენტი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით, დაიწყო მუშაობა 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაზე.

ამოცანა: 19.1.6.

შშპპირთადაბავშთარეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის ინდიკატორი: ზრდასრულებისთვის სარეაბილიტაციო საჭიროებები და სერვისის განვითარების შესაძლებლობები განსაზღვრულია; შშპ ბავშთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა გაზრდილია (სერვისებში ჩართული ბავშვების რაოდენობა 2017 წელთან მიმართებაში)

საქმიანობა 19.1.6.2.

ბავშთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

„ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვე-პროგრამის“ ფარგლებში ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა პროგრამის მომწოდებელთა მომსახურების გეოგრაფული არეალი: 2019 წლის მონაცემებით, მომსახურების მომწოდებლად ქვეყნის 9 მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული იყო 22 სარეაბილიტაციო ცენტრი, რომლებიც მომსახურებას უწევენ წელიწადში 1500-მდე ბენეფიციარს, ხოლო 2020 წელს აღნიშნული ცენტრების რაოდენობა გახდა 31 და მომსახურების განხორციელება დაიწყო ქვეყნის 14 მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ქვე-პროგრამის მომსახურებით

სარგებლობა არ არის შეზღუდული ტერიტორიული პრინციპით და ბენეფიციარი მომსახურების მომწოდებელს ირჩევს სურვილის შესაბამისად მისთვის ხელსაყრელი პირობებით.

ამოცანა: 19.1.7.

შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტრუქციონალიზაციის და შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის გეგმა შემუშავებულია; დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები შშმ პირების შეფასება; სათემო ორგანიზაციებში ჩარიცხული შშმ პირების რაოდენობა (დიდ ინსტიტუციაში ჩარიცხვის პრევენცია, დიდი ინსტიტუციებიდან გადაყვანა)

საქმიანობა 19.1.7.2.

თემზე დაფუძვნიებული მომსახურებების განვითარება შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის“-ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წლის 1 ივლისიდან ხორციელდება შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი. 2018 წელს აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში რეგისტრირებული იყო 5 მომსახურება თბილისსა და გურჯაანში. 2020 წელს დაემატა კიდევ ერთი მომსახურება. 2018 წელს შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის პროგრამული ლიმიტი შეადგენდა - 30 ბენეფიციარს, 2019 წ- 30, ხოლო 2020 წელს 58.

ამოცანა: 19.1.8.

შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზება და დასაქმების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ და „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამით“ მოსარგებლე შშმ პირთა რაოდენობა;

„დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის“ კომპონენტებში ჩართული შშმ პირთა რაოდენობა, მათ შორის: მხარდაჭერითი დასაქმების, პროფესიული კონსულტირების, სტაჟირების და სუბსიდირების მიმართულებით;

შესაბამისი კანონპროექტი მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში

საქმიანობა 19.1.8.1.

მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის გეოგრაფიული არეალის გაფართოება და ადამიანური რესურსის გაძლიერება - დასაქმების კონსულტანტების რაოდენობის ზრდა 9-დან 15 კონსულტანტამდე

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

მოსახლეობის, მათ შორის „რთულად დასაქმებადი“ ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო დამოუკიდებელი, მხოლოდ დასაქმებაზე და დასაქმების ხელშეწყობაზე ორიენტირებული უწყება. შესაბამისად, 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის მიზანია დასაქმების და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სააგენტოს ინსტიტუციონალიზაცია და ქვეყნის მასშტაბით ადამიანის უფლებებით უზრუნველყოფა. დღეის მდგომარეობით დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს ჰყავს 13 მხარდაჭერითი კონსულტანტი (მათ შორის, თბილისი -6, ქვემო ქართლი-1, კახეთი-1, იმერეთი-1, სამეგრელო ზემო სვანეთი-1, აჭარა -1, აჭარა -1, გურია- 1; 2021 წელს დაემატა შიდა ქართლი -1). 2020 წელს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა მხარდაჭერითი მომსახურება გაუწიეს 12 შშმ პირს (თბილისი-5, აჭარა-3, გურია-2, შიდა ქართლი-2). დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებულ იქნა 9 ვაკანსია. საშუაშალო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 9 შშმ პირი (თბილისი - 6, აჭარა -3).

საქმიანობა 19.1.8.2.

შპმ პირთა პროფესიულ ორიენტაციის სერვისზე, მომზადება-გადამზადების/სტაჟირების პროგრამებზე, დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა („დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ და „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის“ განხორციელება)

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2015წლიდან ხორციელდება „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამების მიზანია სამუშაო მაძიებელთა გააქტიურება შრომის ბაზარზე და მათი დასაქმების ხელშეწყობა. სახელმწიფო პროგრამებში უპირატესობის უფლებით სარგებლობენ მოწყვლადი ჯგუფები. 2020 წელს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა მხარდაჭერითი მომსახურება გაუწიეს 12 შპმ პირს (თბილისი-5, აჭარა-3, გურია-2, შიდა ქართლი-2). დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შპმ პირთათვის მოძიებულ იქნა 9 ვაკანსია. საშუაშაველო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 9 შპმ პირი (თბილისი - 6, აჭარა -3).

საქმიანობა 19.1.8.3.

შპმ პირთა შრომის უფლების რეალიზების მიზნით, შესაბამისი კანონპროექტის მომზადება და ინიცირება საქართველოს პარლამენტში, რაც გაითვალისწინებს შპმ პირთა დასაქმებისათვის შესაბამის პოზიტიურ, წამახალისებელ მექანიზმებს

პასუხისმგებელი უწყება: საქ.ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქ.მთავრობა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონით სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზებას, ასევე, უზრუნველყოფს მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების დაცულობას. ეს კანონი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს.

ამოცანა: 19.1.9.

ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციაზე და ტექნოლოგიებზე შშმ პირთა მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ფიზიკური გარემოს ადაპტირების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლებს გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება; შშმ პირებისათვის მომსახურება უზრუნველყოფილია; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანების შესაბამისად; ძირითად სარკინიგზო სადგურებზე გაუმჯობესებულია შშმ პირებისათვის სარკინიგზო გადაყვანის მომსახურების მიწოდება; უსინათლო და მცირედმხედველთა პირებისთვის მოწყობილია ინტერნეტ სერვის ცენტრი (Information Access Center – IAC), რომელიც აღჭურვილია ტექნიკური დანადგარებით, მათ შორის უსინათლოთა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ბრაილის შრიფტის მქონე კლავიატურებით და სხვა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით; საქართველოს მთავრობის ყველა სამინისტროს ვებ-გვერდი ადაპტირებულია ყრუ და სმენადაქვევითებული პირებისთვის;

საქმიანობა 19.1.9.2.

შშმ პირთა უფლებების შესახებ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლების ინფორმირებულობის გაზრდა შესაბამისი ტრენინგების ორგანიზების გზით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საკვალიფიკაციო ცენტრში, IRU-ს აკრედიტაციის პირობებით, 2017 წლიდან პერმანენტულად მიმდინარეობს CPC მძღოლის/მენეჯერის სწავლება, რომელიც გულისხმობს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკაციის/დიპლომის გაცემას საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში დასაქმებულ მძღოლებზე/მენეჯერებზე.

2020 წლის მდგომარეობით მომზადებულია ასეთი 1204 მძღოლი და 237 მენეჯერი.

სწავლების აღნიშნული კურსის ფარგლებში, მძღოლები გარკვეული მოცულობის ინფორმაციას ეცნობიან აგრეთვე შშმ პირთა უფლებების შესახებ.

საქმიანობა 19.1.9.3.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ შესაბამისად აეროპორტის ოპერატორების გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, შშმ პირებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობების შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ყოველწლიურად (ნელინადში ორჯერ) ახორციელებს საქართველოში მდებარე აეროპორტების მონიტორინგს (ინსპექტირებას). სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ საფუძველზე, რათა საქართველოს აეროპორტებში სრულად იქნეს დაცული შშმ პირების უფლებები. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება, როგორც აეროპორტების სამგზავრო ტერმინალის აღჭურვილობა, შშმ პირების მიღების ადგილების მონიშვნა, შშმ სავარძლების, სპეც. ავტოტრანსპორტის მდგომარეობა, პერსონალის მომზადება შშმ პირების მომსახურებისათვის და სამგზავრო ტერმინალის ადაპტირება შშმ პირებზე. აღსანიშნავია, რომ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით 2020 წლის დასაწყისში ასეთი შემოწმება ჩაატარა ქ. ქუთაისის აეროპორტში. Covid-19 პანდემიით გამოწვეული სამგზავრო შეზღუდვების და აეროპორტების უფუნქციობის პირობებში შემოწმება არ განხორციელებულა, თუმცა ჩვეულ რეჟიმში აეროპორტების მიერ მგზავრთა მიღების განახლების პარალელურად, განახლდა ინსპექტირებების პროცესი და შესაბამისად, სააგენტოს მიერ გეგმიური ინსპექტირებების ფარგლებში გრძელდება აეროპორტებში შშმ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შემოწმება.

საქმიანობა: 19.1.9.4.

ძირითად სარკინიგზო სადგურებზე, ბაქნებზე, სამგზავრო მატარებლებში და სხვა მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს „საქართველოს რკინიგზა“;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1-1/586 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულების“ მე-2 თავისა და მე-6 თავის მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „საქართველოს რკინიგზას“ დაეკისრა ვალდებულება, 2017 წლის დეკემბრიდან, ახალი მოძრავი შემადგენლობის შექმნისას ან/და ახალი სარკინიგზო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გაითვალისწინოს შშმ პირთა საჭიროებები და უზრუნველყოს მგზავრთა მომსახურებისათვის განკუთვნილი სამგზავრო ვაგონების, რკინიგზის ვაგზლების, სხვა ნაგებობებისა და მონყობილობების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 29 დეკემბრიდან, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განსახორციელებელი/განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური დავალება ითვალისწინებს შშმ პირთა საჭიროებებზე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას.

2020 წლის აგვისტოში დაინერგა შშმ პირთათვის სამგზავრო დოკუმენტების ელექტრონულად შესყიდვის პლატფორმა ვებგვერდ TKT.ge-ს საშუალებით. კერძოდ, მატარებელში (შტადლერში) არის შშმ პირებისთვის (ეტლით მოსარგებლებისათვის) განკუთვნილი ადგილები - თითო მატარებელში ასეთი ოთხი ადგილია.

საქმიანობა 19.1.9.5.

საქართველოში ინტერნეტ სერვის ცენტრის უსინათლო და მცირემხედველთა პირებისთვის (Information Access Center – IAC) ფუნქციონირების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;

პარტნიორი უწყება: ქალაქ თბილისის მერია; ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აღნიშნული აქტივობა სრულად განხორციელდა 2018 წელს. 2020 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ თხოვნით მიმართა კორეის რესპუბლიკის საინფორმაციო საზოგადოების ეროვნული სააგენტოს (NIA) 2016 წელს შექმნილი საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრის (IAC) პროექტის გაგრძელების შესახებ. საკითხი ასევე გაუღერდა საქართველო კორეის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის პირველ სხდომაზე. პროექტის გაგრძელების საკითხი დადებითად გადაწყდა. ამასთან საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრმა, 48 ქვეყნის მსგავსი ცენტრებს შორის 2020 წელს გამართულ კონკურში პირველი ადგილი დაიკავა.

საქმიანობა 19.1.9.6.:

საქართველოს მთავრობის ყველა სამინისტროს ვებ-გვერდის ადაპტირება ყრუ და სმენადაქვევითებული პირებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ყველა სამინისტრო

შესრულების სტატუსი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: მიმდინარე-ნაწილობრივ შესრულდა.

შშმ პირებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდი ადაპტირებული გახდა. უსინათლო და მცირემხედველი პირები ადაპტირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მიიღებენ ინფორმაციას სამინისტროში არსებული სიახლეებისა და სერვისების შესახებ.

20. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

მიზანი: 20.1.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა;

ამოცანა: 20.1.1. შემოწმების მობილური ჯგუფების ეფექტიანი საქმიანობა;

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიულად გამოვლენილია;

საქმიანობა: 20.1.1.2.

რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი. საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, სადაც ცალკე თავი დაეთმო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას და აღნიშნული მიზნით პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, მათ შორის 2020 წლის სტატისტიკურ მონაცემებს. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>;

საქმიანობა 20.1.1.3.

ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების გადამზადება და სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის მონაცემებით, ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის თემაზე განხორციელდა 12 სასწავლო აქტივობა, მათ შორის 1 სასწავლო ვიზიტი ბუდაპეშტში, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 99-მა მსმენელმა (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი). სწავლების ფარგლებში დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ადამიანთა ტრეფიკინგი და ბავშვთა ექსპლუატაცია, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია, კრიპტოვალუტის გამოყენება არასრულწლოვანთა პორნოგრაფიისა და ტრეფიკინგის დანაშაულის დროს და ა.შ. მათ შორის, IOM-თან თანამშრომლობით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ჩატარდა ადამიანთა ვაჭრობა/ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის საორიენტაციო ტრენინგი. სწავლებაში მონაწილეობას იღებდა 14 მსმენელი. სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები, ასევე, შსს და პროკურატურის მოწმის და დაზარალებული კოორდინატორები.

ასევე, პროკურორების ჩართულობით განხორციელდა ტრენინგი თემაზე: „ტრეფიკინგის მსხვერპლი სისხლის სამართლოს პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა 10 პროკურორი.

ამოცანა: 20.1.2.

შემომწმების მობილური ჯგუფების ეფექტიანი საქმიანობა;

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემომწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიულად გამოვლენილია;

საქმიანობა 20.1.2.1.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემომწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიული გამოვლენა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს მობილური ჯგუფების მიერ განხორციელდა 70 რისკის შემცველი ადგილისა და რისკ ჯგუფს მიკუთვნებული 239 პირის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

ამოცანა: 20.1.3.

სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) ეფექტიანი საქმიანობა;
ამოცანის ინდიკატორი: სპეციალისტების ჯგუფის წევრების მონაწილეობით განხორციელებული პოლიციური კონტროლის და შემოწმებული დაწესებულებების/ ადგილებისა და გამოკითხულ პირთა რაოდენობა; გამოვლენილი სავარაუდო ტრეფიკინგის ფაქტების რაოდენობა;

საქმიანობა 20.1.3.1.

სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) წევრების მონაწილეობა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელებისას;
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის განმავლობაში შსს აჭარის არ პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების სპეციალისტთა ჯგუფის (Task Force) მიერ შემოწმებული იქნა ქუჩაში მომუშავე რისკის შემცველი 15 ჯგუფი და განხორციელდა რისკჯგუფს მიკუთვნიებული 88 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით, რის საფუძველზეც დაწყებული იქნა გამოძიება 2 სისხლის სამართლის საქმეზე.

ამოცანა: 20.1.4.

ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ სამართალდამცავთა რაოდენობა; ჩატარებული ტრენინგების თემატიკა;

საქმიანობა 20.1.4.1.

სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი ტრენინგების გზით;
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM), ინტერპოლისა და საერთაშორისო სამართალდამცავი აკადემიასთან (ILEA) თანამშრომლობით ტრეფიკინგთან ბრძოლის, ბავშვთა ტრეფიკინგის, ტრეფიკინგის გამოძიების და ტრეფიკინგის მსხვერპლთა/ დაზარალებულთა ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით ჩატარებულ

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს შსს გამომძიებლებმა. 2020 წელს ადამიანებით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) და გამომძიების საკითხებზე გადამზადდა შს სამინისტროს 33 გამომძიებელი. სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტრეფიკინგის თემატიკა ისწავლება, როგორც გადამზადების, ისე საბაზისო მომზადების პროგრამებში და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ტრეფიკინგის განმარტება;
- ტრეფიკინგის პრობლემები საქართველოში;
- ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები;
- ტრეფიკინგში მსხვერპლის ჩათრევის გზები;
- ექსპლუატაციის ნიშნები;
- საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის პრევენცია;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმები.

2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტრეფიკინგის თემაზე სულ მომზადდა/ გადამზადდა 200-მდე თანამშრომელი.

მიზანი: 20.2.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლა/პრევენცია;

ამოცანა: 20.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცხელ ხაზზე შემოსული ზარების გაზრდილი რაოდენობა; საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები განხორციელებულია;

საქმიანობა 20.2.1.1.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების, ამ დანაშაულთან ბრძოლისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის რეგიონებში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

პარტნიორი უწყება: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელი: 8 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ორგანიზებით ალგეთში, ავღანეთში ნატო-ს ახალ მისიაში (მტკიცე მხარდაჭერის მისია - Resolute Support Mission) მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობასთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგის თემაზე. სამხედროებს მიენოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკაზე, საკანონმდებლო რეგულაციებზე, ტრეფიკინგისგან დაცვის ხერხებზე და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე/სააგენტოს სერვისებზე. დამსწრეთა ოდენობა - 100 პირი.

14 დეკემბერს გაიმართა ტრენინგი - ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები. ონლაინ აპლიკაცია zoom-ის მეშვეობით. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ, იუსტიციის და შსს-თან ერთად მიიღო მონაწილეობა. მონაწილეთა დაახლოებითი რაოდენობა 36. მონაწილეებს მიენოდათ ინფორმაცია - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს საქმიანობის შესახებ - ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების, დაცვისა და დახმარების მიმართულებით.

2020 წელს ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) პრევენციისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, განეხორციელებინათ ფართო მასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და პირისპირი შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით. მიუხედავად ამისა, 2020 წლის 19 დეკემბერს იუსტიციის სამინისტრომ ტრეფიკინგის თემაზე online შეხვედრა გამართა სტუდენტებთან (15 მონაწილე).

იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) თანაორგანიზებითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით სტუდენტებისთვის გამოცხადდა „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“. პროექტში დარეგისტრირებულ 25 გუნდს (76 მონაწილე) ჩაუტარდა ონლაინ ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე. იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები გაიმართა 2020 წლის 29- 31 ივლისს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, გორის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ჯამში 21 მონაწილე).

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან (18 ოქტომბერი) დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით განხორციელდა საინფორმაციო კამპანია ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვების, როგორც ტრეფიკინგისთვის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის თემაზე სახელწოდებით „საფრთხე ერთი შეხედვით უხილავია.“ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა და სოციალური ქსელებისა და ტელევიზიების მეშვეობით გავრცელდა ვიდეო კლიპი, საინფორმაციო ბანერები განთავსდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის იუსტიციის სახელებში, ასევე, თბილისისა და ბათუმში არსებულ ავტობუსის გაჩერებებზე.

მიზანი: 20.3.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანა 20.3.1. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სერვისების გაუმჯობესება, შესაძლებლობების განვითარება და რეაბლიტაცია

ამოცანის ინდიკატორი: ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე პერსონალს გავლილი აქვთ შესაბამის ტრენინგები

საქმიანობა 20.3.1.7.

ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სოციალურ მუშაკთა პროფესიული ზედამხედველობის კონცეფცია, რომლის ამოცანას წარმოადგენს სოციალურ მუშაკთა კომპეტენციების განვითარება, პროფესიული ქცევისა და ეთიკური პრაქტიკის ხელშეწყობა.

სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი) სოციალური მუშაკების პროფესიულ ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველო.

21. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

მიზანი: 21.1.

დევილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, სამართლებრივი, კულტურულ-ეკონომიკური გაძლიერება და ინტეგრაცია;

ამოცანა: 21.1.1. დევილთა სოციალური დახმარებისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: სოციალურ პროგრამებში ჩართულ დევილთა რაოდენობა;

საქმიანობა 21.1.1.1.

ყველა დევილის სოციალურ პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს ყოველთვიურად ხორციელდებოდა ინფორმაციის გამოთხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან. დეკემბრის თვის მონაცემებით სოციალური დახმარების მიმღებთა ბაზაში ფიქსირდებოდა 44 595 დევილი პირი.

ამოცანა: 21.1.2.

დევნილთა საარსებო წყაროებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: მხარდაჭერილია, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული, საჭიროების მქონე ყველა დევნილი, მათ შორის 40% ქალი;

დაფინანსებულია, სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წინასწარ განსაზღვრული პროფესიების 50-მდე კურსდამთავრებული დევნილი, მათ შორის 40% ქალი;

საქმიანობა 21.1.2.1.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილებისთვის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს, „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფილი იქნა 207 დევნილი და ეკომიგრანტი, მათ შორის 103 (49,76%) ქალია.

ამოცანა: 21.1.3.

დევილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: 2018 წელს - 2424 დევნილი ოჯახი იქნა უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებელით; 2018 წელს - 100 დევნილმა ოჯახმა, რომელმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე იპოთეკური სესხით შეიძინა საცხოვრებელი ბინები და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი, მიიღო ფინანსური დახმარება; 2018 წელს - დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (ყოველწლიურად მინიმუმ 150 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების თანადაფინანსება; 2000 დევნილმა ოჯახმა (ყოველწლიურად) მიიღო საცხოვრებელი ფართების დაქირავებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება; 2019-2020 წლების ინდიკატორები დაზუსტდეს 2018 წლის ბოლოს;

საქმიანობა 21.1.3.1.

ახალი საცხოვრებელი კორპუსების (კომპლექსების) მშენებლობა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში და დევნილი ოჯახებისთვის საკუთრებაში გადაცემა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს პროექტის ფარგლებში ახალაშენებულ კორპუსებში შესყიდული იქნა და დევნილი ოჯახებისთვის გადაცემულ იქნა 595 ბინა.

საქმიანობა 21.1.3.2.

დევნილი ოჯახებისათვის სახლებისა და ბინების შესყიდვა და საკუთრებაში გადაცემა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

შესყიდული იქნა 1100 სახლი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 1 773 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა 1627 ოჯახს.

საქმიანობა 21.1.3.4.

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემულ მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება მუნიციპალიტეტებთან ერთად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს დაფინანსდა 41 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

საქმიანობა 21.1.3.5.

იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობების შესახებ ინფორმაციის რეგულარული განახლება და აღნიშნული ობიექტების დახურვა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს დაიხურა 96 ნგრევადი ობიექტი, განსახლდა მათში მცხოვრები 600-მდე დევნილი ოჯახი.

საქმიანობა 21.1.3.6.

საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებების განწვევა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

ქირით უზრუნველყოფის მიზნით, ფულადი დახმარება გაენია 1462 ოჯახს.

ამოცანა: 21.1.4.

დევენილთა ჩართულობა და ინფორმირება მათთვის განკუთვნილი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მათ შორის საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: დევნილებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან, მედიის წამომადგენლებთან და დევნილთა ჯგუფებთან გამართული შეხვედრების თანაფარდობა მიღებულ გადაწყვეტილებების რაოდენობასთან გაიმართა მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრა; გავრცელდა 6000-მდე ბეჭდური მასალა; ინფორმირებულთა მინიმუმ 40% ქალია; საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაიმართა საარსებო წყაროების მინიმუმ 3 ფორუმი; გაიგზავნა 3,000,000-მდე მოკლე ტექსტური შეტყობინება საარსებო წყაროების სხვადასხვა პროგრამასთან დაკავშირებით; სამინისტროს თითოეულ ტერიტორიულ ორგანოს გადაეცა 2000 ცალი საინფორმაციო ბეჭდური მასალა საარსებო წყაროების პროგრამებზე;

საქმიანობა 21.1.4.1.

არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და მედიასაშუალებებისა და დევნილების ინფორმირება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები დევნილებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

მიუხედავად კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული შეფერხებებისა და ხელისშემშლელი ფაქტორებისა, 2020 წელს 4 შეხვედრა გაიმართა, სამინისტროს, სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, რომელზეც განხილული იქნა სხვადასხვა სახის ინიციატივები.

საქმიანობა 21.1.4.2.

სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დევნილთა ჩართულობა, მათი პოზიციისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

სამოქმედო გეგმა მომზადდა დევნილ ბენეფიციარებთან კომუნიკაციისა და მათ მიერ მიღებული უკუკავშირის/ინფორმაციის/საჭიროებების შედეგად.

საქმიანობა 21.1.4.3.

დევნილთა ჯგუფებთან წარმომადგენლობითი შეფასებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. სტრატეგიის განხორციელების განხილვა და წინადადებების მომზადება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს სააგენტოს წარმომადგენლებსა და დევნილებს შორის გაიმართა 300-ზე მეტი შეხვედრა, როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში.

საქმიანობა 21.1.4.4.

სააგენტოს თანამშრომლების მიერ, სავლე ვიზიტების ფარგლებში, დევნილთა დასახლებებში საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს სააგენტოს თანამშრომლების მიერ, სავლე ვიზიტების ფარგლებში, დევნილთა და ეკომიგრანტთა დასახლებებში საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ გამართა 43 საინფორმაციო შეხვედრა შემდეგ ქალაქებსა და სოფლებში: ზუგდიდი, კახათი, ჭვარი, ფახულანი, ჭალე, ზედა ენერი, რუხი, ფოთი, წყალტუბო, ხობი,

თერჯოლა, ტყიბული, ჩაქვი, ბადდათი, ბათუმი, ქუთაისი, ვანი, ხონი, სამტრედია, სენაკი, გარდაბანი, რუსთავი, ბოლნისი, შაუმიანი, კოდა, წინამძღვრიაანთკარი, წეროვანი, ახალსოფელი, ქარელი, შავშვები, ხურვალეთი, ბერბუკი, გორი.

საქმიანობა 21.1.4.8.

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების უზრუნველყოფა ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს სააგენტოს მისაღები ცენტრის თანამშრომლები და სააგენტოს რეგიონალური სამმართველოების თანამშრომლები უზრუნველყოფილი იქნენ 2000 ცალი ბროშურით საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ, ბროშურები განთავსდა საინფორმაციო დაფებზე და ასევე გადაეცათ სააგენტოს თანამშრომლებს საინფორმაციო შეხვედრების დროს გასავრცელებლად.

ამოცანა: 21.1.5.

დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ პროგრამებსა და აქტივობებში;

ამოცანის ინდიკატორი: დევნილთათვის ხელმისაწვდომია სკოლისგარეშე და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები. უზრუნველყოფილია დევნილთა ჩართულობა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში;

საქმიანობა 21.1.5.1.

დევნილთა დასახლებებში სკოლისგარეშე სახელოვნებო და სპორტული სასწავლებლების ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წელს ჩატარდა კონკურსი „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე-დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა სახელოვნებო განათლების

ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში არსებულ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისთვის; დევნილი ბავშვებისა და მოზარდების ინტერესთა შესაბამისად, სხვადასხვა სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა; სხვადასხვა არაფორმალურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებში დევნილი ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის გზით, მათი შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

საქმიანობა: 21.1.5.3.

კულტურულ და სპორტულ აქტივობებში დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ განხორციელდა.

2020 წელს სამინისტროს ხელშეწყობით სსიპ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მიერ განხორციელდა პროექტი „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომელიც მიზნად ისახავს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების გზით, გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ - საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობას, ახალგაზრდების ინფორმირებულობასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტის ფარგლებში, ქვეყანაში დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით, მათ შორის დისტანციური რეჟიმით, გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და სოფლებში-დავითიანი, რუხი, კოკი, განმუხური; გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - დიცი, მერეთი, მეჭვრისხევი). გაიმართა შეხვედრები, (სალექციო კურსი) მწერლებთან, მეცნიერებთან, ხელოვანებთან.

რაც შეეხება სპორტულ აქტივობებს, შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, წარმოდგენილ რეგიონში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება შეფერხდა და გადაიდო 2021 წლისათვის.

მიზანი: 21.2.

საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით;

ამოცანა: 21.2.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის საგნობრივი განხილვა;

ამოცანის ინდიკატორი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიმდინარეობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის განხილვა;

საქმიანობა 21.2.1.1.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობის დაყენება და საკითხის საგნობრივი განხილვის მიზნით ძალისხმევის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

ქართულმა დელეგაციამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის განხილვის აუცილებლობა დააყენა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 51 რაუნდის დროს (კორონავირუსის პანდემიისა და რუსეთის დესტრუქციული ქმედებების გამო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ 10-11 დეკემბერს, მოხერხდა მოლაპარაკებების რაუნდის გამართვა).

ასევე, მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და მათ ორგანიზაციებთან, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მოლაპარაკებების მონაწილესთან, კონკრეტული გზების გამონახვის მიზნით, რათა მოხერხებულიყო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საკითხზე საგნობრივი მსჯელობა. თანათავმჯდომარეები და თანამოდერატორები ისევე, როგორც აშშ-ის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ ამ საკითხზე შედეგის მიღწევის მნიშვნელობას. თუმცა რუსეთის ფედერაციისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა კვლავ სცადეს აღნიშნული ჰუმანიტარული თემის პოლიტიზირება და მოლაპარაკებების 51 რაუნდი დატოვეს დღის წესრიგის აღნიშნული საკითხის განხილვისას.

ამოცანა: 21.2.2.

საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხის დასმა/შენარჩუნება;

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკითხი დგას საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში; გაეროს გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციას „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“;

საქმიანობა 21.2.2.1.

პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხის რეგულარულად დაყენება და ძალისხმევის გაგრძელება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში და სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ყველა ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის გამოყენება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში გააქტიურების მიზნით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმატებით აგრძელებდა მუშაობას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საქართველოს დევნილი მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხის წამოსაწევად, იქნებოდა ეს გაერო (როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს ღია დებატები, გენერალური ასამბლეისა და მისი ძირითადი კომიტეტების სხდომები, ისე ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიები), ეუთო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი თუ სხვ. მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში და სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია:

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია - თანამშრომლობა საქართველოსთან (23 ივნისი);

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში - საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (17 აგვისტო);

გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (3 ივნისი);

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (3 სექტემბერი);

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები - „კონფლიქტი საქართველოში“ (3 აპრილი; 17 ნოემბერი);

ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება - ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში (21 ოქტომბერი);

ეუთო-ს საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივი განცხადებები (3 სექტემბერი; 4 დეკემბერი);

აშშ-ს 2019 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში (11 მარტი);

დიდი ბრიტანეთი ადამიანის უფლებების და დემოკრატიის შესახებ 2019 წლის ანგარიში (16 ივლისი);

გაერთიანებულ სამეფოს და საქართველოს შორის უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მეშვიდე რაუნდის ერთობლივი კომუნიკე (9 სექტემბერი).

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-13 შეხვედრის პრეს რელიზი (2 ივლისი 2020);

საქმიანობა 21.2.2.2.

გაეროს გენერალური ასამბლეაზე საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუციის „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მიღება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

იხილეთ 2019 წლის შესრულების ანგარიში

22. მიგრანტთა და ლტოლვილთა უფლებები

მიზანი: 22.1.

იმიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 22.1.1. იმიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ინტეგრაციის ხარისხის მაჩვენებელი (ექსპერტთა დასკვნები, შეფასების დოკუმენტი);

საქმიანობა 22.1.1.3.

ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები; შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში შეიქმნა რეინტეგრაციისა და ინტეგრაციის სამსახური, რომლის ფუნქციებში შევიდა რეინტეგრაციისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება და ინტეგრაციის ცენტრის მართვა.

მიზანი: 22.2.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

საქმიანობა 22.1.1.4.

იმიგრანტთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინფორმირება მათი უფლებებისა და ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა

აღნიშნული საქმიანობის განხორციელება ვერ მოხერხდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო.

საქმიანობა 22.1.1.5.

მიმღები საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა

აღნიშნული საქმიანობის განხორციელება ვერ მოხერხდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო.

საქმიანობა 22.2.1.2.

არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შემდეგ აღნიშნული სერვისის სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამებში გათვალისწინება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2019 წელს დამტკიცდა და ამოქმედდა არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების თაობაზე მთავრობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქტები. 2020 წლის მდგომარეობით, პროფესიული განათლების სივრცეში ორ საგანმანათლებლო დაწესებულებას მოჰპოვებული აქვს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება 2 მიმართულებით (სილამაზის მომსახურება და მსუბუქი ავტომობილის შეკეთება), აღიარების პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, რადგან შექმნილმა ეპიდსიტუაციამ შეაფერხა ამ მიმართულებით პროცესები. ასევე, 2020 წლის მდგომარეობით პროფესიული განათლების სისტემას ჰყავს არაფორმალური განათლების აღიარების 9 სერტიფიცირებული კონსულტანტი. შექმნილია კონსულტანტთა რეესტრი, რომელშიც ასახულია ყველა სერტიფიცირებული კონსულტანტის მონაცემები. არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე, შემდეგ ბმულზე: <https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatlebis-aghiareba>.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, 2019 წლიდან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების, პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების საშუალებას იძლევა. ამდენად დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ აღნიშნული სერვისით, რაც გულისხმობს, მსურველი პირისთვის ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებას.

ამოცანა: 22.2.2.

სარეინტეგრაციო პროგრამის გაფართოება და დახვეწა;

ამოცანის ინდიკატორი: შეფასების დოკუმენტი;

საქმიანობა 22.2.2.1.

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: მსსკ-ს ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი უწყებები;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

23. ეკო-მიგრანტთა უფლებები

მიზანი: 23.1.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) სამართლებრივი და სოციალური დაცვა და ინტეგრაცია;

ამოცანა: 23.1.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლებით უზრუნველყოფა, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: ყოველწლიურად 120 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფა;

უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემულია 600-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის;

საქმიანობა 23.1.1.1.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისთვის (ეკომიგრანტებისთვის) საცხოვრებელი ფართების გადაცემა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო; სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს საცხოვრებელი ფართი გადაეცა 210 ეკომიგრანტ ოჯახს.

საქმიანობა 23.1.1.3.

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განსახლების ადგილებში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საინტეგრაციო პროგრამების შემუშავება, განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ დაწყებულა.

საქმიანობის შესრულება 2020 წელს არ განხორციელებულა.

24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა

მიზანი: 24.1.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

ამოცანა: 24.1.1. საერთაშორისო თანამეგობრობის რეგულარული ინფორმირება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო თანამეგობრობა ინფორმირებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შესახებ;

საქმიანობა 24.1.1.1.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სხვადასხვა მასალების მომზადება და ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საერთაშორისო თანამეგობრობას (სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებს და თბილისში აკრედიტებულ საელჩოებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს), ინფორმირებისა და მათი მხრიდან სათანადო გამოხმაურების უზრუნველყოფის მიზნით, რეგულარულად მიეწოდებოდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალა

(Non-paper, one-pager, პრეზენტაციები, ინფოგრაფები, დაიჯესტები) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილ მძიმე ვითარებასა და ეთნიკურ დისკრიმინაციაზე. წლის განმავლობაში განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაზე, გადაადგილების თავისუფლების უხეშ დარღვევებზე, უკანონო დაკავებებსა და გატაცებებზე, ეთნიკური ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციაზე, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვაზე, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლში დაბრუნების უფლებაზე, საოკუპაციო ხაზის სრული ჩაკეტვის გამო გალსა და ახალგორში შექმნილ განსაკუთრებულად მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე.

ამოცანა: 24.1.2.

პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით კონსოლიდაცია, რათა საერთაშორისო დღის წესრიგში მუდმივად იდგეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და გამყოფი ხაზის სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და ადგილზე არსებული ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა;

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში, სხვ.);

საქმიანობა 24.1.2.1.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული დაყენება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში და ძალისხმევის მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში, სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს მთავრობა აქტიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ მექანიზმს, რათა მოეხდინა საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება, აფხაზეთისა და ცხინვალის

რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. შედეგად, რეგულარულად ხდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხის დასმა პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის ფორმატებში.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შექმნილი უმძიმესი ჰუმანიტარული მდგომარეობა ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო სტრატეგიული დიალოგის ფორმატებში, როგორცაა: აშშ - სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხალხთა შორის ურთიერთობისა და კულტურული გაცვლის სამუშაო ჯგუფი, საფრანგეთი და გერმანია - სამმხრივი პოლიტიკური დიალოგი, დიდი ბრიტანეთი - უორდროპის სტრატეგიული დიალოგი; ასევე ევროკავშირისა და საქართველოს შორის მიმდინარე დიალოგის ფორმატებში, როგორცაა: საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა საკითხებზე დიალოგი, ასოცირების კომიტეტის შეხვედრა, ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტი.

საგარეო უწყების ძალისხმევითა და პარტნიორების მხარდაჭერით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი მრავალგზის იქნა განხილული ისეთ საერთაშორისო ტრიბუნებზე, როგორცაა: გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა საბჭო; ეუთოს მინისტრიალი, მუდმივი საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა; ევროპის საბჭოს მინისტრიალი, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი, საპარლამენტო ასამბლეა; ევროკავშირისა და ნატოს სხვადასხვა ფორმატის სხდომები/შეხვედრები; ასევე, რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო ალიანსის (ონლაინ) მინისტრიალები და კონფერენციები. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში განეული საქმიანობის შედეგად, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა და საქართველოს მხარდაჭერი ფორმულირებები აისახა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების ოფიციალურ დოკუმენტებში (დეკლარაციები, რეზოლუციები, ანგარიშები, განცხადებები და სხვ.), მათ შორის, აღსანიშნავია:

- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია - თანამშრომლობა საქართველოსთან (23 ივნისი);
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში - საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (17 აგვისტო);
- გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (3 ივნისი);
- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (3 სექტემბერი);
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები - „კონფლიქტი საქართველოში“ (3 აპრილი; 17 ნოემბერი);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება - ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში (21 ოქტომბერი);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები;

- ეუთოს ყოველწლიური ანგარიში (24 მარტი);
- ეუთო-ს საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივი განცხადებები (22 მარტი, 3 სექტემბერი; 4 დეკემბერი);
- ეუთოს ე.წ. ხუთეულის (ორგანიზაციის ყოფილი, მოქმედი და მომდევნო სამი წლის თავმჯდომარე ქვეყნები) განცხადება (4 დეკემბერი);
- ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-13 შეხვედრის პრეს რელიზი (3 ივლისი);
- აშშ-ს 2019 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში (11 მარტი);
- აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ხალხთაშორისი სამუშაო ჯგუფის ერთობლივი განცხადება (13 მარტი);
- დიდი ბრიტანეთი ადამიანის უფლებების და დემოკრატიის შესახებ 2019 წლის ანგარიში (16 ივლისი);
- გაერთიანებულ სამეფოს და საქართველოს შორის უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მეშვიდე რაუნდის ერთობლივი კომუნიკე (9 სექტემბერი).
- ევროკავშირის 2019 წლის ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ (15 ივნისი 2020)

გარდა ამისა, კოვიდპანდემიის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გაკეთდა მრავალი განცხადება, რომლებიც ეხმიანებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის, ფართო საერთაშორისო გამომხაურება იქნა უზრუნველყოფილი დე-ფაქტო ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე; ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე; უკანონო ბორდერიზაციის პროცესებზე; ადგილზე შექმნილ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე; 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის 12 წლისთავის აღსანიშნავად.

ამოცანა: 24.1.3.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში შედეგზე ორიენტირებული დისკუსიების წარმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული პრობლემების გადასაწყვეტად;

ამოცანის ინდიკატორი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიმდინარეობს საგნობრივი დისკუსიები ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ საკითხებზე;

საქმიანობა 24.1.3.1.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დასმა და ძალისხმევის განევა არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დასასახად;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა

ქართულმა დელეგაციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხები მწვავედ დააყენა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 51-ე რაუნდზე (კორონავირუსის პანდემიისა და რუსეთის დესტრუქციული ქმედებების გამო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ 10-11 დეკემბერს, მოხერხდა მოლაპარაკებების რაუნდის გამართვა). წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და მათ ორგანიზაციებთან, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მოლაპარაკებების მონაწილესთან, რათა მოხერხებულიყო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საგნობრივი მსჯელობა და მწვავე პრობლემების გადაწყვეტისთვის კონკრეტული გზების გამონახვა. თუმცა, რუსეთის და მისი საოკუპაციო რეჟიმების დესტრუქციული ქმედებების გამო ვერ ხერხდება კონკრეტული შედეგების მიღწევა. რუსეთის ფედერაცია ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხებით მანიპულირებს და მათ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

2020 წლის 10-11 დეკემბერს გამართულ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 51-ე რაუნდში, შესაბამის სამუშაო ჯგუფში, კომპეტენციის ფარგლებში ხაზი გაესვა უკანონოდ დაკავების დესტრუქციულ და პროვოკაციულ პრაქტიკას, უკანონოდ დაკავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლების საკითხს, ასევე, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის გამო საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ

პირთათვის გადაადგილების თავისუფლების უკანონო შეზღუდვასა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის ხელოვნურ, უკანონო შეზღუდვას.

გარდა ამისა, ხსენებულ ფორმატში საუბარი კორონავირუსის პანდემიის ფონზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ოკუპირებულ ახალგორში არსებულ, კონკრეტულ ჰუმანიტარულ გამოწვევებსა და მათი ერთობლივი, კონსტრუქციული ძალისხმევით აღმოფხვრის საკითხებსაც შეეხო.

ამოცანა: 24.1.4.

ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში შეხვედრების გამართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული პრობლემების გადასაწყვეტად;

ამოცანის ინდიკატორი: ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში განხილულ საკითხთა რაოდენობა;

საქმიანობა 24.1.4.1.

ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული საკითხების დასმა და განხილვა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, რუსეთის ფედერაციისა და საოკუპაციო ძალე- ბის დესტრუქციული ქმედებების გამო შეწყვეტილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრები 2020 წლის ზაფხულის პერიოდში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით აღდგა. საანგარიშო პერიოდში ხსენებული ფორმატის ორი შეხვედრა, 30 ივლისსა და 24 სექტემბერს გაიმართა. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, მწვავედ დასვეს საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებასთან, ადამიანის უფლებებთან და ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების მკვლელობის ფაქტები, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პრაქტიკა, უკანონო დაკავებები, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ხანგრძლივი პერიოდით ჩაკეტვა, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, ასევე ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ახალგორის რაიონის მაცხოვრებელთათვის ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების ხელმიუწვდომელობა,

მეტადრე ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების უპირობო გათავისუფლებისა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ გადაადგილების აღდგენის აუცილებლობაზე.

ამასთან, მუშაობა გრძელდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით IPRM-ის შეხვედრების გასაახლებლად, რომელიც საოკუპაციო ძალების მიზანმიმართული, პროვოკაციული ქმედებების შედეგად, 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ არ ჩატარებულა.

ამოცანა: 24.1.5.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეფექტიანად გამოყენება გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების ხელშესაწყობად;

ამოცანის ინდიკატორი: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ეფექტიანადაა ჩართული გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების უფლებებისა და საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობის საქმეში;

საქმიანობა 24.1.5.1.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაგრძელება; საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში ქართული მხარე აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საოკუპაციო ხაზზე კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებთან გამკლავების მიზნით. გრძელდებოდა კოორდინაცია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებისა და ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, უნენვის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში. მიმდინარეობდა აქტიური ძალისხმევა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრების განახლების მიზნით. წლის განმავლობაში ქართული მხარე ყველა შესაძლო დონეზე მუდმივად უსვამდა ხაზს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შემდგომი გაძლიერებისა და მანდატის სრულად განხორციელების აუცილებლობას.

საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად მოუწოდებდა რუსეთის ფედერაციას, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია დაუშვას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მონიტორინგს მისცეს მისიის მანდატის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობა. დეკემბერში ევროკავშირმა/ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მისიისთვის მანდატის კიდევ ორი წლით გახანგრძლივების თაობაზე.

ამოცანა: 24.1.6.

საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომისა და ადგილზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო მხარდაჭერა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომისა და ადგილზე რეგულარული მონიტორინგის უზრუნველყოფაზე;

საქმიანობა 24.1.6.1.

ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომისა და ადგილზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის აუცილებლობის დასმა და ძალისხმევის მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში) აღნიშნული მოწოდების სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს წარმომადგენლები ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში გამართულ ყველა შეხვედრაზე სვამდნენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების დაშვების საკითხს. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფის თემაზე რეგულარული მუშაობა გრძელდებოდა ორგანიზაციებთან, რომლებიც რეგულარულად იღებენ რეზოლუციებს და ამზადებენ ანგარიშებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით (მათ შორის, გაერო, ეუთო და ევროპის საბჭო, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან). საკითხი აისახა არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში.

მიზანი: 24.2.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;

ამოცანა: 24.2.1. გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა;

საქმიანობა 24.2.1.1.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებები; ეთხოვოს გამყოფ ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრი და აპარატის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებდნენ ვიზიტებს საოკუპაციო ხაზებთან მიმდებარე სოფლებში და მართავდნენ შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, ინფორმაციის გაცვლისა და მათი საჭიროებების შესწავლის მიზნით. 2020 წელს განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის და მოადგილის ვიზიტები ქვეშში, ბერშუეთში, მეჯვრისხევში, ოძისში, ხურჩაში, ორსანტიაში, ჭალეში, ფოცხოენერში, პერევში, კარალეთში, ნიქოზში, წითელ უბანში, ატოცში და ტახტისძირში, სადაც გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ოჯახებთან; ფახულანში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან; ერგნეთში გაიმართა შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან.

კოვიდ-19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, საოკუპაციო ხაზთან მდებარე კონფლიქტით დაზარალებულ 116-ვე სოფელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გაენია ჰუმანიტარული დახმარება. კერძოდ, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების კალათები გადაეცა 857 ოჯახს, მათ შორის, შშმ პირებსა და მრავალშვილიან ოჯახებს, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში - 2174 ოჯახს (მარტოხელა მოხუცებს და სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს) საქართველოს რეგიონული განვითარებისა

და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გზების, წყალმომარაგების, სკოლების, ბალების, შენობა-ნაგებობების და სხვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2020 წელს ხორციელდებოდა 182 (ერთნობიანი და მრავალნობიანი) პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 71 მლნ-ს აღემატება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალბასთუმნის მოსახლეობისათვის განხორციელდა იმ ოჯახების ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების დაფინანსება (400 ლარი), რომლებიც არ იყვნენ დარეგისტრირებულნი ბუნებრივი გაზის აბონენტებად. იმ ოჯახებს კი, რომლებიც უკვე იყვნენ დარეგისტრირებული ბუნებრივი გაზის აბონენტებად და გადახდილი/გადასახდელი ჰქონდათ მიერთების საფასური, ფაქტობრივად თანხა დაუბრუნდათ შესაბამისი ოდენობის დეპოზიტის სახით (არაუმეტეს 400 ლარისა).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე გორის, საჩხერისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების სოფლებში: ზემოარცევი, ახმაჯი, ქარძმანი, სინაგური და თედელეთი, არსებული აბონენტების მიერ, 2019 წლის დეკემბრის თვიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება 340 111.69 ლარის ოდენობით, 2 092 871 კვტ.სთ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების I ეტაპი (2020 წ.).

გარემოსდაცვისა და სოფლისმეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული, შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნით, 2020 წელს განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების 6 პროექტი, რომლითაც სარგებლობს შემდეგი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები: არბო, დიცი, ქორდი, მეჭვრისხევი, ხურვალეთი, ცაცაგიანთკარი, ზემო ნიქოზი, ზემო ხვითი, დირბი. პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 10 039 592 მლნ ლარს.

2020 წელს, გორის, დუშეთის, ქარელის, ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი იუჯეტების დაფინანსებით გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისათვის, განხორციელდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების დაახლოებით 33 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება დაახლოებით 1,8 მლნ ლარს აღემატება.

ამოცანა: 24.2.2.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა ინფორმირება მათთვის არსებული სერვისებისა და პროგრამების შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: გამყოფი ხაზის სიახლოვემ მცხოვრებ პირებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა;

საქმიანობა 24.2.2.1.

საინფორმაციო შეხვედრების წარმოება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირებთან;

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

პარტნიორი უწყება: ეთხოვოს გამყოფ ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტებს;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

2020 წლის 2 ივლისს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს და იურიდიული დახმარების სამსახურის ჩართულობით, გამყოფი ხაზის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მომსახურებებისა და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ. შეხვედრას დაესწრო 10 პირი.

2020 წლის 9 ოქტომბერს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს და იურიდიული დახმარების სამსახურის ჩართულობით, გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში, სოფელ ორსანტიის საჯარო სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა პედაგოგებთან. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მომსახურებებისა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. შეხვედრას დაესწრო 24 პირი.

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში:

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ჰქონდა გასვლითი შეხვედრები ერგნეთში და ნიქოზში;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ საინფორმაციო კამპანია: „ხიდები“-ს ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, საჯარო სკოლებსა და ადგილობრივი ვნივერსიტეტში; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის ორგანიზებით, ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩატარდა სამედიცინო კონსულტაციები და საინფორმაციო-გაცნობითი ხასიათის შეხვედრა;

საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ სოფელ პერევის მოსახლეობასთან 5 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჩატარდა მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების, პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

კასპის მუნიციპალიტეტში ქვემო ჭალასა და კოდისწყაროში შექმნილ სათემო საკონსულტაციო ცენტრებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და კონსულტაციები; კასპის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ახორციელებდა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეხვედრებს, სემინარებსა და ტრენინგებს სხვადასხვა თემებზე; ხაშურის მუნიციპალიტეტი მოსახლეობას აწვდიდა ყველა ინფორმაციას სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით განხორციელებულ საქმიანობებში.

2020 წელს განხორციელდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის და მინისტრის პირველი მოადგილის ვიზიტები ქვეში, ბერშუეთში, მეჯვრისხევში, ოძისში, ხურჩაში, ორსანტიაში, პერევიში, კარალეთში, ნიქოზში, წითელ უბანში, ატოცში და ტახტისძირში, სადაც გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ოჯახებთან. ფახულანში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან; ერგნეთში გაიმართა შეხვედრა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან. შეხვედრების მიზანი იყო მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მათი გადაჭრის დაჩქარებისთვის მხარდაჭერა. ასევე საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, გამართა 3 გაცვლითი საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, არასრულწოვანთან მიმართ ძალადობისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ. შეხვედრა გაიმართა სოფლებში: ორსანტია, მეჯვრისხევი, ზარდიაანთკარი.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ 2018-2020 წლებში დევნილთა ინფორმირების კუთხით ორგანიზება გაუკეთა საარსებო წყაროების 4 ფორუმს, 70-ზე მეტ საინფორმაციო შეხვედრას, გაავრცელა 6000-ზე მეტი საარსებო წყაროების საინფორმაციო ბროშურა და გააგზავნა საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ საინფორმაციო სახის მოკლე ტექსტური შეტყობინება 3 086 883 დევნილ აბონენტთან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში, მეჯვრისხევისა და ტყვიაში, ჩატარდა სხვადასხვა თემებზე ლექციები, გაკვეთილები ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის და შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან სოფლის მეურნეობის პროექტებთან დაკავშირებით.

ამოცანა: 24.2.3.

უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

საქმიანობა 24.2.3.1.

წლიურად არანაკლებ 5 უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელა 3 გასვლითი-საკონსულტაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში: ორსანტია, ბარდიაანთკარი, მეჯვრისხევი.

მიზანი: 24.3.

საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვა;

ამოცანა: 24.3.1. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით;

ამოცანის ინდიკატორი: საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით;

საქმიანობა 24.3.1.1.

საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შესრულდა დაგვიანებით.

იხილეთ 2019 წლის შესრულების ანგარიში

საქმიანობა 24.3.1.2.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში ზოგადი და პროფილური ექიმების რაოდენობის გაზრდა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: არ შესრულებულა

მიზანი: 24.4.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 24.4.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები პირებისთვის განათლების სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: გარემონტებული, აღჭურვილი და მოქმედი სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა; სოციალური პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა; არაფორმალური განათლების პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;

საქმიანობა 24.4.1.1.

გამყოფი ხაზის სიახლოვეს სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მიერ 2020 წლის 25 მარტის N24 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, გრიფირებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი არიან საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეები I-XII კლასის ჩათვლით. გარდა საქართველოს საჯარო სკოლის ყველა მოსწავლისა, სახელმძღვანელოებით ასევე უზრუნველყოფილი არიან, ოკუპირებული გალის რაიონის ენგურს მოსაზღვრე 9 სკოლის მოსწავლეები და ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის მოსწავლეები. ზემოაღნიშნული ბენეფიციარებისთვის გადასაცემად, 2020-2021 სასწავლო წლისთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გადაეცა 3375 (სამიათას სამასსამოცდათხუთმეტი) ცალი სახელმძღვანელო.

ასევე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 მარტის N24 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ფარგლებში, 2020 წელს საქართველოს საჯარო სკოლის ყველა პირველკლასელსა და პირველკლასელთა დამრიგებლებს გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერები (ბუკი). ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში ფუნქციონირებადი სკოლების პირველკლასელთა და მათი პედაგოგებისთვის გადაცემის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცა სააგენტოს ბალანსზე არსებული მოძრავი ქონება 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ცალი პორტაბელური

კომპიუტერი (ბუკი). ამავე პროგრამის ფარგლებში, გალის რაიონის ენგურს მოსაზღვრე 9 სკოლის და ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს, რომლებმაც 2019-2020 სასწავლო წელს დაასრულეს საბაზო საფეხური და საფეხურის ნიშანია 10 (ათი) ქულა (დამრგვალების გარეშე) გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები. პანდემიიდან გამომდინარე, აღნიშნული აქტივობა 2020 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2020 წელს უნდა დაჯილდოებულიყო 6 წარჩინებული მოსწავლე, აღნიშნული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან 2021 წლის განმავლობაში.

ამოცანა: 24.4.2.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების განათლების სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებულ ტერიტორიებიდან ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული განათლების დამადასტურებელი აღიარებული დოკუმენტების რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები მიერ გადამზადებულ სტუდენტებთან რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები მიერ გადამზადებულ სტუდენტებთან რაოდენობა რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები;

საქმიანობა 24.4.2.1.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრების პირთათვის ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული უმაღლესი განათლების მიღების, შესაძლებლობების გაზრდა და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ოკუპირებული გალის რაიონის აბიტურიენტები „სკოლისშემდგომი განათლების“ პროგრამის ფარგლებში, ი. ჭავჭავაძის სახელობის თსუ-სა და ზუგდიდში, მესხიას სახ. უნივერსიტეტში ემზადებოდნენ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული განათლების დამადასტურებელი აღიარებული დოკუმენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის № 1067 ბრძანებით დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, 2020 წელს მიღებულ იქნა 5 (ხუთი) დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე. ამათგან, 1 (ერთი) განცხადება წარმოდგენილი იყო 2019 წელს, ხოლო დანარჩენი 4 (ოთხი) განცხადება 2020 წელს. ყველა შემთხვევა ეხებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიღებული განათლების აღიარებას.

ასევე, 2020 წელს ცენტრის მიერ განხორციელებული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა გააგრძელა სამმა პირმა.

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი და პროფესიული განათლების აღიარებას, აღნიშნული სცდება ცენტრის კომპეტენციას.

საქმიანობა 24.4.2.2.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამით ოკუპირებული ტერიტორიებიდან სტუდენტების დაფინანსება და სხვა სახის შეღავათებით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

იხილეთ საქმიანობა 24.4.2.1

საქმიანობა 24.4.2.3.

კონფლიქტის ზონებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ (გალის რაიონი; ახალგორის მუნიციპალიტეტი) მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, მარტი-აპრილის განმავლობაში, გალის რესურსცენტრის დახმარებით, დარეგისტრირდა 169 მეთერთმეტე კლასელის აბიტურიენტი (შესაძლოა მეტიც იყოს, მაგრამ რესურს ცენტრს არ გააჩნია სხვა ინფორმაცია). 2020 წლის მარტის თვეში, სკოლის შემდგომი განათლების პროგრამის ფარგლებში, დარეგისტრირდა სხვადასხვა წლის სკოლადამთავრებული 180 აბიტურიენტი. რადგან მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან მთლიანად გადაკეტილია ენგურის გადმოსასვლელი ხიდი, რის გამოც აბიტურიენტებმა ვერ მოახერხეს გადმოსვლა და ეროვნული გამოცდების ჩაბარება, „ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესის“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 7 ივლისის N77/ნ ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით ჩარიცხვისა და დაფინანსების მიზნით, 5 სექტემბრის ჩათვლით, ხელახლა დარეგისტრირდა გალის რაიონის სკოლების მიმდინარე და წინა წლების სკოლადამთავრებული სულ 385 ახალგაზრდა. მათი მონაცემები, ბრძანების შესაბამისად, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

საქმიანობა 24.4.2.4.

„გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში ეროვნული გამოცდებისათვის ჩამოყალიბდა მოსამზადებელი ცენტრები, რომელთა მუშაობაშიც 2019 წელს ჩართული იყო სხვადასხვა საგნის 45 პედაგოგი. ამ პედაგოგებს „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების

ქვეპროგრამის“ ფარგლებში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა ჩაუტარეს ტრენინგები, ასევე გადაეცათ დამხმარე ლიტერატურა.

საქმიანობა 24.4.2.5.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს ჩატარდა კონკურსი „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე-დევილითა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოს რეგიონებში არსებულ დევილითა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევილილი მოსახლეობისთვის; დევილილი ბავშვებისა და მოზარდების ინტერესთა შესაბამისად, სხვადასხვა

სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა; სხვადასხვა არაფორმალურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებში დევილილი ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის გზით, მათი შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი: 24.5.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის საქართველოს სხვა მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სიკეთებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 24.5.1. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებული სერვისებისადმი წვდომის გაუმჯობესება და ხელშეწყობა;

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე პირების რაოდენობა; განუღი დახმარების მოცულობა; განხორციელებულია საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები;

საქმიანობა 24.5.1.1.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ სახელმწიფოებრივ სივრცეში განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისების მიღების შესაძლებლობების განვითარება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - განხორციელდა; იუსტიციის სამინისტრო: განხორციელდა

2018 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამშვიდობო ინიციატივის “ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ” ფარგლებში, შეიქმნა „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“, რომლის მიზანია გამოყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო პროექტების/ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა და, ამგვარად, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. 8 ოქტომბერს ფონდმა გამოაცხადა პირველი საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში დარეგისტრირდა 27 განაცხადი და აქედან შერჩეულ იქნა 14 საუკეთესო ბიზნეს-პროექტი, შემდგომი დაფინანსების მიზნით.

გაგრძელდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სკოლის შემდგომი მოსამზადებელი პროგრამის განხორციელება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მომზადებასა და უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვას, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით და საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფას. 2020 წელს

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონებიდან 180 სტუდენტი დარეგისტრირდა; პანდემიის გამო პროგრამის განხორციელება შეფერხდა, თუმცა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა დარეგისტრირებული ახალგაზრდა უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში, გრძელდებოდა სახელმწიფო რეფერალური პროგრამის განხორციელება; 2020 წლის განმავლობაში პროგრამით 892-მა ადამიანმა ისარგებლა. რეფერალური პროგრამის გარდა, 2020 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნიზაციის და გრიპის ვაქცინები, დიაბეტის წამლები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ღირებულებამ 1,3 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა. ამასთან, საქართველოს მთავრობამ მიიღო ქმედითი ზომები ოკუპირებულ რეგიონებში პანდემიასთან საბრძოლველად და ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად.

1) აფხაზურ და ოსურ ენებზე მომზადდა და გავრცელდა ინფორმაცია ახალი კორონავირუსისგან (COVID-19) თავის დაცვის რეკომენდაციებისა და წესების შესახებ, მათ შორის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პროტოკოლები; ამოქმედდა აფხაზურ და ოსურ ენოვანი ოფიციალური საიტი www.StopCov.ge; 2) სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით, შედგა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა ვიზიტები აფხაზეთის რეგიონში, ადგილზე ვითარების შესწავლის მიზნით; ქართველი ექიმები აფხაზ კოლეგებს უწევდნენ ონლაინ კონსულტაციებს; 3) აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემოდა სხვადასხვა სამედიცინო საშუალებები და აღჭურვილობა როგორც საქართველოს მთავრობის, ისე დონორი-ორგანიზაციების მხრიდან, ქართული მხარის შუამდგომლობით;

4) ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, უმოკლეს ვადაში აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში 256 კოვიდ-ინფიცირებული პაციენტი გადმოყვანილი იქნა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, აფხაზეთის რეგიონიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ ყველა 247 სტუდენტს აუნაზღაურდა ბინის ქირის საფასური, ასევე სტუდენტებს თბილისში, ზუგდიდსა და ქუთაისში გადაეცათ საკვები პროდუქტები და ჰიგიენის ნივთები.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნებისა და მცენარეთა მოვლის საშუალებები, მათ შორის, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები და პესტიციდები, ასევე ვეტერინარული ვაქცინები, რომლის ღირებულებამ დაახლოებით 640 000 ლარი შეადგინა.

იხილეთ 2019 წლის ანგარიში.

საქმიანობა 24.5.1.2.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე სარგებლის (როგორც არის, მაგალითად, უვიზო რეჟიმით მიმოსვლა, ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

უვიზო რეჟიმით სარგებლობის თვალსაზრისით, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში 2019 წელს განხორციელებული სამართლებრივი ცვლილებების შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღება შესაძლებელია გამარტივებული წესით, უფასოდ, ერთი თვის ვადაში. შესაძლებელია უფრო დაჩქარებული პროცედურის გავლაც. ამასთან, სამშვიდობო ინიციატივის შესაბამისად, შესაძლებელი გახდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით საგარეო ბაზრებზე წვდომა DCFTA-ს საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით.

საქმიანობა 24.5.1.3.

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ სამშვიდობო ინიციატივის შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

პარტნიორი უწყება: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებებს შორის ეკონომიკური კავშირებისა და ვაჭრობის წახალისება. სწორედ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში შეიქმნა და ამოქმედდა „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“, რომელიც ემსახურება

ინიციატივით გათვალისწინებულ ამოცანებს, მშვიდობის მშენებლობას, გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგსა და ნდობის აღდგენას, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობასა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო პროექტების/ინიციატივების განხორციელებას.

ფონდის პირველი საგრანტო კონკურსი 2020 წლის 8 ოქტომბერს გამოცხადდა; საკონკურსო პერიოდში დარეგისტრირდა 27 ბიზნეს-პროექტი, რომელთაგან 14 პროექტი შეირჩა შემდგომი დაფინანსების მიზნით. აღსანიშნავია, რომ პირველ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, 350 000 ლარის ფარგლებში, თუმცა მომავალში პროექტების დასაფინანსებლად ფონდი მოიზიდავს საერთაშორისო დონორების სახსრებს, რისთვისაც წლის განმავლობაში გრძელდებოდა აქტიური კონსულტაციები დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან. შედეგად, ამ ეტაპზე, გერმანიას და შვეიცარიას მიღებული აქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილება კონტრიბუციის გაკეთების თაობაზე, ხოლო გაერთიანებულმა სამეფომ და აშშ-მა ფონდის ფინანსური მხარდაჭერის ინტერესი გამოხატეს.

აქტვობა შესრულდა 2019 წელს „ანარმოვ საქართველოში“-ს მიერ.

25. ბიზნესი და ადამიანის უფლებები

მიზანი: 25.1.

თავისუფალი მენარმეობის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა;

ამოცანა: 25.1.1. ბაზარზე რეგულაციების ზემოქმედების შეფასების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ყოველ კონკრეტულ რეგულაციის შემოღებამდე კონკრეტულ სფეროს ბაზარზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების არსებობა;

საქმიანობა 25.1.1.1.

ბაზარზე რეგულაციების ზემოქმედების ანალიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობა; საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელება გულისხმობს კომპლექსური და გრძელვადიანი სამუშაოს ჩატარებას, მათ შორის სამართლებრივი, სტატისტიკური თუ სოციოლოგიური კვლევების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან. ფინანსური თუ ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, აპარატი ჯერ-ჯერობით მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს რეგულირების ზეგავლენის შემფასებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამავდროულად, ბიზნესომბუდსმენის აპარატი გამოთქვამს მზადყოფნას, მისი ექსპერტების ჩართულობით მონაწილეობა მიიღოს მსგავსი ჯგუფების მუშაობაში.

ამოცანა: 25.1.2.

ბაზრის ნებისმიერ სექტორსა და სეგმენტში მონოპოლიური და ოლიგოპოლიური გამოვლინების საწინააღმდეგო მექანიზმების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.2.1.

საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და სათანადო საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი; სსიპ - კონკურენციის სააგენტო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტო წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღმასრულებელი ორგანოს თავის მხრივ, კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, განსაზღვრავს ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვის სახეებს და აშ. ხოლო, სააგენტო უზრუნველყოფს კონკურენციის როგორც პროცესის დაცვას წინასწარი (კონცენტრაციების კონტროლი, სახელმწიფო დახმარების შეთანხმება) და ფაქტის შემდგომი რეგულირების გზით. ამდენად, სააგენტო, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, შეისწავლის სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ატარებს ბაზრის მონიტორინგს და ამ გზით უწყობს ხელს თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებას.

ამოცანა: 25.1.4.

პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქრილში საჭირო უნარ-ჩვევების პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება;

ამოცანის ინდიკატორი: სამეწარმეო განათლების საზოგადოებაში პოპულარიზაციის სტრატეგიული დოკუმენტის არსებობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის სამეწარმეო განათლების სასწავლო პროგრამის შემუშავება და მათი დანერგვის რაოდენობა; პროფესიული ორიენტაციის შემუშავებული ინსტრუმენტების და სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო სწავლების საფეხურზე დანერგილი მექანიზმების რაოდენობა; საინფორმაციო უზრუნველყოფის კონკრეტული ფორმისა და შინაარსის მატარებელი საინფორმაციო მასალების რაოდენობა; სახელმწიფო პროგრამებში საზოგადოების სამეწარმეო განათლების პოპულარიზაციის მექანიზმების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.4.1.

ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და სამუშაო ჯგუფის მართვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 8 ნოემბრის N1423 ბრძანებით, შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, და დამტკიცდა მისი შემადგენლობა, რომელშიც შესულია ყველა ის ძირითადი დაინტერესებული მხარე, რომელიც უწყვეტი სამეწარმეო სწავლების პროცესშია ჩართული.

საქმიანობა 25.1.4.2.

სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დაწესებულებებში დანერგვა;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინტეგრირებული საგნების „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები) და „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები) სასწავლო გეგმის სტანდარტების ერთ-ერთი მიმართულებაა ინიციატივა და მეწარმეობა.

საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ (VII-IX კლასები) სტანდარტშიც ასევე წარმოდგენილია მიმართულებაა ინიციატივა და მენარმეობა.

რაც შეეხება საშუალო საფეხურს, აქ რევიზიის პროცესი ისევ მიმდინარეობს, რომელშიც მენარმეობის კომპონენტი ასევე იქნება გათვალისწინებული. არსებული მდგომარეობით, საშუალო საფეხურზე მენარმეობა წარმოდგენილია არჩევითი კურსის „მენარმეობის საფუძვლები“ სახით.

საქმიანობა 25.1.4.3.

სათანადო ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავება და მათი ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში (მიმართულება: ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები) ინტეგრირებულია სამენარმეო უნარ-ჩვევების განვითარება და გამოყენება.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებზე დაყრდნობით, მომზადდა ადრეული განვითარების კურიკულუმი, რომელშიც აღმზრდელებს ეძლევათ უფრო დეტალური მითითებები, თუ როგორ მოხდეს აქცენტების გაკეთება ასაკის შესაბამისად სამენარმეო უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

მონტესორის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარდა ვებინარები მონტესორის ფილოსოფიით წარმართულ სააღმზრდელო პროცესთან დაკავშირებით, რომელიც ბავშვს აძლევს საშუალებას, სხვადასხვა უნარებთან, ერთად განვიითაროს სამენარმეო უნარები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ყველა ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულოდ მოიცავს „მენარმეობის“ ზოგად მოდულს. 2018-2019 წლებში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, სამინისტროსა და კალიფორნიის უნივერსიტეტის პარტნიორობის ფარგლებში, განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მენარმეობის მოდულის რევიზია. რევიზიის მიზანს წარმოადგენდა მოდულის ევროპული კომპეტენციების ჩარჩოსთან (EntreComp) თავსებადობის უზრუნველყოფა. გადამუშავებული მოდული შემდგომი განხილვისა და დანერგვისათვის წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეწარმეო კულტურის დანერგვის კონცეფცია. 2020 წელს შეირჩა კომპანია, რომელიც მხარდაჭერას გაუწევს 2 საპილოტე დაწესებულებას (სსიპ კოლეჯი „იბერია“ და სსიპ კოლეჯი „მოდუსი“) კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

საქმიანობა 25.1.4.4.

სამეწარმეო სუბიექტებისათვის რეგისტრაციის პროცესში არსებული რეგულაციების თაობაზე საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: ბიზნეს გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები; სსიპ „აწარმოე საქართველოში“; სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

პროგრამა „სახელმწიფო შენი პარტნიორის“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა პლატფორმა programs.gov.ge, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების შესახებ. „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ მუშაობს ერთი ფანჯრის პრინციპით, ამიტომ სხვადასხვა სააგენტოს 20-ზე მეტ პროგრამაში ჩართვა ერთი სივრცედანაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ბენეფიციარებს პროგრამაში ჩასართავად აღარ დასჭირდებათ დედაქალაქში ჩამოსვლა და ყველა საჭირო პროცედურის გავლა ადგილზე, თავიანთ რეგიონებში შეეძლება.

2020 წელს სააგენტოს წარმომადგენლების მიერ განხორციელდა იუსტიციის სახლის და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლების დატრენინგება, რის შედეგადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია სააგენტოს პროგრამების შესახებ.

ამოცანა: 25.1.5.

ქალთა მეწარმეობის წახალისება;

ამოცანის ინდიკატორი: წელიწადში მინიმუმ 2 შეხვედრა;

საქმიანობა 25.1.5.1.

ქალთა მეწარმეობის განვითარების მიზნით პლატფორმის შექმნა და ფუნქციონირება დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წელს, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, ქალთა მეწარმეობის განვითარების ქვე-საბჭოს 2 სხდომა ჩატარდა ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რომლის დროსაც მონაწილეობა მიიღეს ქვესაბჭოს წევრმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ასოციაციის წარმომადგენლებმა და მეწარმე ქალებმა, ასევე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა.

ამოცანა: 25.1.6.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაბამისი ცვლილებების პაკეტის მომზადება;

ამოცანის ინდიკატორი: საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია;

საქმიანობა 25.1.6.1.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ შესაძლო წახალისების მექანიზმების კვლევა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა.

2021 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ იგეგმება „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მიღება, რომლის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოციაციის შეთანხმებისა და ასოციაციის დღის წესრიგის მოთხოვნების შესრულება და ამ მიმართულებით, ქართული კანონმდებლობის

ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება. ახალი კანონი დაეფუძნება თანამედროვე მიდგომებს და უზრუნველყოფს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის, არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, თავისუფალი მენარმეობის უზრუნველყოფას, შიდა საკორპორაციო ურთიერთობების დეტალურ მონესრიგებასა და სამენარმეო თავისუფლების ხელშეწყობასთან ერთად ამ სფეროში გამჭვირვალობის გაზრდას.

ამოცანა: 25.1.10

მშენებლობის ზედამხედველობის მიმართულებით აღსრულების მექანიზმების გაზრდა და შესაბამისი ნორმების დაცულობაზე მონიტორინგი

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს პროექტი.

საქმიანობა 25.1.10.1.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ინიცირება

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

აღნიშული აქტივობა განხორციელდა 2018 წელს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 20 ივლისს, თუმცა კოდექსის ძირითადი მუხლები ამოქმედდა 2019 წლის 3 ივნისიდან. კოდექსმა ამომწურავად დაარეგულირა მშენებლობის ზედამხედველობის სახეები. კერძოდ ესენია: მშენებლობის საჯარო ზედამხედველობა, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა და მშენებლობის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა. ასევე კოდექსით განსაზღვრულია მშენებლობის ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები და მათი უფლება-მოვალეობები. დამატებით საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში 2019 წლის 20 დეკემბერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქტიური ჩართულობით, განხორციელდა ცვლილებები, რამაც კიდევ უფრო დახვეწა მშენებლობის ზედამხედველობის ცალკეული საკითხები.

ამოცანა: 25.13.

კერძო სექტორში მამხილებლის დაცვის გარანტიების შექმნა/გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი კვლევა მომზადებულია საუკეთესო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით;

საქმიანობა 25.13.1.

კერძო სექტორში მამხილებლის დაცვის გარანტიების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და არსებული მდგომარეობის ანალიზი;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: საჯარო სამსახურის ბიურო - განხორციელდა

საჯარო სამსახურის ბიურომ, ადგილობრივი ექსპერტის დახმარებით, განახორციელა კვლევა, რომლის შედეგად მომზადდა სახელმძღვანელო „მხილება საჯარო სამსახურში: საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა“. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოხდა მხილების ინსტიტუტის თაობაზე არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი.

რაც შეეხება საჯარო სექტორში მამხილებლის ინსტიტუტის ფუნქციონირებას, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.mkhileba.gov.ge) დაფიქსირდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მისამართით მხილების 78 შესაძლო ფაქტი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ბიუროში არ შემოსულა წერილი ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას, მათი წერილობითი და სატელეფონო თხოვნის საფუძველზე, ბიუროს კომპეტენციის ფარგლებში, გაეწია სამართლებრივი დახმარება და მიეცა რეკომენდაცია, როგორც ინტერესთა შეუთავსებლობის, ასევე დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მიმდინარე წარმოებებთან დაკავშირებით.

ამოცანა: 25.1.18.

საქართველოს მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია მოყვანილი;

საქმიანობა 25.1.18.1.

ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო პაქტთან შესაბამისობაში მოყვანა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

საქართველომ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება განახორციელა 1994 წელს. კანონმდებლობა შესაბამისობაშია პაქტთან.

ამოცანა: 25.1.19.

საქართველოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის დამატებითი ოქმების რატიფიცირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია მოყვანილი;

საქმიანობა 25.1.19.1.

ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კონვენციის დამატებით ოქმებთან შესაბამისობაში მოყვანა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს პარლამენტი;

შესრულების სტატუსი: მეტწილად შესრულდა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ხელშეწყობით, საქართველოს მთავრობამ, 2020 წლის ბოლოს დაიწყო კანონით გათვალისწინებული პროცედურების გატარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატიური ოქმის საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით.

ამოცანა: 25.1.23.

ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებზე ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.23.1.

ქალთა გაძლიერების პრინციპებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო;

პარტნიორი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

შესრულების სტატუსი: მიმდინარე- ნაწილობრივ შესრულდა.

2020 წლის განმავლობაში, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობით, ადამიანის უფლებების საკითხებზე სიდრმისეული ინფორმაცია 800-ზე მეტ საჯარო მოხელეს მიეწოდა. ერთობლივი ღონისძიებათა ფარგლებში, გაიმართა საჯარო მოხელეთა ფორუმები სექსუალური შევიწროების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე ვებინარი ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე, ფორუმი თემაზე „გენდერი საჯარო სამსახურში“ და სემინარების სერია „ბიზნესი და ადამიანის უფლებები“.

ამოცანა: 25.1.25.

საჯარო მოხელეებისათვის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;

საქმიანობა 25.1.25.1.

საჯარო მოხელეთა დატრენინგება, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების კუთხით; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების შესახებ უკვე არსებული მოდულის გამოყენება;

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა

საჯარო სამსახურის ბიურომ, 2019 წელს დაიწყო და 2020 წლის განმავლობაში გააგრძელა ტრენინგების ჩატარება, საჯარო სამსახურში ლიდერობისა და მართვის საკითხებზე. ტრენინგები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა კარგი ლიდერობა და მართვა, ორგანიზაციის მუშაობის შეფასება, პროცესების ანალიზი, სტრატეგიული დაგეგმვა, ხედვისა და მისია/მიზნების არსი და სტრუქტურული მონყობის ძირითადი პრინციპები. სულ ჩატარდა 28 ტრენინგი, რომელსაც, საერთო ჯამში, დაესწრო საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული I და II რანგის 330 პროფესიული საჯარო მოხელე, მათ შორის, 189 ქალი. აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა“- ფარგლებში.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, მოხელეთა ფორუმების შეხვედრების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა ფორუმი თემაზე - „გენდერიზებული საჯარო სამსახური“.

2020 წლის 4 ნოემბერს, OECD SIGMA-ს ორგანიზებითა და საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით, გაიმართა ვებინარი გენდერულად მგრძობიარე დასაქმების შესახებ - „თანასწორობა ქალებისათვის საჯარო სამსახურში“. ვებინარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საჯარო სამსახურში დასაქმებულმა, გენდერისა და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირებმა. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ევროკავშირის ქვეყნებისა და SIGMA-ს საჯარო მმართველობაში გენდერულ საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსების მოხსენებებს.

გენდერის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და ზოგადად, აღნიშნული თემის მნიშვნელობის წახალისების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გამართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე - „ქალები მმართველ პოზიციაზე საჯარო სამსახურში“. კონფერენციის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს საინტერესო და ინოვაციური პროექტები და ესეები საჯარო სამსახურში გენდერული თანასწორობისა და საჯარო სამსახურში ქალთა როლის გაძლიერებისა და წახალისების შესახებ.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით, ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი გენდერისა და მართვის თემატიკაზე, რომელსაც საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგები უძღვებოდნენ და ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საქართველოში გენდერული კუთხით არსებული მდგომარეობა, გენდერული განსხვავებების იდენტიფიცირება, ასევე, მართვის საუკეთესო პრაქტიკა და ცვლილებებისა და ინოვაციური მიდგომების განხორციელების მეთოდები. ტრენინგი ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო 20-მდე საჯარო მოხელემ და მაღალი მმართველობითი რგოლის მენეჯერმა, როგორც ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან. ტრენინგი ჩატარდა პროექტის - „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელიც 2017 წლის ოქტომბრიდან ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას ეფექტიანად განახორციელონ გენდერული მეინსტრიმინგი საჯარო მმართველობაში.

საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი ქალების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო ახორციელებს საჯარო სამსახურში კარიერული განვითარების მიმართ საჯარო მოხელეთა დამოკიდებულებებისა და გამოცდილების კვლევას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 2500 საჯარო მოხელეზე მეტმა მიიღო და ასევე, უკვე განხორციელებულია სიდრმისეული ინტერვიუები 15 რესპოდენტთან. კვლევის შედეგები, საჯარო სამსახურის ბიუროს შიდა ინსტიტუციური სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2021 წლის პირველ კვარტალში გახდება ხელმისაწვდომი.

მიზანი 27.1.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების პროცესის გაგრძელება

ამოცანა 27.1.2.

გაერო-ს სახელმწიფოებო ორგანოების წინაშე სახელმწიფო ანგარიშების წარდგენა დადგენილ ვადაში

ამოცანის ინდიკატორი: გაერო-ს სახელმწიფოებო ორგანოებში სახელმწიფო ანგარიშები გაგზავნილია

27. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

საქმიანობა 27.1.2.4.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) შესრულებაზე მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

2020 წლის ივნისში რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტს წარედგინა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიში.

საქმიანობა 271.2.5.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლი ფარგლებში ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

პარტნიორი უწყება: საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამინისტროები;

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლის ფარგლებში მომზადებული ანგარიში გაიგზავნა 2020 წლის ოქტომბერში.

მიზანი: 27.3.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა;

ამოცანა: 27.3.1. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ასახვა თემატურ სამოქმედო გეგმებში;

ამოცანის ინდიკატორი: რეკომენდაციების შესრულებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასების დოკუმენტები; თემატური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;

საქმიანობა: 27.3.1.1.

თემატური სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (თემატური უწყებათაშორისი საბჭოები);

შესრულების სტატუსი: განხორციელდა.

ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, წამებასთან ბრძოლის პერიოდული სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ხელმძღვანელობს რელევანტური საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების რეკომენდაციებით, რომლებიც

საფუძვლად ედება სამოქმედო გეგმის რიგ აქტივობებს. სამოქმედო გეგმის და, შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს სამდივნოს მიერ წელიწადში ერთხელ. სამდივნოს მიერ მომზადდა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, ამასთან მიმდინარეობს საბოლოო ანგარიშის შემუშავების პროცესი.

2020 წლის 2 დეკემბერს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუნცებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მხედველობაში მიიღება საერთაშორისო ორგანიზაციებისა (ევროპული კომისია, ევროპის საბჭოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, გაეროს სპეციალური მომხსენებლების (ბავშვთა ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი და სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ)) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციები სამოქმედო გეგმაში მათი სამომავლო აქტივობების სახით ასახვის მიზნით. ყურადღება ექცევა, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებში ტრეფიკინგის საქმეებში ასახულ სტანდარტებსაც. სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება ინკლუზიური მიდგომით, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით.

საანგარიშო პერიოდში გამოიყენა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლის ანგარიში საქართველოსთან მიმართებით. ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით საქართველოს მიდგომების გაცნობისა და შეფასების მიზნით, სპეციალური წარმომადგენელი დელეგაციასთან ერთად საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა 2019 წლის 17-19 ივნისს.

<https://www.osce.org/files/f/documents/8/5/451561.pdf>

2020 წელს ასევე გამოიყენა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ტრეფიკინგის თემაზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ევროკავშირისა და დასავლური სახელმწიფოების გვერდით კვლავ 1-ელ კალათშია, რაც **რეიტინგული სისტემის პირველი, უმაღლესი ნიშნულია და** ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2018-2020 წლებში აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე.

<https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/06/2020-TIP-Report-Complete-062420-FINAL.pdf>

2020 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ (იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი) შეიმუშავა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის შესრულების ანგარიში (სამოქმედო გეგმის სრული, 2-წლიანი შესრულების ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის პირველ ნახევარში).

ამასთან, იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების სრული და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის შესრულების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება 2 დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ (ქართველი და უცხოელი).

დანართი 1. ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დამატებითი გაწეული ძალისხმევა

დანართში წახმოდგენილია ინფორმაცია იმ პირობებისა და ძალისხმევების შესახებ, რომელიც სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელდა 2020 წლის განმავლობაში და თავისი მნიშვნელობისა და ღირებულების გათვალისწინებით, სხუდად ეხმიანება წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის 2018-2019 წლებში გათვალისწინებულ საქმიანობებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო:

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW)** შესრულებაზე მე-6 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და შესაბამის კომიტეტში გაგზავნა.

2020 წლის ნოემბერში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს წარედგინა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-6 პერიოდული ანგარიში.

გარდაამისა, საგარეო საქმეთა სამინისტრო კურირებდა **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (CCPR)** შესრულებაზე მე-5 პერიოდული ანგარიშის მომზადების კოორდინაციას და შესაბამის კომიტეტში გაგზავნას და მის მიერ 2020 წლის თებერვალში ადამიანის უფლებათა კომიტეტს წარედგინა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ შესრულების თაობაზე საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო:

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ **არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობისა და გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწის მიზნით** განახორციელა დამატებითი აქტივობები, კერძოდ, გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვისა და ცვლილების განხორციელების მიმართულებით საჭიროების შემთხვევაში:

2020 წელს მომზადდა ბრძანების პროექტი „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და

საჭიროებების შეფასების, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის (შემთხვევის მართვის წესი), აგრეთვე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც თავმოყრილი და განერილია პენიტენციურისა და პრობაციის სისტემებს შორის გარდამავალი მენეჯმენტის განახლებული პროცედურები.

ამასთან, ეფექტიანი გარდამავალი მენეჯმენტის და არასრულწლოვნების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის, პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში შემუშავებულია სამოქმედო გეგმა არასრულწლოვნის ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით. გეგმის პილოტი Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით დროებით შეჩერებულია.

ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება:

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის“ შექმნის შემდეგ აქტიურად მინმდინარეობდა 2020 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესწავლა. აღნიშული შესწავლის შედეგად გამოვლინდა ის შესაძლებლობები და საჭიროებები, რომელთა განხორციელების გეგმაც შემუშავდა ცენტრის მიერ. ცენტრს დაგეგმილი აქვს მომდევნო წლების განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი დასაქმების კერების შექმნა.

ასევე, განხორციელდა გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა/დანერგვა და ქალ მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა:

პენიტენციურ სისტემაში გენდერული ნიშნით ქალი ბენეფიციარებისთვის შეიქმნა და დაინერგა შემდეგი პროგრამები: „ქალგა“-ჯგუფურისამოტივაციო პროგრამა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის; „ოჯახურ სირთულეებთან გამკლავების პროგრამა“ (ოჯახურ და გენდერულ ძალადობაზე, ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის); ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველადი სკრინინგის კითხვარი;

ასევე, პენიტენციურ სისტემაში დაინერგა პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და სრულ პოპულაციაზე მორგებული: სტიგმა და დისკრიმინაცია; „პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობაში“ (გენდერული სენსიტიურობის ამაღლება მსჯავრდებულ მამაკაცებში);

ამას გარდა გათვალისწინებულია გენდერული ნიშნით ძალადობის ასპექტებიც: „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი (PRIA)“ - ქცევის კორექციის პროგრამა ქალთა და პარტნიორთა

მიმართ მოძალადე მამაკაცებისთვის; „მსჯავრდებულის მიერ მეუღლის/პარტნიორის მიმართ მოსალოდნელი ძალადობის რისკის შეფასება“ - მომზადდა ინსტრუქცია, შეფასების ინსტრუმენტი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში ასევე მოხდა **გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა**, კერძოდ, 2020 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების მომარაგება გენდერულ საჭიროებებს მორგებული ნივთებით.

არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის, კომპესაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის სრულად შესწავლა და იურიდიული დახმარების არსებული კანონმდებლობის ანალიზი.

წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ინიციატივით მომზადდა კვლევა, რომელიც ითვალისწინებს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამების მოდულებისა და მექანიზმების შესახებ საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზს. აღნიშნული კვლევა, მათ შორის, ითვალისწინებს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის უფასო იურიდიულ დახმარებაზე წვდომის დახვეწის საკითხს. უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, აღნიშნულ საკითხზე შემდგომი მუშაობის გაგრძელების მიზნით შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფი.

საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფის/ხელშეწყობის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა **სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრში სპორადული წესით უფლებების რეგისტრაცია/აღრიცხვა:**

2020 წლის 1 იანვრიდან მიწის რეგისტრაციის პროცედურები კიდევ უფრო გამარტივდა. მათ შორის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის ცნობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ პირებისთვისაც, ვისაც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ. კიდევ უფრო გაიზარდა იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საკუთრების უფლება იმ შემთხვევაშიც რეგისტრირდება, თუ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს ყველა სავალდებულო რეკვიზიტი არ აქვს. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რეფორმის ფარგლებში დადგენილი შეღავათები აღარ არის დროებითი და ისინი კანონის მუდმივმოქმედ ნორმებად გარდაიქმნა.

მიწის რეფორმის ფარგლებში, მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ყოველდღიურად წარედგინება 1500-დან 2000-მდე განცხადება. სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში წარმატებით დასრულებულია 950 000-ზე მეტი სარეგისტრაციო წარმოება, აქედან 2020 წლის განმავლობაში დასრულდა 180 900-ზე მეტი წარმოება.

გეგმაში შესრულების ვადად მითითებულია 2018 წლის III კვარტალი, მაგრამ როგორც აღინიშნა, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კანონი, რომელის

მიწის რეგისტრაციის რეფორმას უდევს საფუძვლად აღარ არის დროებითი და მუდმივმოქმედად გარდაიქმნა. შესაბამისად, რეფორმა მიმდინარეობდა 2019 და 2020 წლებშიც და მიმდინარეობს 2021 წელსაც.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა დანაშაულის პრევენციის მექანიზმის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, სამუშაო მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, კერძოდ:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შესაბამისად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბერის #681 მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესი. ცვლილებების მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრიდან სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ფარგლებში **შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული - არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი**, რომელიც პასუხისმგებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე და ასევე დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე პირთა მიღებაზე, შეფასებაზე, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე, შემდგომში სერვისების მიწოდებასა და ასევე რეფერირებაზე.

2020 წლის 1-ლი იანვრიდან, რეფერირების ცენტრი იმუშავებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით დანაშაულის პრევენციის მექანიზმთან კავშირში მყოფი უწყებების წარმომადგენლების ინფორმირების მიმართულებით.

შემუშავდა და დასამტკიცებლად მომზადდა რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისა და გადამისამართებისათვის საჭირო მიმართვის ფორმა და სკრინინგკითხვარი; არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების, ხელშეკრულებისა და ხელშეკრულების შესრულების დეტალური გეგმის ფორმები; არასრულწლოვნის გეგმიური მონიტორინგისა და ზედამხედველობის ყოველთვიური ანგარიშის ფორმა; არასრულწლოვნის არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიშისა და საბოლოო ანგარიშის ფორმები; ხელშეკრულების დასრულების შემდგომ არასრულწლოვანზე დაკვირვების ანგარიშის ფორმა. შეფასების ინსტრუმენტების იმპლემენტაციის მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველომ დამატებით აღიარა ალბანეთის რესპუბლიკის, ანდორის სამთავროს, სომხეთის რესპუბლიკის, მოლდოვის რესპუბლიკის, ყაზახეთის რესპუბლიკის, კორეის რესპუბლიკის, მონტენეგროს, მაროკოს სამეფოს, ფილიპინების რესპუბლიკის, სინგაპურის რესპუბლიკისა და უზბეკეთის რესპუბლიკის მიერთება „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციასთან, რაც ხელს უწყობს **თანამშრომლობის გაძლიერებას/მოლაპარაკებების წარმოებას იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველო არ ახორციელებს ორმხრივ თანამშრომლობას „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის საფუძველზე.**

პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზრებებსა და ხელმძღვანელების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური **თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს განგრძობად პრიორიტეტს, შესაბამისად:**

2020 წლის 6 თებერვალს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. კიშინოვში გამართულ რეგიონულ დიალოგში თემაზე „ონლაინ ბავშვთა დაცვა და გაძლიერება“. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს, უკრაინას, მოლდოვასა და ბელორუსიას შორის გამოცდილების გაზიარება ბავშვთა ონლაინ ექსპლუატაციისგან დაცვის თაობაზე;

2020 წლის 23 მარტს ელექტრონულ ფორმატში იუსტიციის სამინისტრომ საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს (CNCDH) გაუზიარა გამოცდილება ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და დახმარების მიზნით არსებულ ქართულ რეფერალურ მექანიზმზე. საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი მუშაობს საფრანგეთის მთავრობისთვის მოსაზრების წარდგენაზე საფრანგეთში ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნის შესახებ და ამ მიზნით დაინტერესებულნი იყვნენ ქართული მიდგომით.

